გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

№16 (772) 13 - 14 თებერვალი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

20 გვერდი 40 თეთრი

დავით ბერძენიშვილი:

„ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, ვინ იქნება კოალიციის რჩეული ან დასახელდება თუ არა კოალიციიდან ორი საპრეზიდენტო კანდიდატი!“

„დოკუმენტური მასალა და მერის მოადგილის ჩვენებები უკვე არსებობს და თუ უგულავას ბრალდება დაუდასტურდება, რამდენიც უნდა იძახოს, პოლიტიკური დევნაა, 2 მილიონის გაფლანგვას არავინ აპატიებს!“

აკაკი ასათიანი ახალ კვლევით ცენტრს ქმნის

გვ. 7

„ამოძირკვეს“ თუ არა პარტიიდან საგანელიძის აღმოჩენილი აგენტები თავისუფალმა დემოკრატებმა?

გვ. 4

„მთელ ამ პროცესში ყველაზე ნაკლებად ჩვენს ყოფილ წევრებს ვადანაშაულებ!“

„ქრისტიან-დემოკრატებისა“ და „ოცნების“ ჩაშლილი შეთანხმების რა დეტალებზე საუბრობს გოჩა ჯოჯუა

გვ. 5

„ღიმილისმომგვრელია, პუტინივით მყრალი ენა გქონდეს და ევროპულად მოქცევას ითხოვდე!“

თაღლითების მსხვერპლი თავის დაწვით იმუქრება!

რატომ ითხოვს აფხაზეთიდან დევნილი ნანი ფაჟავა არჩილ კბილაშვილსა და თეა წულუკიანთან შეხვედრას

გვ. 14

ამას პირველად ვამბობ: ერთი წელი ციხის კართან მატარეს

„პირდაპირ მითხრეს, საქმე იმის მიხედვით მოგვარდება, რა დროშასაც დაიჭერო, მაგრამ ძალიან კარგად იცოდნენ, სადაც ძოვდნენ“

სამარშრუტო ტაქსებში ვიდეოკამერებს დაამონტაჟებენ

გვ. 7

სკანვორდი
სუდოკუ
კულტურა
ჰოროსკოპი
დაიჯესტი
სპორტი
facebook NEWS

მამუკა ღომაშვილი მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ

შტეფან ფულე: „დარწმუნებული ვარ, საქართველო რეფორმების გზას გააგრძელებს“

„საქართველო არის შემართულობისა და თანმიმდევრულობის მაგალითი და დარწმუნებული ვარ, იმ გამოწვევების მიუხედავად, რომელიც კოჰაბიტაციას თან სდევს, საქართველო რეფორმების გზას გააგრძელებს“, — განაცხადა ევროკომისარმა გაფართოებისა და ევროპის სამეზობლო საკითხებში შტეფან ფულემ. მისივე თქმით, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ დიალოგის არაფორმალური შეხვედრა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან თანამშრომლობისთვის.

შტეფან ფულემ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს მინისტერიალის მასპინძლობისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ამ შეხვედრას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ვილნიუსში დაგეგმილი სამიტის ფონზე.

„ვილნიუსის სამიტი, ჩვენი ვარაუდით, **რეალურ შედეგებს დადებს და მოვახერხებთ, მოვაწეროთ ხელი ასოცირების ხელშეკრულებას საქართველოსთან, მოლდოვასა და სომხეთთან. არსებობს პროგრესი აზერბაიჯანთან მოლაპარაკებების პროცესშიც. ამავდროულად, ქვეყნების ერთ ჯგუფთან განიხილება ვიზების გამარტივების და მეორე ჯგუფთან ლიბერალიზაციის პროცესი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი საბოლოო მიზანი სწორედ ვიზების ლიბერალიზაციაა“,** — აღნიშნა შტეფან ფულემ.

მისივე თქმით, ძალიან მნიშვნელოვანია თანამონაწილეობის მომენტიც, რაც გულისხმობს მსგავსი ღონისძიებების 6 თვეში ერთხელ ორგანიზებას.

„ევროკავშირი აღმოსავლეთ პარტნიორობის ერთგულია და პრინციპით — „მეტი მეტისთვის“ ვცდილობთ, დავაკმაყოფილოთ ჩვენი მეგობრების მისწრაფება, იყვნენ უფრო ახლოს ევროკავშირთან“, — აღნიშნა შტეფან ფულემ.

აღმოსავლეთ პარტნიორობის დიალოგის არაფორმალური შეხვედრის პირველი სესია ერთობლივი ფოტოს გადაღებით დასრულდა.

„ინტერპრესნიუსი“

მამუკა ახვლედიანი „თეატრალური კვარტეტის“ წევრების დასაქმებაზე დაკითხეს

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, მამუკა ახვლედიანის განცხადებით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში კითხვები მის მიმართ „თეატრალური კვარტეტის“ წევრების „თბილსერვისჯგუფში“ დასაქმებაზე ჰქონდათ. დაკითხვის პროცესი სამსაათნახევარს გაგრძელდა.

ახვლედიანმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ „თეატრალური კვარტეტის“ წევრების დასაქმება „თბილსერვისჯგუფში“ მისი რეკომენდაციით მოხდა. მამუკა ახვლედიანის თქმით, დაკითხვების რეჟიმი გრძელდება, რომლის მიზანია, საკრებულოში ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის წევრების დაშინება და უმრავლესობის დაშლა. ახვლედიანი აცხადებს, რომ ფრაქციის პოზიციები მყარია და მსგავსი რამ არ ემუქრება.

„ინტერპრესნიუსი“

„ღიმილისმომგვრელია, პუტინივით მყრალი ენა გქონდეს და ევროპულად მოქცევას ითხოვდე!“

მერაბ ბერიძე

ხელისუფლება-ოპოზიციას შორის ყბადაღებული კოჰაბიტაციის (თანაცხოვრების) პროცესი თანმდევი სირთულეებით ხასიათდება. ამის დასტურია, რომ სააკაშვილის, უსუფაშვილისა და ბაქრაძის ნელთბილი შეხვედრა პრეზიდენტის სასახლეში, სადაც საკონსტიტუციო ცვლილებები განიხილეს. ჟურნალისტების წინაშე პირველ განცხადებებს, პრეზიდენტის „აფეთქება“ მოჰყვა. პარლამენტის სპიკერმა, რომელიც ამავდროულად, კონსტიტუციონალიზმის კარგი პედაგოგია, ის დროულად „დაამშვიდა“. მხარეები მოლაპარაკების გაგრძელებაზე საუბრობენ, თუმცა უჭირთ შეთანხმებების მიღწევა.

მანამდე კი, სააკაშვილის განცხადებით, საპარლამენტო უმრავლესობასთან დისკუსია გაგრძელდება: „თქვენ იცით, რომ ამ დღეებში ყველანი შეშფოთებული ვართ ძალიან. მე, პირადად, უკიდურესად ვარ შეშფოთებული და ალბათ, საზოგადოებაც. პრეზიდენტის დაგეგმილი მიმართვის დროს ეროვნული ბიბლიოთეკის წინ, ციხიდან გამოსული კრიმინალთა ბანდის მიერ მასობრივი ეგზეკუცია მოხდა. მაგრამ ვფიქრობ, ჩვენ ყველანი დაინტერესებული ვართ, ეს არ განმეორდეს. ამ ყველაფერმა — დისკუსიამ პარლამენტის კედლებში უნდა გადაინაცვლოს და არა ქუჩებში. ქუჩაში ჩხუბიდან უფრო კატასტროფულ მოქმედებამდე ერთი ნაბიჯია და ჩვენ არასოდეს უნდა მივიდეთ იმ ზღვარზე, სადაც საქართველო 90-იან წლებში იყო. ვფიქრობ, ბატონი დავითი ამ ჩვენ შეშფოთებას იზიარებს. ჩვენ გვქონდა ვრცელი საუბარი, ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერზე ჩამოვყალიბდით და შევთანხმდით. მათ აქვთ თავიანთი პოზიციები, ჩვენ — ჩვენი. ვფიქრობ, დისკუსია გაგრძელდება. შევთანხმდით, რომ ასეთი თემები დიალოგის გზით უნდა გაგრძელდეს და არა იმ გზებით, როგორც აქამდე მიმდინარეობდა. ჩვენ გვექნება საპარლამენტო უმცირესობის შიგნით განხილვა, მათ კიდევ – უმრავლესობასა და ასევე პრემიერ-მინისტრთან და უახლოეს დღეებში, შემდგომი საუბარი გაგრძელდება“.

პრეზიდენტი ამბობს, რომ საპარლამენტო უმცირესობა სამ საკითხს – პარლამენტის ქუთაისში დატოვებას, ევროატლანტიკური კურსის გაწერასა და პრეზიდენტის პირდაპირი ნესით არჩევას აყენებს: „მთავრობას აქვს პრობლემა, რა მოხდება შემდეგ რამდენიმე თვეში, ჩვენ შეგვიძლია, ეს საკითხი მოვხსნათ, თუმცა ჩვენთვის მნიშვნელოვანია, შემდეგი რამდენიმე წელი რა მოხდება. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, პარლამენტი დარჩეს ქუთაისში ათწლეულებისა და ასწლეულების განმავლობაში, რომ საქართველო ევროპაში შევიდეს. დარწმუნებული ვარ, უმრავლესობის რამდენიმე წევრსაც ამაზე ნაფიქრი აქვს, თუმცა ამის შეჯერება უნდა მოხდეს. ეს არის საკითხები, რაზეც ჩვენ ვმსჯელობთ, ასევე არის მიმდინარე საკითხებიც. ბოლო დროს, დიდი ვნებათაღელვაა, სხვადასხვა განცხადებები კეთდება, ჩვენ ახლა ეს არ განგვიხილავს, რადგან ვცდილობდით, საქმეზე ვყოფილიყავით ორიენტირებულნი“.

თავის მხრივ, პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის განცხადებით, პრეზიდენტსა და უმცირესობასთან შეთანხმება მიღწეული არაა, თუმცა პროცესს უპერსპექტივოს ვერ დავარქმევდი: „შეხვედრა საქმიანი იყო. ჩვენ, ცხადია, არ გვისაუბრია იმაზე, რაზეც ბატონმა პრეზიდენტმა დასაწყისში ისაუბრა. ჩვენ, ცხადია, ამაზე ვერ ვთანხმდებით და ვერც შევთანხმდებით. დარწმუნებული ვარ, იმ აქტით, რომელსაც ხელი მოვაწერე, თავისუფლება სწორედ პოლიტიკურმა დევნილებმა მიიღეს. საჯარო ბიბლიოთეკასთან კრიმინალთა ბრბო მე არ დამინახავს. იქ იყო შეკრებილი ხალხი, რომელიც პროტესტს გამოხატავდა, რომლის დროსაც, მათ კანონი დაარღვიეს და ყველა კანონდამრღვევი უნდა დაისაჯოს. რაზეც ვთანხმდებით, არის ის, რომ მსგავსი მოვლენები ქვეყანას არავითარ შემთხვევაში არ წაადგება, ვისი მიზეზითაც არ უნდა იყოს იგი დაგეგმილი, პროვოცირებული თუ ყურადღება ვერმიქცეული, ამიტომ სწორია პოლიტიკური პროცესის პარლამენტში გადატანა. რაც შეეხება განსახილველ თემებს, ჩვენ გავიარეთ ყველა საკითხი, ჯერ შეთანხმებამდე არ ვართ მისული, თუმცა პირადად, მრჩება შთაბეჭდილება, რომ ეს დიალოგი უპერსპექტივო არ არის და ეს არ არის მხოლოდ გარკვეული პიარ-აქციები ან ჩვენი ან პრეზიდენტის მხრიდან და არც ორივეს მხრიდან. სურვილი იმისა, რომ ვითარება დარეგულირდეს და კონსტიტუციური გამოსავალი მოვძებნოთ, არის ორივე მხრიდან გააზრებული და გათვითცნობიერებული. ამასობაში, კოალიცია „ქართული ოცნება“ აცხადებს და ეს ბატონ პრეზიდენტსაც მოვახსენეთ, რომ იმ კონკრეტულ საკითხზე შეთანხმება – პრეზიდენტის უფლებამოსილება მთავრობის ფორმირების ნაწილში, ეს არის სწორედ გასაღები ყველა სხვა საკითხზე შეთანხმების გადაწყვეტილების მიღებისა, თუმცა დეტალებზე ვერ ვისაუბრებ. საუბრის პროცესში ახალი შესაძლო სქემები და ვარიანტები გამოიკვეთა, საჭიროა დაფიქრება. პრეზიდენტი და მისი გუნდი შიგნით განიხილავს. ალბათ, ორიოდე დღეში შეხვედრა გვექნება. მე მოვისმინე მათი მოსაზრებები და ყველა საკითხი, რაც აღელვებთ და ამის თაობაზე ჩვენც გვექნება განხილვა. შეთანხმება მიღწეული არაა, თუმცა პროცესს უპერსპექტივოს ვერ დავარქმევ“.

ამ დიპლომატიური მოთელვის შემდეგ, სააკაშვილი ტონს ცვლის და აცხადებს, რომ პრემიერ-მინისტრმა, კეთილი უნდა ინებოს და, დიალოგში ჩაერთოს: „საფრანგეთის კონსტიტუციით, რომელიც ჩვენს ვითარებას ძალიან ჰგავს, პრემიერი ვალდებულია, კვირაში ერთხელ მივიდეს პრეზიდენტთან, მით უმეტეს, რომ ვფიქრობ, ქვეყანაში არის საგანგებო ვითარება. ადამიანებს, რომლებსაც თქვენ შეიძლება, პოლიტპატიმრებად მიიჩნევთ, მე ვთვლი კრიმინალებად. მაქვს უფლება, ჩემი განმარტებები გავაკეთო. 200 პოლიტიკოსი არაა საქართველოში, არათუ 200 პოლიტპატიმარი. მათ მოაწყვეს საპარლამენტო ოპოზიციის ცემა-ტყეპა. მე დღეს მოვისმინე საოცარი განცხადება, რომ სახელმწიფო დაცვის სამსახურს უნდა უზრუნველეყო წესრიგი. დამისახელე ერთი ქვეყანა, სადაც ქუჩაში წესრიგს ამყარებს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური“.

სააკაშვილი ხაზს უსვამს, რომ პრემიერი ვალდებულია, მივიდეს პრეზიდენტთან და იმედი გამოთქვა, რომ მომავალში, ასეც იქნება: „კეთილი ინებოს და, ჩაერთოს დიალოგში, არ ვამბობ, რომ თქვენ არ უნდა მოსულიყავით, თქვენც უნდა მოსულიყავით და ყველა, ვინც ამ საკითხებზე მუშაობს“. **ამის შემდეგ პრეზიდენტსა და პარლამენტის თავმჯდომარეს შორის პრესკონფერენცია დებატებში გადაიზარდა. სააკაშვილმა 8 თებერვალს განვითარებული მოვლენების შესახებ, ასევე საპარლამენტო უმცირესობის დეპუტატებზე ზეწოლის თაობაზე ისაუბრა და მაგალითად ფოთის ყოფილი მერი გოჩა ლემონჯავა მოიყვანა.** „ამისთვის შევიკრიბეთ აქ? რისთვისაც შევიკრიბეთ იმაზე ვისაუბროთ“, — **მიმართა მას პარლამენტის თავმჯდომარემ, რაზეც სააკაშვილმა აღნიშნა, რომ ეს ის თემებია, რაც საზოგადოებას აინტერესებს. დავით უსუფაშვილმა პრეზიდენტს ჰკითხა, „ტელედებატებში არიან თუ არა“, რაზეც სააკაშვილმა უპასუხა: „თუ გნებავთ, ტელედებატებშიც ვართ“. საუბარი შეეხო პრეზიდენტის ყოველწლიური ანგარიშით გამოსვლას საკანონმდებლო ორგანოში. სააკაშვილმა აღნიშნა, რომ პარლამენტში მივა მხოლოდ ქუთაისში და თუ პარლამენტის თბილისში გადმოტანის საკითხი დადგება, ეს იქნება კონსტიტუციური გადატრიალების მცდელობა.**

„თქვენ, რა თქმა უნდა, ქუთაისში გელოდებით იმიტომ, რომ იმ დროისთვის, როდესაც პარლამენტი შეიძლება, დედაქალაქში იყოს გადმოტანილი — ნოემბერში, დეკემბერში, თქვენ პრეზიდენტი აღარ იქნებით. გარდა ამისა, იმ პარლამენტის შენობის ჭკუაზე მოყვანას, რომელიც დაგვიტოვეთ, 6 თვე სჭირდება. პრეზიდენტთან დებატებში არ შევალ, თუმცა თუ საჭირო იქნება, რატომაც არა — შემიძლია, ვისაუბრო 8 თებერვალზეც, 26 მაისზეც, 7 ნოემბერზეც, მაგრამ მე აქ ვარ, არა ჩემი, მიხეილის, ბიძინას მომავალზე სასაუბროთ, არამედ ქვეყნის მომავალზე. მე აქ მოვედი საქმის ინტერესებიდან გამომდინარე და მივდივარ ასევე საქმის ინტერესებიდან გამომდინარე. მიხეილ სააკაშვილს, როგორც ოპოზიციის ლიდერს, მეტი საუბარი შეუძლია, მათ შორის, დაუსაბუთებელი საუბარიც ისევე, როგორც მე შემეძლო, როდესაც ოპოზიციაში ვიყავი, მაგრამ ჩვენ ახლა ვართ ხელისუფლებაში და მეტად საპასუხისმგებლო თემების გადაწყვეტა გვიწევს. დღევანდელმა შეხვედრამ გამოაჩინა, რომ არის გარკვეული პერსპექტივა ამა თუ იმ საკითხზე შეთანხმებისა“, — პასუხობს უსუფაშვილი.

პრეზიდენტმა, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ კარგი ამბავი გაიგო იმის თაობაზე, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში მაინც არ იგეგმება პარლამენტის ქუთაისიდან თბილისში გადმოტანა და განაცხადა: „მე არ ვარ მხოლოდ ოპოზიციის ლიდერი, პირველ რიგში, ვარ საქართველოს პრეზიდენტი და რაზეც ვსაუბრობთ პარლამენტის ადგილსამყოფელი, საგარეო კურსის განსაზღვრა არის ჩვენთვის, ყველასთვის, მნიშვნელოვანი ეროვნული საკითხი და მზად ვარ, ამაზე დისკუსია გავაგრძელოთ“. **პარლამენტის თავმჯდომარემ ბოლო სიტყვა მასპინძელს, მიხეილ სააკაშვილს დაუტოვა, თუმცა დაჰპირდა, როცა პარლამენტში მოვა, პირიქით იქნება. უსუფაშვილმა საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ მოლაპარაკებებში ბიძინა ივანიშვილის ჩართვაც არ გამორიცხა და აღნიშნა, რომ საკანონმდებლო ორგანოს პრეზიდენტის მოსმენაზე უარი არ უთქვამს და ვადები იმ პროგრესიის კვალდაკვალ გადაწყდება, რაც მოლაპარაკებებში იქნება მიღწეული.**

დასასრული მე-4 გვერდზე

დავით ბერძენიშვილი: „ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, ვინ იქნება კოალიციის რჩეული ან დასახელდება თუ არა კოალიციიდან ორი საპრეზიდენტო კანდიდატი!“

რუსუდან შელია
პოლიტიკა

„რესპუბლიკელების“ ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი 8 თებერვალს, საჯარო ბიბლიოთეკასთან მოწყობილ პროვოკაციას აფასებს და კითხულობს, გადაიხდის თუ არა გიგი უგულავა გირაოს, ამასთან განმარტავს, რომ დღეს კოალიციაში ალასანიას „თავისუფალი დემოკრატები“ „რესპუბლიკელების“ „ყველაზე სანდო პარტნიორები“ არიან და, ერთხელ და სამუდამოდ, უნდა დასრულდეს ამ თემაზე პოლიტიკურ კულუარებში ჭორების გავრცელება. რა შედეგს ელის სააკაშვილი-უსუფაშვილის მოლაპარაკებების შედეგად დაწყებული პროცესიდან და რა დათმობაზე შეიძლება წავიდეს ხელისუფლება, ამას საპარლამენტო უმრავლესობის წევრი დავით ბერძენიშვილი „ვერსიასთან“ საუბარში განმარტავს.

— მიუხედავად იმისა, რომ საჯარო ბიბლიოთეკასთან ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები გამომწვევად იქცეოდნენ, დავით ზურაბიშვილის სიტყვებს გავიმეორებ — „ნაციონალების“ პროვოკაციებზე დაუსრულებელი აპელირება კატეგორიულად მიუღებელია. სახელმწიფო ვალდებულია, თუნდაც წინასწარ დაგეგმილი პროვოკაციის შემთხვევაში, დეპუტატების უსაფრთხოება მაქსიმალურად უზრუნველყოს.

— ეთანხმებით „ნაციონალების“ ბრალდებებს, რომ ინფორმაციის წინასწარ არსებობის მიუხედავად, ირაკლი ღარიბაშვილმა შეცდომა დაუშვა და ბიბლიოთეკასთან უსაფრთხოების მაქსიმალური ზომები არ მიიღო?

— შსს-ს მიერ პოლიციის კორდონის მობილიზების საკითხი მართლაც, ბუნდოვანი გახდა, თუმცა ვფიქრობ, ამ ყველაფრის შემდეგ, ირაკლი ღარიბაშვილმა კარგი გამოცდილება მიიღო და მსგავსი შემთხვევების პრევენციისთვის მეტ დამცავ მექანიზმსაც გამოიყენებს. თავისთავად, ირაკლი ღარიბაშვილის ინციდენტის ადგილზე მისვლა, მისასალმებელი იყო, რადგან მისი წინამორბედები აქციებზე ხალხის დასარბევად ფორმაში გამოწყობილები მიდიოდნენ, თუმცა როგორც ჩანს, ექსცესების თავიდან ასაცილებლად, მეტი ძალისხმევაა საჭირო. ერთი ფაქტორიც უნდა გავითვალისწინოთ: გასაგებია, რომ

გიგი უგულავასა და კამპანიას პოლიტიკური მიზნები ამოძრავებდა — პროვოკაციის მოწყობით შოუ უნდა დაედგათ, მაგრამ ამაზე ისინი მხოლოდ იმ იმედით წავიდნენ, რომ კარგად ჰქონდათ გააზრებული, პოლიცია „ნაციონალებს“ ნაწამებ ყოფილ პატიმრებს საჯიჯგნად არ მიუგდებდა. აბა, ერთი ვკითხოთ უგულავას, გაბედავს თუ არა პოლიტპატიმრებთან პოლიციელების გარეშე მისვლას?

ფაქტია, უგულავა შეგნებულად აღიზიანებდა დემონსტრანტებს, კადრებში ისიც კარგად ჩანს, რამდენად აგრესიულად იქცეოდნენ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები. განსაკუთრებით, უსიამოვნო და სამარცხვინო იყო კობა ხაბაზის მოქმედება, რომელიც პოლიციის ზურგსუკან იდგა. მან ორჯერ მიარტყა წიხლი დემონსტრანტებს და ისევ პოლიციელების კორდონს ამოეფარა.

— ინციდენტთან დაკავშირებით, დასავლეთის შეშფოთებამაც არ დააყოვნა.. რას ნიშნავს ფაქტი, რომ შსს-ს მიერ ორჯერ გაჟღერებული გაფრთხილების მიუხედავად, გიგი უგულავას დაკითხვამდე მიყვანა ვერ ხერხდება?

— ვფიქრობ, შეფასებები საკმაოდ ზომიერი იყო. საერთოდ, ნაციონალურ მოძრაობას არაფერი ეშველება იმ შემთხვევაშიც კი, თუ დასავლეთს გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, ჩვენი მისამართით კითხვები გაუჩნდება. კითხვის დასმა იმას არ ნიშნავს, ვინმე ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი გახდა. ფაქტია, დღეს ოპოზიცია ამომრჩეველზე ველარ მუშაობს და დასავლეთის თვალში „ოცნების“ დისკრედიტაციას ცდილობს, მაგრამ მსგავსი ქმედებებით ისინი მხოლოდ საკუთარ თავს აზიანებენ. რაც შეეხება გიგი უგულავას, მისი საუბრები ჭკვიანური ნამდვილად არ არის.

უმჯობესი იქნება, უგულავამ თამაშს თავი დაანებოს და დაკითხვაზე მიბრძანდეს. მან უნდა უპასუხოს საკმაოდ სერიოზულ კითხვას, სად გაქრა ბიუჯეტიდან 2 მილიონ ლარზე მეტი და რატომ ახმარდა დედაქალაქის ფულს ნაციონალური მოძრაობის კოორდინატორებს? მოგეხსენებათ, დოკუმენტური მასალა და მერის მოადგილის ჩვენებები უკვე არსებობს და თუ უგულავას ბრალდება დაუდასტურდება, რამდენიც უნდა იძახოს, პოლიტიკური დევნააო, 2 მილიონის გაფლანგვას

„დოკუმენტური მასალა და მერის მოადგილის ჩვენებები უკვე არსებობს და თუ უგულავას ბრალდება დაუდასტურდება, რამდენიც უნდა იძახოს, პოლიტიკური დევნააო, 2 მილიონის გაფლანგვას არავინ აპატიებს!“

არავინ აპატიებს. ისე, ძალიან მაინტერესებს, გადაიხდის თუ არა გიგი უგულავა გირაოს.

— სანამ უგულავას დაკითხვაზე იძულების წესით იბარებენ, დავით უსუფაშვილი პრეზიდენტს რეზიდენციაში ხვდება. მხარეებს შორის შეთანხმება ჯერ ვერ შედგა, რა შედეგს ელით ამ პროცესით?

— მიხეილ სააკაშვილმა კარგად იცის, რომ დავით უსუფაშვილი კორექტული პოლიტიკოსია, ამიტომ მასთან კორექტულადაც უნდა ისაუბროს. ჩვენთვის პრინციპული მნიშვნელობის საკითხია კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებები, რაშიც სააკაშვილის განცხადებით, მხარს დაგვიჭერს. ეს იმას ნიშნავს, რომ პრეზიდენტის მიერ უკანონოდ მიტაცებული უფლებამოსილების ჩამორთმევის საკითხში, კენჭისყრა ერთობლივი იქნება და ცვლილება, მინიმუმ, 120 ხმას მიიღებს. რაც შეეხება ცვლილებას პარლამენტის ადგილსამყოფლის შესახებ, ჩვენ მას პრეზიდენტთან საუბრისას მთავარ პირობად არ ვაყენებთ. უბრალოდ, ვამბობთ, რომ შედეგი კენჭისყრაზე უნდა გადაწყდეს. ქვეყნის წინაშე აღებული პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, პრემიერიც მზადაა, მატყუარა სააკაშვილს დაელაპარაკოს. სწორედ ამ მიზნით შეხვდა პრეზიდენტს პარლამენტის თავმჯდომარეც და, საჭიროების შემთხვევაში, პროცესში ბიძინა ივანიშვილიც ჩაერთვება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ პოზიციებს ვთმობთ, უბრალოდ, ამ ნაბიჯებით ჩვენი სიმართლის დადასტურებას ვცდილობთ.

— კონსტიტუციაში ქვეყნის საგარეო კურსის დაფიქსირებაზე თანხმობა თქვენი მხრიდან დათმობაზე წასვლას არ ნიშნავს, ფრაქციებისთვის გამზადებული 14-პუნქტიანი შეთავაზებაც, ფაქტობრივად, უმცირესობის მოთხოვნებს იმეორებს?

— ნაციონალური მოძრაობის ინიციატივა საგარეო პოლიტიკის კონსტიტუციაში დაფიქსირებასთან დაკავშირებით, რომლის განხილვის დასაწყებად ან 200 ათასი ხელმოწერა ან დეპუტატთა ნახევრის თანხმობა იყო საჭირო, მხოლოდ პოლიტიკური ტექსტია. აღნიშნული ინიციატივა ძალიანაც რომ მოგვწონდეს, მას მინიმუმ, ორი თვე სჭირდება და პროცედურების გავლის გარეშე, ვერ განვიხილავთ. 14-პუნქტიანი შეთავაზება კი, 18 იანვარს, ფრაქციების თავმჯდომარეებს კაბინეტებში დაურიგდათ. ასე რომ, ეს ძველი თემაა, რამაც „ნაციონალები“ კიდევ ერთხელ დააბნია.

პარადოქსი, იცით, რა არის? საგარეო კურსთან დაკავშირებით, უნდობლობას გია ბარამიძე გვიცხადებს, რომელმაც 1992 წელს, საქართველოს დსთ-ში გაერთიანებას ხმა მისცა და ყოველ ექვს თვეში რუსის ჯარს საქართველოში ყოფნის ვადას უხანგრძლივებდა. დედას გეფიცებით, ნატო-ში შევალთ და დსთ-ში არ დავბრუნდებით, კონსტიტუციური ტექსტი არ არის, ამიტომ ჩვენ მოვძებნეთ ფორმა, რომლის მიხედვითაც, პრეამბულაში ჩაიწერება, რომ ისტორიულად, საქართველო წარმატებული იყო მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენი დასავლური არჩევანი რეალიზებული გვქონდა.

კონსტიტუცია 2013 წლის ოქტომბრიდან უნდა ამუშავდეს. როგორც ჩანს, სააკაშვილი პრემიერობისთვის ემზადებოდა იგივე უგფლებამოსილებებით, რაც სუპერპრეზიდენტობის დროს ჰქონდა, ახლა კი კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ახლა პრემიერი ბიძინა ივანიშვილია. იქიდან გამომდინარე, რომ ახალი თავკომბალა აღარ გვინდა, არც ივანიშვილი და არც კოალიცია საპრემიერო დიქტატურის უფლებამოსილების გამოყენებას არ გეგმავს. ჩვენ პრემიერის, პრეზიდენტისა და პარლამენტის უფლებამოსილებებს აუცილებლად დავაბალანსებთ, რაც კოალიციაში ერთობლივად გადაწყდა.

— ეს იმას ნიშნავს, რომ აზრთა სხვადასხვაობა ირაკლი ალასანიას პარტიასა და თქვენ შორის ამოწურულია, არადა, ამბობდნენ, რომ ირაკლი ალასანიას წინააღმდეგ შავი პიარი „რესპუბლიკელების“ მხრიდან იმართებოდა...

— პირიქით, „თავისუფალ დემოკრატებსა“ და „რესპუბლიკელებს“ შორის, ძალიან კარგი ურთიერთობა ჩამოყალიბდა. ჩვენს ინტერესებში შედის, კოალიციაში ირაკლი ალასანიას სახით, ძლიერი პარტნიორი იყოს. რაც შეეხება აზრთა სხვადასხვაობას, ჩვენი ხედვები თავიდანვე დეკლარირებული იყო — „რესპუბლიკელები“ საპარლამენტო სახელმწიფო მოწყობის მომხრე ვართ, „თავისუფალი დემოკრატები“ — საპრეზიდენტოსი. ჩვენ ადრეც საპარლამენტო რესპუბლიკის თავგადაკლული მომხრეები ვიყავით, მაგრამ ლევან გაჩეჩილაძის საპრეზიდენტო კანდიდატურას მხარი დავუჭირეთ. დღეს კოალიციის ლიდერიც საპარლამენტო რესპუბლიკისკენ იხრება, შესაბამისად, თუ სახელმწიფო ამ მოდელზე გადავა, „თავისუფალი დემოკრატებიც“ შექმნილ პოლიტიკურ მოცემულობაში გააგრძელებენ მოქმედებას.

— ანუ ირაკლი ალასანია დათმობაზე წავიდა და დეკლარირებულ პოლიტიკურ პრინციპზე უარს ამბობს?

— ჩვენც ხომ მუდმივად გვიწევდა გარკვეული საკითხების დათმობა, რაზეც არაერთხელ წავსულვართ?! თანაც ირაკლი ალასანიამ არაერთხელ აღნიშნა, რომ კოალიციაში პრობლემებს არ შექმნის. ზოგადად, პოლიტიკური გაერთიანების პრინციპი ასეთია: ან საერთო პოზიციას იღებ ან მიდიხარ. საბედნიეროდ, დღეს კოალიციაში კარგი სათანამშრომლო ფორმატია, ხოლო დამლაზე საუბარი აბსოლუტურად სისულელეა, რადგან არც ერთ ჩვენგანს ეს არ სჭირდება. ერთხელ და სამუდამოდ, მითქმა-მოთქმა რომ დასრულდეს, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, „თავისუფალი დემოკრატები“ ჩვენთვის ყველაზე სანდო პარტნიორები არიან. იმასაც გეტყვით, ბევრი რამ იმაზეც იქნება დამოკიდებული, ვინ იქნება კოალიციის რჩეული ან დასახელდება თუ არა ორი საპრეზიდენტო კანდიდატი.

— ანუ კოალიციისგან, შესაძლოა, ორი საპრეზიდენტო კანდიდატიც დასახელდეს, ეს საკითხი უკვე განიხილეთ?

— პირდაპირ ვამბობ, რამდენიმე საპრეზიდენტო კანდიდატი კოალიციაში არავის აწყობს. ივანიშვილს სხვა კანდიდატი ჰყავდეს და ჩვენ სხვა, ეს პრაგმატულად არც ერთი ჩვენგანისთვის მისაღები არ არის.

— აღიარებთ, რომ ივანიშვილის კანდიდატურას კონკურენციას ვერ გაუწევთ...

— რა თქმა უნდა, ვის სჭირდება ივანიშვილთან კონკურენცია? თუმცა, ამ მხრივ, ჩვენ პრობლემა არ გვაქვს, რადგან, როგორც არაერთხელ აღვნიშნე, საპარლამენტო რესპუბლიკას ვემხრობით. საერთოდ, როგორი ფორმითაც უნდა გადაწყდეს პრეზიდენტის არჩევა, დარწმუნებული ვარ, არჩევნებში კოალიციის მიერ დასახელებული კანდიდატი გაიმარჯვებს.

ვერსიანიუსი

იულია ლატინინა: „საქართველომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა ირიბად აღიარა“

საქართველომ დე ფაქტო სამხრეთ ოსეთი აღიარა იმიტომ, რომ მან პალესტინა აღიარა, ანუ ჰამასი, რომელმაც სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა, – ამის შესახებ ცნობილმა რუსმა ჟურნალისტმა, იულია ლატინინამ „ექო მოსკვის“ ეთერში განაცხადა.

მისი თქმით, ბიძინა ივანიშვილის რეიტინგი დროთა განმავლობაში დაიკლებს, რადგან მოქმედი მთავრობა დაპირებებს არ ასრულებს.

„საქართველოს ახალმა მთავრობამ საარჩევნო პერიოდში დაკისრებული ვალდებულებები არ შეასრულა. ახალმა მთავრობამ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის დაკარგვა ძველ ხელისუფლებას დააბრალა და საარჩევნო კამპანიის დროს, ხალხს ტერიტორიების დაბრუნებასა და რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებას დაჰპირდა“, – განაცხადა ლატინინამ.

ასევე ლატინინამ პროკურატურის მიერ გამოცხადებული ელიტური კორუფციის ფაქტებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მთავრობას 5 თვის განმავლობაში, აღნიშნული კორუფციის ბრალდებით, არც ერთი მაღალჩინოსანი არ დაუკავებია.

„ექსპრესნიუსი“

„ოქრუაშვილმა საკუთარი დანაშაულის სხვაზე გადაბრალება ცხოვრების წესად გაიხადა“

მიხეილ ქარელი შს ყოფილ მინისტრს, ირაკლი ოქრუაშვილს უპირისპირდება და აცხადებს, რომ ოქრუაშვილმა საკუთარი შეცდომებისა თუ დანაშაულის სხვაზე გადაბრალება და ხელის შეწმენდა ცხოვრების წესად გაიხადა.

„რეჟიმის ავტორად რომ ვასახელებ, თვითონ რა, უარყოფს?! ოთხი წელია, რაც საფრანგეთში ვიმყოფები და აქედან 3 წელია, მასთან ურთიერთობა აღარ მაქვს. დღესაც ჩემს აღშფოთებას იწვევს და საწყენია, რომ ოქრუაშვილმა საკუთარი შეცდომებისა თუ დანაშაულის სხვაზე გადაბრალება და ხელის შეწმენდა ცხოვრების წესად გაიხადა. როდესაც ხედავ, ამ ადამიანისთვის პოლიტიკა ჩვეულებრივი ბიზნესია, ხოლო მეგობრები პირადი მიზნის მისაღწევად გამოსაყენებელი საშუალებები, რასაკვირველია, ეს შენთვის უდიდესი იმედგაცრუება და გულგატეხილობაა. ბუნებრივია, ისმის კითხვა — რატომ არ ჩანან მის გვერდით ის ადამიანები ვისთან ერთადაც გადაწყდა სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა? პასუხი მარტივია, უამრავი ადამიანი, მის გვერდით ვიდექით გულწრფელად, სამართლიანი იდეებისა და პრინციპების ბრძოლისათვის და სამწუხაროდ, ეს ღირებულებები მისგანვე იქნა უგულებელყოფილი და შეურაცხყოფილი“, — აცხადებს მიხეილ ქარელი.

„ვერსიანიუსი“

„ამოძირკვეს“ თუ არა პარტიიდან საგანელიძის აღმოჩენილი აგენტები თავისუფალმა დემოკრატებმა?

ეკა სეხნიაშვილი

ალასანიას პარტიაში შიდადაძაბულობაზე საუბრობენ. პარტია კასპის გამგებელმა ოლეგ იაძემ ალასანიას დეიდაშვილთან, გიორგი ბესტავაშვილთან უთანხმოების გამო, დატოვა. პოლიტიკური ოპონენტების ნაწილი იმასაც აცხადებს, რომ ალასანიას საპრეზიდენტო განაცხადების შემდგომ, თანაპარტიელები გაემიჯნენ. მათ შორის ასახელებენ იუსტიციის მინისტრს თეა წულუკიანს, რომელსაც, მოქმედი კანონმდებლობით, პარტიის პოლიტსაბჭოს შემადგენლობაში ყოფნა არ ეკრძალება, თუმცა აცხადებს, რომ მოუცლელობის გამო, პარტიის პოლიტსაბჭოს სხდომებს ვეღარ ესწრება. ივანიშვილის გარემოცვაში იმაზეც მიუთითებენ, რომ ალასანიასა და პრემიერს შორის დაძაბულობა მხოლოდ გარეგნულად აღმოიფხვრა, სინამდვილეში, ივანიშვილი თავდაცვის მინისტრს მაინც არ ენდობაო. პოლიტიკური წყაროები პროგნოზირებდნენ, თუ ალასანია პრემიერთან ურთიერთობას ვერ დაასტაბილურებს, ვიქტორ დოლიძე, დავით ონოფრიშვილი და რამდენიმე თანაპარტიელი, პარტიას დატოვებსო... რა ხდება თავისუფალ დემოკრატებში, ამოძირკვეს თუ არა საგანელიძის „აღმოჩენილი აგენტურა“ და ჩამოყალიბდება თუ არა ალასანიას პარტია ცალკე ოპოზიციურ ძალად — ამ საკითხებზე „ვერსიას“ გიორგი ცაგარეიშვილი ესაუბრა.

— ბატონო გიორგი, კასპის გამგებელმა ოლეგ იაძემ პარტია „თავისუფალი დემოკრატები“ დატოვა. მიზეზად ირაკლი ალასანიას დეიდაშვილთან, გიორგი ბესტავაშვილთან უთანხმოება სახელდება.

— მე არ ვარ ღრმად ჩახედული მათი კონფლიქტში, ამიტომ კომპეტენტურ პასუხს ვერ გაგცემთ, სჯობს, პარტიაში იკითხოთ. პარტია ცოცხალი ორგანიზმია, წევრები შემოდიან, გადიან. პარტია იცვლის თავმჯდომარეებს, გენმდივნებს და ამაში ვერავითარ პრობლემას ვერ ვხედავ.

— თქვენ განაცხადეთ, რომ პარტიას ტოვებენ და პარტიაში შემოდიანო. იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა, რომ პარტიის პოლიტსაბჭოს სხდომებს მოუცლელობის გამო ვეღარ ესწრება. ისიც არ დაუმალავს, რომ ალასანიას მასთან საპრეზიდენტო ზრახვებზე არ უსაუბრია. პოლიტიკურ წრეებში გაჩნდა ვერსია, რომ წულუკიანი მალე გაემიჯნება ალასანიას.

— ეს, უმჯობესია, მინისტრს ჰკითხოთ, სამომავლო მიზნები თავად უკეთ ეცოდინება. ჩვენი პარტიიდან მას შეჩერებული აქვს უფლებამოსილება იუსტიციის მინისტრის პოსტზე ყოფნის ვადით, თუმცა არ ეკრძალება პოლიტსაბჭოს სხდომებზე დასწრება მიუხედავად იმისა, არის თუ არა წევრი. ჩვენ გვყავს რამდენიმე ადამიანი, რომლებიც მინისტრები ან მოადგილეები არიან, უფლებამოსილება შეიჩერეს, თუმცა პარტიასთან კონტაქტი არ გაუწყვეტიათ. ჩვენ, უბრალოდ, „ნაციონალების“ დანერგილ მავნე ჩვეულებაზე ვთქვით უარი, როდესაც მინისტრები პარტიული ლიდერები იყვნენ და ემსახურებოდნენ მხოლოდ პარტიას და არა საქართველოს.

— სანამ დავით საგანელიძე თქვენს პარტიაში ჩანერგილთა სიას განასაჯაროებდა, თქვენ ჩაგაყენათ საქმის კურსში, პარტიის თავმჯდომარეს ეს ინფორმაცია არ მიაწოდეთ?

— მე და დათო საგანელიძეს გვქონდა ამაზე საუბარი, რაც საჯაროდ განვაცხადე კიდეც. ჩვენ ერთად ვიყავით წინა დღეს პრეზენტაციაზე და სწორედ მაშინ მითხრა, დაწვრილებით ვისაუბრეთ და ბატონი დავითის ვარაუდი ჩვენი პარტიის წევრებს გადავეცი. მე და დათო დარბაზში, ფაქტობრივად, ერთად ვსხედვართ და მეგობრები ვართ.

— მაშინ რატომღა განაწყენდნენ „თავისუფალი დემოკრატები“, საგანელიძისგან საჯაროდ არ უნდა ვიგებდეთ ამ ამბავს და საქმის კურსში ჯერ პარტია უნდა ჩაეყენებინაო?

— მე ნამდვილად გადავეცი პარტიის თავმჯდომარესა და გენერალურ მდივანს ეს ინფორმაცია ანუ იმ ადამიანებს, ვისაც პარტიაში რეაგირება უნდა მოეხდინა. ეს განცხადება მეორე დღეს გააჟღერა საგანელიძემ.

— ირაკლი ალასანიას საპრეზიდენტო განაცხადის შემდეგ, მისივე თანაპარტიელებმა საკმაოდ მკაცრი პოზიცია დაიკავეს. მაშინვე გაჩნდა ეჭვი, რომ ალასანიას თანაგუნდელები აუმხედრდნენ..

— როგორც ირაკლიმ აღნიშნა, ეს იყო მისი მხრიდან შეცდომა, რაც გახდა მძიმე საუბრის შედეგი. როგორც ვნახეთ, ეს პრობლემები დღეს გადაწყვეტილია, რაც პრემიერ-მინისტრმაც დაადასტურა და ირაკლი ალასანიამაც. მინიკონფლიქტი ამოწურულია.

— თქვენთან თუ ჰქონდა ამ თემაზე საუბარი?

— პარტიის გამგეობებზე, ბუნებრივია, რადგან ყველას აწუხებდა ეს პრობლემა. პარტია შედგება გამგეობისგან, ათასობით წევრისგან, ჩვენ უნდა ვიცოდეთ ლიდერების ზრახვები, რათა შემდეგ, ეს გავაცნოთ პარტიის რიგით წევრებს. სხვანაირად პარტია ვერ გააგრძელებს ფუნქციონირებას.

— ბატონო გიორგი, აგენტები ამოძირკვეთ, იგივე სანოძე გარიცხეთ?

— სანოძე არასოდეს ყოფილა „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი. ის იყო „ქართულ ოცნებაში“ ჩანერგილიო. ეს საგანელიძისა და სანოძის გასარკვევია და ვერავის აგენტობაზე ვერ დავიწყებ აქ საუბარს. „თავისუფალ დემოკრატებში“ ჩანერგილი აგენტები არ არიან, არიან ადამიანები, რომლებმაც არ დაიცვეს პარტიული დისციპლინა და გამოთქვეს საკუთარი მოსაზრებები სხვადასხვა მანიფესტაციებსა და შეკრებებზე, რაც არ იყო შეთანხმებული პარტიის გამგეობასთან. ამისათვის გატარდა დისციპლინარული ღონისძიებები. ეს ადამიანები მკაცრად გააფრთხილეს და თუ მსგავსს გაიმეორებენ, გაირიცხებიან პარტიიდან. ვერავითარი აგენტები პარტიაში ვერ აღმოვაჩინეთ, თუ სხვა პარტიებს ჰყავთ, ეს მათი სამუშაოა.

— ექსპერტების ნაწილი ვარაუდობს, რომ ალასანიას გუნდს მალე ოპოზიციაში ვიხილავთ...

— ენას ძვალი არ აქვს, ასე, ყველაფრის დაბრალება შეიძლება. ექსპერტმა რაღაც მოსაზრებები უნდა გაავრცელოს, მათგან ზოგიერთის შეფასება ღირებულია, ზოგიერთის — არა. რამდენად რეალურია პროგნოზი, ამას დრო აჩვენებს.

„ღიმილისმომგვრელია, პუტინივით მყრალი ენა გქონდეს და ევროპულად მოქცევას ითხოვდე!“

მე-2 გვერდიდან



პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის შეხვედრის შემდეგ, ავლაბრის რეზიდენციაში უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია და საპარლამენტო უმცირესობის ლიდერები – გიორგი ბარამიძე, პავლე კუბლაშვილი და გოკა გაბაშვილი მივიდნენ.

ექსპერტი დემურ გიორხელიძე მიიჩნევს, რომ პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის შეხვედრა პოლიტიკური პროცესის დასაწყისია: „როგორი რთული სიტუაციაც უნდა იყოს, როგორი პრეტენზიაც უნდა გაგვაჩნდეს ნაციონალური მოძრაობისა და მისი ლიდერების მიმართ, რომლებმაც ძალაუფლება ნამდვილად ბოროტად გამოიყენეს, პოლიტიკური პროცესი კონსტიტუციურ რეჟიმში უნდა გაგრძელდეს. ამას ითხოვს საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესების პერსპექტივები... ემოციას რომ ავყვეთ და ნება მივუშვათ, 8 თებერვლის მოვლენის გაგრძელება სასიკეთოდ არ დასრულდება. ცხადია, არანაირი ილუზია არ არსებობდა, რომ შედეგი დადგებოდა პირველივე შეხვედრაზე და, თუ რეალისტები ვიქნებით, საეჭვოა დადგეს, თუ შედეგის ქვეშ ვიგულისხმებთ პოლიტიკური კონსტრუქციული პროცესის შედეგად ქვეყნის პოლიტიკური სისტემის შექმნას. საქმე ისაა, რომ დღევანდელი საპარლამენტო ოპოზიცია არაა ამ მასშტაბის ამოცანის ამწევი — მათ სხვა ინტერესები გააჩნიათ. ნებისმიერ შემთხვევაში, დღევანდელი მოლაპარაკებები დადებითი მომენტია და იგი ცხადია, უნდა გაგრძელდეს. თუმცა, არსებობს ერთი დიდი საშიშროება. მხარეების შეთანხმების საგნად დასახულია ის კონსტიტუციური ცვლილებები, რომლებიც ნაჩქარევად წამოწეულია უმრავლესობის მიერ. ეს იმდენად უმნიშვნელო და არაარსებითი ცვლილებებია, რომ არაფერს შეცვლის ჩვენს აბურდულ პოლიტიკურ სისტემაში, ამიტომ ფუნდამენტურად, კონსტიტუციის ცვლილების ნაცვლად რაღაც შუალედური, პოლიტიკური ორივე ჯგუფისათვის დღეს მისაღებ საკითხებზე კეთდება აქცენტი. ამდენად, დისკუსია შეიძლება აცდეს იმ ფუნდამენტურ პრობლემებს, რომლებიც აწუხებს საზოგადოებას და სასიცოცხლოდ აუცილებელია სამომავლოდ. ვფიქრობ, საინტერესო იქნებოდა მხარეების შეთანხმება ახალი კონსტიტუციის მიღების თაობაზე. მისი პროექტის გამოქვეყნება და საჯარო განხილვა სასურველი იქნებოდა, ამიტომ მაინცდამაინც იმედიანად არ ვუყურებ ამ პროცესს იმ მარტივი მიზეზების გამო, რომ მათში არაა უმთავრესი, ყველაზე მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხები. ამდენად, საზოგადოებას შეიძლება შეექმნას ილუზია, რომ მსჯელობა რაღაც არსებითზე მიდის. დისკუსია საკმაოდ მძაფრი იქნება და არ მგონია, უმრავლესობას იმედი უნდა ჰქონდეს, რომ შეშინებული ოპოზიცია რაიმე არსებითს დაუთმობს. მთავარია, რა მიმართულებას მიიღებს ეს დიალოგი და რაზე გაკეთდება მთავარი აქცენტები. ეს სულ რამდენიმე დღეში გამოჩნდება“.

„ვერსიასთან“ საუბრისას, პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე ამბობს, რომ მთლიანობაში, სააკაშვილი-უსუფაშვილის პირველი შეხვედრა უფრო დადებითად უნდა შეფასდეს: „რამდენადაც, უარყოფითი შედეგიც შეიძლება ყოფილიყო; რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ერთ-ერთი მხარე ან ორივე მაგიდიდან წამოხტებოდა და შეხვედრას მიატოვებდა. რახან მოლაპარაკება შედგა და თან გაცხადდა, რომ სამომავლოდ აპირებენ გაგრძელებას, ე.ი დიალოგი უშედეგო არ არის. რაც შეეხება სხვა კომპონენტებს, პრესკონფერენციამ ბოლოში დებატების სახე მიიღო და აღნიშნული რეჟიმი პრეზიდენტმა შექმნა. ამ დროს, იგი კონკრეტულ თემას ასცდა. კამათის დროს თემიდან გადახვევა იმაზე მიუთითებს, რომ კონკრეტულ საკითხში მოკამათე თავს მყარად ვერ გრძნობს. ამ შემთხვევაშიც, პრეზიდენტმა სუსტი წერტილი გამოავლინა. იმედი ვიქონიოთ, სამომავლოდ, მისი მოქმედება უფრო ფრთხილი იქნება და ეს ნიუანსი საბოლოო განწყობილებასა და დასკვნაზე არ აისახა“.

რაც შეეხება დიალოგის პერსპექტივებს, საყვარელიძის თქმით, გააჩნია, შედეგებში რას ვგულისხმობთ: „თუ არ ვცდები, ნაციონალურ მოძრაობას თანხმობის მიღება სურს იმაზე, რომ არ იყოს სამართლებრივი დევნა. თუ დანაშაული ჩადენილი იყო, ის სამართლებრივად უნდა დაისაჯოს. ამ პუნქტში შეთანხმება შეუძლებელია. სხვა ყველა პუნქტში ჩვენ ვხედავთ, რომ შეთანხმების შესაძლებლობაზე „ქართული ოცნებაც“ ამახვილებს ყურადღებას. კერძოდ, კონსტიტუციაში საგარეო კურსის შეტანა გინდათ, კი ბატონო, ვიპოვით ამის რესურსს; ქუთაისზე შემოდგომამდე არაფერი მოხდება და ა.შ. ასე რომ, კომპრომისების მზაობა ერთ მხარეს ჩანს. მეორე მხარეს თითქოს კომპრომისის მზადყოფნა გამოხატულია, რომ შეიზღუდოს პრეზიდენტის უფლებები, ეფემერულიაო, მაგრამ საქმე გიჩვენებს ეს როგორ მოხდება“.

როგორც ჩანს, დიალოგი უფრო ინტენსიურად გაგრძელდება და მხარეები განწირულნი არიან შეთანხმებების მისაღწევად. 8 თებერვალი ამ სცენარიდან სრულად ამოვარდნილი იყო და ამაზე გაუთავებელი სპეკულაციები დივიდენდებს არავის მოუტანს. ადამიანებს ვიწრო პოლიტიკური კინკლაობა ნაკლებად აღელვებთ და ყველა მიმართულებით პროგრესს ელიან. მთლიანობაში, უკვე შედეგია, რომ ოცი წლის შემდეგ ამ ქვეყანაში ომი და სიკვდილი აღარავის უნდა. თორემ, ეშმაკმა უწყის, რაზე იყვნენ წამსვლელები დღევანდელი „ძლიერნი ამა ქვეყნისა“. „რევოლუციებს“ ბოლო ეღება და ქვეყანა ევოლუციური განვითარების გზას ირჩევს.

„მთელ ამ პროცესში ყველაზე ნაკლებად ჩვენს ყოფილ წევრებს ვადანაშაულებ!“

ნინო კომახიძე
პოლიტიკა

„ქრისტიან-დემოკრატების“ და „ოცნების“ ჩაშლილი შეთანხმების რა დეტალებზე საუბრობს გოჩა ჯოჯუა და როდის გააქტიურდება არასაპარლამენტო ოპოზიცია



„ქრისტიან-დემოკრატები“, უკვე მერამდენედ, საკუთარ გააქტიურებას აანონსებენ, თუმცა, ჯერჯერობით, ერთადერთ რეალურ მოძრაობად პარტიაში ძველი წევრების გადინება რჩება. როდის და რა პირობებში ამოქმედდება ყოფილი საპარლამენტო პარტია და „ოცნებასთან“ ჩაშლილი მოლაპარაკების რა დეტალებზე საუბრობენ „ქრისტიან-დემოკრატები“ — „ვერსიას“ გულახდილ ინტერვიუს გოჩა ჯოჯუა აძლევს.

— ამ 20 წლის განმავლობაში, რა პოლიტიკური ლიდერებიც გვყავდა, ერიც იმის მიხედვით იქცეოდა, თუმცა პირველი პირის ფსიქოტიპი მხოლოდ ერის დიდ ნაწილზე მოქმედებდა, თორემ ქვეყანაში კრიტიკული 10-15% ყოველთვის არსებობს და, რეალურად, სწორედ ამ 15%-ზე დგას სახელმწიფო. იყო ურაპატრიოტიზმი გამსახურდიას დროს და ბევრი იყო წამსვლელი, მასთან ერთად, უფსკრულში გადაჩეხვაზე. მერე მოვიდა შევარდნაძე, რომელმაც ეს პროცესი შეაჩერა, დაიწყო აღებ-მიცემობის პროცესი და მთელი ერი „ვიგოდნიკები“ გავხდით. მერე მოვიდა საკაშვილი, ავანტიურისტი, ნაძირალა, რომელმაც მოიტანა ტენდენცია, რომ მიზანი ამართლებს საშუალებას და ყველანი პიარშიკები, ჩამშვებები და ნაძირლები გავხდით. ახლა დღის წესრიგში წესიერების მოთხოვნილება დადგა. ივანიშვილი კი ფულიანი წესიერია, ამიტომ, ჩემი აზრით, სინამდვილეში, ქართველმა ხალხმა ხმა ფულს კი არა, წესიერ ფულიანს ანუ ამ კომბინაციას მისცა!

— ამ დროს, თქვენს თავს სად მოიაზრებთ, კრიტიკულ 10-15%-ში თუ უმრავლესობაში?

— რა თქმა უნდა, იმ 10%-ში ვარ, აბა, სად უნდა ვიყო, მაგრამ ვიყავი ყველა წინა მთავრობის დროს და ახლაც ვრჩები კეთილგანწყობილი ახალი მთავრობის მიმართ. ჯერ ხომ მინუსები უნდა დავინახო და ისე ვისაუბრო?!

— ტენდენციაზე როცა ვსაუბრობთ, ის პარტიებიც ვახსენოთ, ვინც ამ ტენდენციების დროს იშლებოდა ან წევრებს კარგავდა. ამჯერად, რა მოხდა თქვენს პარტიაში და პარლამენტსგარეთ დარჩენილ ოპოზიციურ სპექტრში?

— ჩვენი პარტიის 6-კაციანი ფრაქციის მქონე ძალას გარკვეულ კომპრომისებზე წასვლა რომ უწევდა სააკაშვილის ხელისუფლებასთან, ხალხს ეს უკვირდა და ჩვენს ერთ-ერთ მინუსად თანამშრომლობა მიაჩნდათ. დღეს, 7 მილიარდისა და თითქმის მთელი საკონსტიტუციო უმრავლესობის მქონე ივანიშვილიც კი იძულებულია, „ნაციონალებს“ ელაპარაკოს, თან ამბობს, სხვანაირად, დასავლელი პარტნიორები ვერ გაგვიგებენო, ამიტომ კითხვა გვიჩნდება — ჩვენ გაგვიგებდნენ?! თუმცა მთელ იმ პოლიტიკურ სპექტრში, როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს, არცერთი არაა პოლიტიკური ქალწული, ვინც კომპრომისზე არ წასულა. ან რა პრინციპით შერჩა კოალიცია — ივანიშვილთან ვინაა, ყველა პარტიას აქვს გაკეთებული ისიც და იმაზე უარესიც, რასაც „ქრისტიან-დემოკრატები“ აკეთებდნენ. ახლა იმაზე მიდის საუბარი, რომ ქართული ოპოზიციური სპექტრი დემოკრატიულ პროცესებში აღდგება. ამ დროს, ბიძინა ერთი ხელით ამას ამბობს, მეორე ხელით — ანადგურებს.

— ძნელი დასაჯერებელია, რომ ივანიშვილის „მსახვრალი ხელი“ ჩაერია სამუშაოგაბუნიას თქვენი პარტიიდან წასვლაში.

— ჩაერია კი არა, ყველაფერი ივანიშვილთან შეთანხმებით მოხდა! როცა მან ქდმ-ს მთელი ფრაქცია წაიყვანა და „ოცნების“ ფრაქციად გადააქცია, ეს მხოლოდ ერთ შემთხვევაში იქნებოდა სწორი: თუ ბიძინა იტყოდა, მხარდაჭერა მჭირდება, რათა საკრებულოში არსებული სიტუაცია შევცვალოო და პარტიის ლიდერები უარს ეტყოდნენ. მხოლოდ ამ შემთხვევაში ჰქონდა მორალური უფლება, ჩვენს გარეშე ფრაქციის ნებისმიერ წევრს დალაპარაკებოდა, მაგრამ ისე მოხდა, პირდაპირ ფრაქციის წევრებს დაელაპარაკნენ და არასწორი საქციელი ჩაადენინეს. ამ ხალხს, ამ შემთხვევაში, ყველაზე ნაკლებად ვადანაშაულებ. მათ ეს კი არ ჩაიდინეს, ჩაადენინეს და ისინიც შეცდნენ, რადგან პერსპექტივის მეტი განცდა სჭირდებოდათ!

— ანუ ახლა თქვენ უპერსპექტივო პარტიაში ხართ?

— ასე არ ვფიქრობ — ამის მეტი რა ყოფილა ჩემს ცხოვრებაში — ბიძინებიც მინახავს, წასულებიც, მოსულებიც, ისიც მესმის, ვიღაცებს ჰგონიათ, რომ მინისტრები იქნებიან! ალბათ, ივანიშვილმა ჩათვალა, რომ ასე მოქცევა სწორია, ასე ხდება პოლიტიკაში და კაციშვილმა არ უთხრა, რომ ასე არაა.

— თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ წევრების პარტიიდან გადინების ყველა დეტალი იცით?

> **— არანაირი კონტაქტი ლიდერებს შორის არ ყოფილა. აქ სხვა მოდელზე იყო საუბარი, რომელზეც ჩვენც თანახმა ვიყავით — ჯაბა სამუშიას სთავაზობდნენ თანამდებობას, ოღონდ მას საკანონმდებლო ორგანო ანუ საკრებულო უნდა დაეტოვებინა და აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადასულიყო, ხოლო „ოცნებასთან“, ასე ვთქვათ, მეგობრული ურთიერთობა ჰქონოდა. ეს კომბინაცია არც ჩვენ გვაზარალებდა, არც „ოცნებას“. გადაწყვეტილებისმიმღები იყო საგანელიძე, მაგრამ მან ბოლომდე არ იცის, როგორ მოიქცეს — იგი ბიზნესმენია და არა პოლიტიკოსი და სწორედ ამ ნიშნითაა შერჩეული უმრავლესობის ლიდერად.**

— რატომ არ შედგა ეს კომბინაცია?

— რა გითხრათ, თუმცა მთელ ამ პროცესში ყველაზე ნაკლებად სწორედ ჩვენს ყოფილ წევრებს ვადანაშაულებ! სხვათა შორის, იგივეს ვიტყვი საჯარო ბიბლიოთეკასთან განვითარებულ პროცესებზეც: ვფიქრობ, იქ ხალხმა ხელი მარტო მიშას კი არა, ბიძინასაც დაარტყა — შენ ვერ შეძელი სამართლიანობის ისე აღდგენა, რომ იძულებული გავხდი, სამართალი ჩემით აღვადგინოო. რატომღაც, „ოცნებამ“ მოახერხა და, მიშა სააკაშვილს უკვე მეორედ დააწერინა პლუსები. ისე გამოვიდა, სააკაშვილმა წაგება აღიარა, თქვა, ოპოზიციაში გადავდივარო და ამის მერე პროცესები კიდევ ქუჩაში რომ გრძელდება, ამ დროს შენ ხარ უკვე ხელისუფალი და პასუხისმგებლობაც შენზეა. ეს კარგად იცის სააკაშვილმა და იგი ყოველთვის ეცდება ივანიშვილის პროვოცირებას.

— ეს კარგად არ იცის ივანიშვილმა?

— არ იცის! თან გეტყვით ერთ რამეს — მის ფრაზებში ხშირად ჩანს დამოკიდებულება მისი გუნდის წევრებისადმი: ყბადაღებულ საკონსტიტუციო ცვლილებებზეც თქვა — პოლიტიკოსები რომ მყავს გუნდში, იმათ ვერ შენიშნეს, ეს რა წერია კონსტიტუციაშიო, თუმცა რომც შეენიშნათ, არაფრად ჩათვლიდნენ — კონსტიტუციაში მარტო მთავრობის დათხოვნა კი არა, ისიც რომ ეწეროს, სააკაშვილს სულ წკიპურტების რტყმა შეუძლია ოპოზიციისთვისო, ამას მაინც ვერ გააკეთებს, რადგან დღეს არც მორალური და აღარც პოლიტიკური რესურსი დარჩა. ეს რესურსი რომ ჰქონდეს და კონსტიტუციაში სულაც არაფერი ეწეროს, მაინც იმას იზამდა, რაც უნდა. ამ დროს, რას აკეთებს „ოცნება“ — სხვა პოლიტიკურ პარტიებს რეალიზების საშუალებას აძლევს?

— მაგალითად, რა გინდათ და რას ვერ აკეთებთ?

— ჯერ ერთი, ამ სივრცეში, მხოლოდ 2 პოლიტიკური პარტია გრძნობს თავს კომფორტულად. თუმცა არის საკითხები, რომელთან მიმართებაში სააკაშვილიც კი იძულებული იყო, ოპოზიციისთვის დაეძახა — ესაა საარჩევნო კოდექსი და კონსტიტუცია. თუ ამას ბიძინა არ გააკეთებს, ბევრი უხერხულობა შეექმნება.

— ვისაც სააკაშვილმა დაუძახა, ყველა გაყიდული და მოსყიდული გამოიყვანეს, თქვენი ჩათვლით. ახლა, ვისაც ივანიშვილი დაუძახებს, ის მოსყიდული ოპოზიცია აღარ არის?

— აქედან დასკვნა, რომ ცდებოდა ის, ვინც მოსყიდულს გვეძახდა, თორემ რომ უნდა დაჯდე და ილაპარაკო, ეს ეჭვგარეშეა!

— ივანიშვილმა საერთოდ რომ არ დაგიძახოთ?

— მაგის დაძახებას ჩვენ არც ვუყურებთ — დავსხდებით და ვიტყვით, ასე და ასეა საქმეო. თუ გვეტყვიან, არ გვაინტერესებსო, მაშინ ჩვეულებრივად, აქტიური ოპოზიცია ვიქნებით, პროცესებში აქტიურად ჩავერთვებით და შესაბამის განცხადებებსაც გავაკეთებთ.

> **სააკაშვილი რეალიზების საშუალებას არ გაძლევდა, თორემ თანამშრომლობის იმიტაციას სულ ქმნიდა, ივანიშვილი მაგიდასთან სალაპარაკოდაც კი არ გვეძახის და ასე თუ გაგრძელდა, მაშინ საქმე უარესად ყოფილა! ვფიქრობ, პროცესი აქამდეც უნდა დაძრულიყო, საპარლამენტო უმრავლესობა პოლიტიკოსთა სერიოზულ ნაკლებობას რომ არ განიცდიდეს.**

წარმოიდგინეთ, გვყავს ცუდი დალაქები, მაგრამ ძალიან მაგარი „ჟეშტიანჩიკები“. მოდით, ახლა, თმა გავაკრეჭინოთ „ჟეშტიანჩიკებს“, რომლებმაც მუშაობა მხოლოდ ჩაქუჩით იციან და შეიძლება, ხანდახან თავშიც ჩაგვარტყან. ამ დროს შენი პოზიცია რა არის — თავი გტკივა, მაგრამ ამბობ, არა უშავს, ისწავლისო. ასეა ბიძინა ივანიშვილის შემთხვევაშიც — თავი კი გვტკივა, მაგრამ ვამბობთ, არა უშავს, მალე გახდება კარგი პოლიტიკოსიო.

— თქვენ როდისღა გახდებით ნამდვილი ოპოზიცია?

— ვინც ხელისუფლებაში არაა, ყველა ოპოზიციაა, მაგრამ სახელმწიფოს მართვა არ ნიშნავს ფაჩუნსა და ერთმანეთისთვის ძირის გამოთხრას, არც პარლამენტსშიგნით და არც მის გარეთ. ასე არ ხდება, რა, მე დაგავალე და შენც ოპოზიციონერი გახდიო, როგორც ეს ბიძინამ განაცხადა. თვითონ კი არ უნდა დაარიგოს ფული, რომ მერე არქიფოსავით იძახოს, ამას ორი გოჭი მივეციო, ისეთი პირობა უნდა შექმნას, არავინ იყიდოს და შეურაცხყოფა არავის მიაყენოს. უნდა შეიქმნას ბიზნესგარემო, რომელშიც ყველას თავისუფლად მოქმედება შეეძლება და გამოიყოს თანაბარი პირობები ყველა პარტიისთვის. თუმცა ამაზე ჯერ მინიშნებაც არ გაკეთებულა, რადგან ვერავინ გაიგო, სინამდვილეში, უნდა თუ არა ოპოზიცია ბიძინა ივანიშვილს. ალბათ ჩვენ, პოლიტიკური პარტიები, ახლო მომავალში მაინც დავსხდებით და არც იმას გამოვრიცხავ, ხელისუფლებაში, გარკვეულ პოზიციაზე მყოფი ძალა ოპოზიციაც აღმოჩნდეს.

— ასეთ განცხადებას რომ აკეთებთ, დაა-კონკრეტეთ, ვის გულისხმობთ?

— შეიძლება, რაღაც საკითხებში კოალიციის მოსაზრებებიც გაიყოს, თუმცა არანაირ კონკრეტიკაზე საუბარი არაა, ამ ეტაპზე კი, პარლამენტის თავმჯდომარეს, მეორე პირს ქვეყანაში, რომელიც, ვფიქრობ, შედგა, როგორც თავმჯდომარე, მაგრამ თუ უსუფაშვილი პოლიტიკური პარტიების ერთად დასმას ვერ მოახერხებს, მაშინ არაფერი გამოვა — ესაა პოლიტიკა, აბა, „პონჩიკების“ გაყიდვა ჩვენ არ ვიცით. რასაკვირველია, სჯობს, ინიციატივა მათგან სწრაფად წამოვიდეს. მესმის, უფრო კომფორტულია, როცა შენი კონკურენტი და ოპონენტი მხოლოდ სააკაშვილია და სხვა არავინ, მაგრამ ქვეყანას ამით არაფერი ეშველება. თუ ჩვენს შორის ურთიერთობის ეს ფორმა მისაღები გახდება, ე.ი. სახელმწიფოს ვაკეთებთ, თუ არა და, გამოდის — არ ვაკეთებთ და არაფერი იცვლება!

უჩა ნანუაშვილი პატიმარ გია ალავიძეს შეხვდება

სახალხო დამცველი, უჩა ნანუაშვილი სასჯელაღსრულების №9 დაწესებულებაში პატიმარ გია ალავიძეს შეხვდება. „ინტერპრესნიუსისთვის“ მომზადებულ წერილში ალავიძე აცხადებს, რომ ამნისტიაზე უარს ამბობს და სამართლიანი სასამართლოს უფლებას იტოვებს, რაშიც მას არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარება სჭირდება. პატიმარი აცხადებს, რომ იგი პოლიტიკური ნიშნით — სანდრო გირგვლიანის მკვლელობისთვის მსჯავრდებულებისთვის გადაღებული ფარული ვიდეოების გავრცელებისთვისაა დაკავებული.

კერძოდ, წერილის მიხედვით, იგი დააკავეს მას შემდეგ, რაც გირგვლიანის მკვლელობისთვის მსჯავრდებულების ციხეში თვითნებური ქმედებების შესახებ ვიდეოჩანაწერი ტელეკომპანია „მაესტროს“ მიაწოდა.

„კადრებში ჩანს, თუ როგორ ტოვებენ გირგვლიანის მკვლელობისთვის მსჯავრდებულები ავჭალის ციხეს“, — აცხადებს გია ალავიძე.

წერილის მიხედვით, სწორედ ამას უკავშირდება ტელეკომპანია „მაესტროს“ ყოფილი ოფისის ეზოში აფეთქების ფაქტი, რაზეც ინფორმაციას ფლობს.

„განცხადებებით არაერთხელ მივმართე სახალხო დამცველს ასევე არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის“ თავმჯდომარეს, ნანა კაკაბაძეს, სასჯელაღსრულების მინისტრს სოზარ სუბარს, მის მრჩეველს ლალი მოროშკინას, საია-ს თავმჯდომარეს კახა კოჟორიძეს, „კონსტიტუციის 42-ე მუხლს“, „ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარეს ზაზა ხატიაშვილს, „ჰუმან რაითს ვოჩს“. არ ვაპირებ ვისარგებლო ამნისტიით, რომელიც მათავისუფლებს პატიმრობიდან. დაზარალებულების თანხმობის შემთხვევაში, მათი თანხმობა არ მჭირდება. მათ პასუხი უნდა აგონ თავიანთ ქმედებებზე, რომლებიც ნაციონალურმა მოძრაობამ დაავალა. მოვითხოვ, მითითებულმა ორგანიზაციებმა მიიღონ სათანადო სამართლებრივი რეაგირებები. ასევე საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მიადევნოს ყურადღება 2009 წლის 25 მაისს ტელეკომპანია „მაესტროს“ ეზოში მომხდარი აფეთქების საქმეზე გამოძიებას და იმავე დღეს გირგვლიანის გასაჯაროებულ მკვლელობაში მსჯავრდებული პირების კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს სასჯელის მოხდის პერიოდში“, — აღნიშნულია წერილში.

„ინტერპრესნიუსი“

მწვავე რესპირატორული ინფექციების ვაქცინაცია რისკ-ჯგუფებისთვის უფასო იქნება

მწვავე რესპირატორული ინფექციების ეპიდემიოლოგიური საფრთხის შემთხვევაში, ვაქცინაცია რისკ-ჯგუფებისთვის უფასო იქნება.

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე მარიამ ჯაში აცხადებს, რომ ამ დროისთვის, წინა წლებთან შედარებით, მწვავე რესპირატორული ინფექციების მაღალი მაჩვენებელი არ არის, თუმცა სამწუხაროდ, წელს სამი ადამიანი გარდაიცვალა გრიპის გართულებული ფორმით. მარიამ ჯაშის ინფორმაციით, სახელმწიფო არ აფინანსებს მწვავე რესპირატორული ინფექციის პრევენციისთვის ვაქცინაციას. მისივე თქმით, თუკი მწვავე რესპირატორული ინფექციის ეპიდემიოლოგიური საშიშროება შეიქმნება, შესაბამისად, სახელმწიფო უზრუნველყოფს რისკ-ჯგუფების (ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტები და ორსულები) უფასო ვაქცინაციას.

„ინტერპრესნიუსი“

„ნაციონალები“, ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაციით, რევანშისთვის ემზადებიან?!

„ოცნება“ პრეზიდენტის ინიციატივის ჩაგდებას და საგადასახადო და, მათ შორის, ეკონომიკური დანაშაულის ლიბერალიზაციას გეგმავს

მაია მიშელაძე
ეკონომიკა

პარლამენტში უკვე შევიდა საქართველოს პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაციას ეხება. მართალია, ამ კანონპროექტის საკომიტეტო განხილვები არ დაწყებულა, მაგრამ ცნობილია, რომ საპარლამენტო უმრავლესობა სააკაშვილის ინიციატივას ჩააგდებს. „ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაციით, პრეზიდენტი იმ ფავორიტი ბიზნესმენების გადარჩენას ცდილობს, რომლებიც მისი და წინა ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების მითითებით, ქონებას უკანონოდ იხვეჭდნენ“, — აცხადებენ უმრავლესობაში. მეტიც, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით ონოფრიშვილი „ვერსიასთან“ საუბრისას ამბობს, რომ ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაციის ინიციატივა სააკაშვილის ლუსტრაციის კიდევ ერთი დასტურია:

„ყველას კარგად გვახსოვს, რომ ნაციონალური მოძრაობა და სააკაშვილი ნულოვანი ტოლერანტობის ინიციატორები იყვნენ, შესაბამისად, საქართველოში კანონმდებლობა, მათ შორის, ეკონომიკურ დანაშაულზეც სასტიკად გამკაცრდა, რის შედეგადაც, ათიათასობით ოჯახი გაუბედურდა, უამრავი მეწარმე-ბიზნესმენი კი ციხეში იმ ბრალდებებით ჩასვეს, რაც სხვა ქვეყნებში პატიმრობით არ ისჯება. ამ პირებისგან უამრავი თანხა ამოიღეს. არადა, მათზე დაკისრებული ჯარიმა რეალურად ჩადენილ დანაშაულს ხშირად აჭარბებდა. ყველა სფეროში მსხვილ ბიზნესს, პრაქტიკულად, ბიზნესმენების მხოლოდ ის მცირე ნაწილი ფლობდა, რომელიც სააკაშვილისა და ყოფილი ხელისუფლების ფავორიტად მიიჩნეოდა. ბიზნესმენების ამ ჯგუფს ყველაფრის უფლება ჰქონდა და რადგან ხელისუფლების ფრთის ქვეშ იყო, არც ისჯებოდა. ახალი კი გამოდის, ამ ინიციატივით, სააკაშვილი პარტნიორებს უკანონოდ მოპოვებულ ქონებას „უპრავებს“. სხვათა შორის, ეს პარტნიორები, წლების განმავლობაში, სახელმწიფო ბიუჯეტს გადასახადებს უმალავდნენ.

გაიძახიან, საქართველო, კორუფციის მიხედვით, 50 ქვეყნის იქითაა, მაგრამ კორუფციაში ჩართულნი სწორედ ეს ბიზნესმენები იყვნენ. აქედან გამომდინარე, სააკაშვილის ამ ინიციატივას ხელს, რა თქმა უნდა, არ შევუწყობ. ყველა წესიერი ბიზნესმენი, ვინც იმას, რაც ქვეყანაში ხდებოდა, ობიექტურად აღიქვამდა, მიხვდება, რომ ეს ინიციატივა მხოლოდ წინა ხელისუფლების ფავორიტ ბიზნესმენებს ეხება, რათა ის მოპარული ქონება და მილიონები გადაარჩინონ, რაც ხალხს მოპარეს. ახლა კი, ამ მიტაცებული ქონების დაკანონება სურთ და გამორიცხული არაა, სწორედ ამ ფულით, ხელისუფლებაში მოსაბრუნებლად, რევანშზეც იფიქრონ“.

„კავკასუს ონლაინის“ ყოფილი მფლობელის, ბიზნესმენ მამია სანადირაძის მსგავსად, სააკაშვილის ზემოხსენებულ ინიციატივას მხარს არც უმრავლესობის დეპუტატი, გოგი თოფაძე უჭერს და ამბობს, რომ წინა ხელისუფლების დროს, მისთვის ერთი ლარის გადაუხდელობაც არავის უპატიებია. მამია სანადირაძისა და გოგი თოფაძის არგუმენტებში ლოგიკა, ცხადია, არის და მათ მსგავსად, ბევრი ბიზნესმენი ფიქრობს.

საინტერესოა, თუ რას ნიშნავს ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაცია? ვის უნდა აპატიონ დანაშაული — წინა ხელისუფლების ფავორიტ, მსხვილ ბიზნესმენებს თუ რიგით მენეჯერებსა თუ თუნდაც ბუღალტრებს, რომლებიც შეიძლება, მხოლოდ სისტემის მსხვერპლად განვიხილოთ? დავით ონოფრიშვილი აცხადებს, რომ სააკაშვილის ინიციატივა მსხვილ ბიზნესმენებს ეხება:

„კანონი იმ ბიზნესმენთა ნაწილზეა ორიენტირებული, რომელსაც სააკაშვილის ხელისუფლებისგან ინდულგენციები ჰქონდა მიღებული და, დანაშაულის მიუხედავად, მაინც არ ისჯებოდა — „დანაშაულში“ ქონების წართმევის უამრავ ფაქტსა და სხვადასხვა ქონების ღამღამობით, ძალადობრივი გზით გადაფორმებას ვგულისხმობ. ბიზნესმენთა ეს ნაწილი სხვის უბედურებაზეა გამდიდრებული. ახალი ხელისუფლება კი, კანონგარეშე მდგომარეობაში არავის არ ჩააყენებს და ამიტომ, ამ ინიციატივას მხარს არ დაუჭერს. ჩემი კომიტეტი ამ საკანონმდებლო ინიციატივის განხილვისას ერთ-ერთი წამყვანი იქნება და მგონია, რომ ჩვენი დეპუტატების უმრავლესობაც ზუსტად ასე ფიქრობს.

ყველა მეწარმემ თუ ბიზნესმენმა, რომელიც წინა ხელისუფლების დროს დაჯარიმდა, ჯარიმა უკვე გადაიხადა, დაკავებულებმა კი, სასჯელი მოიხადა. ვიმეორებ: ეს ინიციატივა, ძირითადად, მსხვილ ბიზნესზეა გათვლილი და ყველა იმ მეწარმეს ეხება, რომელიც გადასახადს მალავდა. კანონპროექტში პირდაპირ წერია, რომ ფინანსურ დეკლარაციები აღარ უნდა გადაიხედოს, ანუ უახლესი ისტორიის ის 9 წელი, როცა ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში იყო და საკუთარ ხალხზე ძალადობდა, ჩვენი მეხსიერებიდან, პრაქტიკულად, უნდა წაიშალოს, რასაც ნამდვილად არ დავუშვებთ და ამიტომ, მე, როგორც საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე და, საერთოდ, საპარლამენტო უმრავლესობა სააკაშვილის ინიციატივას მხარს არ დავუჭერთ“.

დავით ონოფრიშვილმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი მუშაობს კანონპროექტზე, რომელიც საგადასახადო და, მათ შორის, ეკონომიკური დანაშაულის ლიბერალიზაციას ეხება. კომიტეტი ამ საკითხს მალე მთავრობასთანაც შეაჯერებს და პარლამენტში განსახილველადაც წარადგენს:

„ეს არ იქნება საყოველთაო და მასშტაბური ამნისტია. კანონში შევა ცვლილება და მომავალში, ეკონომიკური ტიპის დანაშაული აღარ დაისჯება. უკვე ჩადენილ დანაშაულზე კი, ეს ცვლილება არ გავრცელდება, რადგან ვინც დანაშაული ჩაიდინა, პასუხიც უნდა აგოს. პრეზიდენტის ინიციატივა კი, პრაქტიკულად, ყველა სახის ეკონომიკურ დანაშაულს ეხება, რაც ჩვენთვის ნამდვილად არასწორი და მიუღებელია“.

„ვერსია“ ნაციონალური მოძრაობის წევრს, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, **გიორგი ვაშაძესაც** დაუკავშირდა:

„ჩვენ გვინდა, ამნისტია, ერთი მხრივ, ფინანსურ დანაშაულსა და გადასახადებთან დაკავშირებით გამოცხადდეს, მეორე მხრივ კი, ამ დანაშაულების დეკრიმინალიზაცია მოხდეს ანუ ეკონომიკურ დანაშაულთან მიმართებაში, მკაცრი სასჯელი არ გამოვიყენოთ. ამას მაინცდამაინც დღეს იმიტომ ვაკეთებთ, რომ სერიოზულ ეკონომიკურ კრიზისში შევდივართ და მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ეს ბიზნესსექტორისთვის კონკრეტული „მესიჯი“ იყოს — მათ დევნას არავინ დაუწყებს. მეტიც, შიში, რაც ბიზნესსექტორს აქვს და სიფხიზლე, რასაც იჩენენ, დაიციწყონ და განაგრძონ ბინზესაქტივობა. ყველა სასტუმროს მშენებლობა გაჩერებულია, საბანკო სექტორში სერიოზულად შემცირდა ბიზნესსესხები და ეს, ეკონომიკური აქტივობის თვალსაზრისით, ცუდი მაჩვენებელია, რადგან საქართველოს ახალი სამუშაო ადგილების შექმნა სჭირდება. თუ ბიზნესი აქტიური არ იქნება, სამუშაო ადგილები ვერ შეიქმნება და სახელმწიფო ხალხს ვერ დაასაქმებს“.

ოპონენტების ბრალდებას, რომ პრეზიდენტის ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაციის ინიციატივა ნაციონალური მოძრაობის ფავორიტი ბიზნესმენების გადასარჩენად გადადგმული ნაბიჯია, რათა მათ, წლების განმავლობაში, უკანონოდ მიტაცებული ქონება დაუკანონდეს, გიორგი ვაშაძე ასე პასუხობს:

„იცით, რა ხდება? — ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი რა ინიციატივაც უნდა წამოვაყენოთ, გვეუბნებიან, გარკვეული ინტერესები გაქვთო, მაგრამ ეს, მგონი, აბსურდული არგუმენტია. ჩვენ საგადასახადო ამნისტიაზე იმიტომ ვსაუბრობთ, რომ ეკონომიკურ დანაშაულის შემთხვევაში, ხვალ და ზეგ, დამამძიმებელი გარემოებები არ გამოიყენონ. ჩვენ იმას ხომ არ ვამბობთ, თუ ორ ადამიანს ქონებრივი დავა აქვს, ეს საქმე სასამართლომ აღარ განიხილოს? განვლილმა 9 წელმა, ნაციონალური მოძრაობის ყველა წევრში ჩამოაყალიბა შეხედულება — პარტიული ინტერესებით არ ვფიქრობთ და არ ვაზროვნებთ. პარტიული ინტერესები რომ გვამოძრავებდეს და მხოლოდ ხელისუფლებაში დაბრუნება გვინდოდეს, ასეთ შემთხვევაში, ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაციას არ მოვითხოვდით. სხვათა შორის, ფინანსური ამნისტია ნაციონალურმა მოძრაობამ 2004 წელს განახორციელა. ოპონენტები გვსაყვედურობენ, რატომ არ განახორციელეთ დეკრიმინალიზიცია აქამდეო. რატომ და, აქამდე, ეკონომიკის კრიზისის ასეთი ნიშნები არ გვქონია — ექსპორტ-იმპორტი შემცირდა, ქარხნები წარმადობას აჩერებენ, როგორც გითხარით, სასტუმროების მშენებლობებიც გაჩერებულია, ტურისტული ინფრასტრუქტურა აღარ ვითარდება, ამიტომ ვამბობთ, სახელმწიფოებრივად ვიაზროვნოთ და ამ საკითხს თითოეული მოქალაქის და არა ვიწრო, პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე მივუდგეთ. ხშირად, ჩვენი ოპონენტები სახელმწიფოებრივ ინტერესებს იმ სტერეოტიპებში ურევენ, რაც ჰქონდათ. მაგალითად, არჩევნებამდე ამბობდნენ, რომ საწვავის ღირებულებიდან ერთი ლარი თითქოს ნაციონალური მოძრაობის ანგარიშზე მიდიოდა, დენისა და გაზის ტარიფის ნახევარიც ჩვენი პარტიის ანგარიშზე ირიცხებოდა, თუმცა ფაქტია, ეს ვერ დაადასტურეს. ჩვენ სახელმწიფოებრივად ვაზროვნებთ, ისინი კი, დაბოღმილები და გამწარებულები არიან!“

დავით თევზაძე და გია ყარყარაშვილი თავდაცვის სამინისტროს საბჭოში მიიწვიეს

თავდაცვის სამინისტროში, უახლოეს მომავალში, შეიქმნება საბჭო, რომლის წევრებიც თავდაცვის ყოფილი მინისტრები დავით თევზაძე და გია ყარყარაშვილი იქნებიან. „პირველს“ გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელის მოადგილემ, ვახტანგ კაპანაძემ იმ საბჭოს შესახებ განუცხადა, რომელიც სამინისტროში უახლოეს მომავალში შეიქმნება და ბოლო 20 წლის განმავლობაში, ქართული ჯარის წარმატებებსა და წარუმატებლობებს შეისწავლის.

„ესაა ის ხალხი, ვინც მონაწილეობდა შეიარაღებულ კონფლიქტებში და შეუძლიათ, წვლილი შეიტანონ საკითხის შესწავლაში. ეს ორი ადამიანი აუცილებლად იქნება ამ საბჭოში და მათთან ერთად, იქნებიან აუცილებლად ექსპერტები და სამოქალაქო პირები, რომლებიც ამ საკითხებს იცნობენ“.

გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელის მოადგილემ დასძინა, რომ საბჭოში ასევე იქნება გურამ ნიკოლეიშვილი, სხვა წევრების ვინაობის დასახელებისგან კი, ამ ეტაპზე, თავი შეიკავა.

„პირველი“

ამნისტიის შედეგად, ციხეებიდან კიდევ 18 პატიმარი გათავისუფლდა

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ინფორმაციით, ციხე პატიმრებმა დატოვეს.

ბოლო მონაცემებით, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები ჯამში 6 918 ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა დატოვა, მათ შორის 175-მა პოლიტპატიმარმა, 275-მა მდედრობითი სქესის სრულწლოვანმა (№2 დაწესებულება — 2, №3 დაწესებულება — 3, №5 დაწესებულება — 270) და 17-მა მამრობითი სქესის არასრულწლოვანმა. (№2 დაწესებულება — 1, №8 დაწესებულება — 1, №11 დაწესებულება — 8, №17 დაწესებულება — 6, №18 დაწესებულება — 1).

„ინტერპრესნიუსი“

ვერსიანიუსი

ვახტანგ ხმალაძე: „შეიქმნება სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია, რომელშიც არასაპარლამენტო პარტიები იქნებიან გაწევრიანებული“

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, ვახტანგ ხმალაძის განცხადებით, **„ორი-სამი კვირის წინ, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს შეხვდა და მათ შესთავაზა ინტერფრაქციულ ჯგუფში მონაწილეობა, რომელიც უშუალოდ, საკონსტიტუციო ცვლილებებსა და საარჩევნო კოდექსს განიხილავს. როცა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია შეიქმნება, იქ აუცილებლად იქნებიან მოწვეული არასამთავრობო ორგანიზაციები, არასაპარლამენტო ოპოზიცია და ა.შ.“.**

მინისტრის მოადგილის განცხადებით, ვაქცინაცია ძვირი არ ჯდება და თუკი მოქალაქე მოინდომებს აღნიშნული აცრის ჩატარებას, სასურველია, ეს მოახდინოს შემოდგომის სეზონის დაწყებისთანავე, რათა როდესაც იზრდება მწვავე რესპირატორული დაავადების (გრიპი) მაჩვენებლების მატება, მოქალაქე დაცული იყოს ვირუსის გართულებისგან.

„პირველი“

ნინო კომახიძე
პოლიტიკა

პოლიტიკური ვითარება ქვეყანაში ახალი მოთამაშეების გამოჩენას ითხოვს! ფაქტია, „ნაციონალებს“ ოპოზიციად ბევრი არ აღიარებს, პარლამენტსგარეთ დარჩენილები კი, როგორც თავად აღიარებენ, განულებულები არიან. შესაბამისად, ყბადაღებული „მესამე ცენტრისა“ თუ ალტერნატიული ძალის შექმნის თემაც ისევ აქტუალურია. ამჯერად, „ვერსიის“ ინფორმაციით, ხშირი ოპოზიციური შეხვედრები „ტრადიციონალისტი“ აკაკი ასათიანის თაოსნობით იმართება, რომელმაც, სხვადასხვა პარტიებთან ერთად, შესაძლოა, გაზაფხულისთვის საყრდენი აღიარებულ პრორუს ექსმინისტრს, ვალერი ხაბურძანიას მოუმზადოს. ოპოზიციაში მიმდინარე პროცესებისა და უახლოესი გეგმების შესახებ „ვერსიასთან“ აკაკი ასათიანი საუბრობს.

აკაკი ასათიანი ახალ კვლევით ცენტრს ქმნის

— ჩვენი პოლიტიკური სპექტრი ქვეყანაში შექმნილი ვითარების ზედმეტ დრამატიზებას ახდენს და ხალხსაც ძაბავს. სინამდვილეში, ჯერჯერობით, ყველაფერი ნორმალურად მიდის, ხოლო რაც ამ დღეებში ხდება, მაინც ინციდენტი მგონია. სახლობანას თამაშს ჰგავს ეს ყველაფერი: ასე ქენი, ისე ვიზამ, შენ აქ მოდი, მე იქ მოვალო — მგონი, ეს ამბავი უნდა დამთავრდეს. ერთი მხრივ, ამ ხელისუფლებამაც ნაკლები ყურადღება უნდა მიაქციოს „ნაციონალებს“ და რეალურ საქმეზე გადაერთოს, „ნაცმოძრაობას“ კი გულწრფელად ვურჩევ, სხვა მეთოდები შეარჩიოს, გარდა იმისა, საწყალი ვარ და ელჩებო, განცხადება გააკეთეთო. ნურც იმის ილუზია ექნება სააკაშვილს, რომ მისთვის ვინმე ვენებს გადაიჭრის — ის საელჩოებიც ვალს იხდიან, მერე, ერთხელაც იქნება, მობეზრდებათ და საერთოდ, ხმას აღარ ამოიღებენ! თავის მხრივ, სააკაშვილიც თუ გაგიჟდება, თორემ ისე პარლამენტს ნამდვილად არ დაითხოვს. შესაბამისად, რაკი ამას მაინც არ აპირებს, მაშინ მისცენ „ნაციონალებმა“ ხმა იმ კანონპროექტს და მოხსნან პრობლემა. ხომ შეიძლება, ერთხელ ასეც მოიქცნენ და ბავშვურ ჯინიანობას თავი დაანებონ?!

— ამან, შესაძლოა, ორ ძალას შორის განმუხტოს ვითარება და „ოცნების“ შიგნით არსებულ გაუგებრობას რა ვუყოთ — მაგალითად, „ფორუმის“ ფუნქციას როგორ აფასებთ კოალიციაში?

— მათგან არავის შევხვედრივარ და ვისაც შევხვდი, ამ თემებზე არ მილაპარაკია. „ფორუმი“, როგორც მახსოვს, „ოცნებაში“ შესვლას აპირებდა. ეტყობა, გადაწყვეტილება შეცვალეს. არ ვიცი, ეს ან რატომ მოიფიქრეს ან რატომ გადაიფიქრეს, თუმცა, რა თქმა უნდა, უსიამოვნო პროცესი იყო და პარტიის დასამარებას უფრო ჰგავდა. მეც მინდა მათთან შეხვედრა, მაინტერესებს, რა ხდება, თუმცა ახლა არც მათ სცალიათ, არც მე. პრინციპში, მათი და სხვა ყველა პარტიის ამომრჩეველი მაინც „ოცნებაზეა“ კონცენტრირებული. ეს მთლად კარგი არაა, მაგრამ რეალობაა.

— ამ სიტუაციაში, ე.წ. მესამე ცენტრის შექმნის აუცილებლობას ხედავთ? მით უმეტეს, პარლამენტსგარეთ ჭრელი და საკმაოდ ვრცელი წარმომადგენლობა ხართ დარჩენილი.

— ამ თემაზე კონსულტაციებია საჭირო. მგონი, გარეთ მყოფებსა და „ოცნებას“ შორის ურთიერთობა დაპირისპირების ხასიათს არ უნდა ატარებდეს. მე, მაგალითად, „ოცნებას“ ვგულშემატკივრობ, რადგან ამ ძალამაც მარცხით რომ დაასრულოს, რბილად რომ ვთქვათ, ქვეყანაში კატასტროფა მოხდება. პარლამენტსგარეთ მესამე პოლიტიკური ცენტრი კი არ უნდა ჩამოყალიბდეს, რაღაც საკითხებზე უნდა დავიწყოთ საუბარი. ეს თემებია — საარჩევნო კოდექსი, ქვეყნის მოწყობა, საგარეო კურსი. ჩვენ არ გვაქვს „ნაცებივით“ აჩემებული, ნატო ვართო, ან „ოცნებასავით“ გაურკვევლად ვართ — ყველაფერი ვართო, ემანდ, რუსეთისკენ გახედვა არ დაგვაბრალონო. მე ვიყავი და ვრჩები რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების თავგამოდებულ მომხრედ, ოღონდ ნორმალიზება ნორმალიზებას უნდა ნიშნავდეს, ამიტომ, როგორც ივანიშვილმა თქვა, მართლა რეალობაში უნდა დავბრუნდეთ. როგორ ჩანს, „ნაციონალურმა“ მოძრაობამ კიდევ ვერ გაიგო, რა მოხდა მის თავს ოქტომბერში. ახლა მაინც გაანძრიონ ტვინი — როცა საქართველოში ახალგაზრდა ქალს სახეზე სისხლი აღმოაჩნდება და ეს საყოველთაო აღშფოთებას არ იწვევს, უკვე საგანგაშო სინდრომია. ე.ი. უნდა მიხვდე, ხალხს რა ზომამდე ამოუხვედი ყელში!

— ამ ეტაპზე, ვისთან რა ურთიერთობა გაქვთ და რაიმე ტიპის ერთობა რამდენად შესაძლებელია?

— კი, გარეთ ბევრი ძალაა, რომელიც ცალ-ცალკე არაფერს წარმოადგენს. თან ჩვენი ერთად ყოფნა შეუძლებელია. ეს ერთობა იქნება ნული, თუკი მისგან პოლიტიკური ალიანსი უნდა ჩამოყალიბდეს. ეს არც სასურველია, არც აუცილებელი. რაკი ხელისუფლება და ოპოზიცია ერთმანეთთან იმის გარკვევაში ცდება, ვინ სად მივიდეს და ვინ რას მისცეს ხმა, მოდით, ჩვენ მაინც ვიფიქროთ სტრატეგიულ ამოცანებზე.

— რა არის ეს სტრატეგიული ამოცანები — კონსტიტუცია, სარჩევნო კოდექსი და ქვეყნის საგარეო კურსი?

— დიახ, და ჩვენ უკვე გვაქვს ჩვენი ხედვა. საუბარი მიდის კახა კუკავასთან, დავითაიასთან, შეიძლება, საერთო ენა გამოინახოს „ქრისტიან-დემოკრატებთანაც“. ჯერ „ახლებსა“ და ედეპე-სთან არ გვისაუბრია ისევე, როგორც შალვა ნათელაშვილის პარტიასთან.

— ეს თქვენი გახშირებული შეხვედრები

> **„პარლამენტსგარეთ მესამე ცენტრი კი არ უნდა ჩამოვაყალიბოთ, საუბარი საარჩევნო კოდექსზე, ქვეყნის მოწყობასა და საგარეო კურსზე უნდა დავიწყოთ!“**

იმას ხომ არ ნიშნავს, რომ იქმნება ცენტრი, რომელიც გაზაფხულზე, ქვეყანაში ჩამოსული ხაბურძანიასთვის პოლიტიკური დასაყრდენი იქნება?

— პრინციპში, ხაბურძანიამ ჩამოთვალა კიდეც ის ძალები, ვისთანაც თანამშრომლობას აპირებს — ნოღაიდელი, ბურჯანაძე და კუკავა. დავურეკავ, მოვძებნი მის ნომერს და ყველაფერს ვკითხავ. ჩვენ ნამდვილად კარგი ურთიერთობა გვქონდა, ის ჩემი მეგობრის მეგობარია. ახლა, სხვათა შორის, პრორუსული განწყობის ხალხი მეტია ქვეყანაში, უფრო სწორად, ამდენი სულ იყო, უბრალოდ, ახლა ზუსტი რაოდენობა გამჟღავნდა. რაც შეეხება ხაბურძანიას, ის ჩვენი მოძრაობის ცენტრი ნამდვილად არ იქნება, ყოველ შემთხვევაში, გარწმუნებთ, ასე არაა და არ ვიცი, საიდან გაქვთ ეს ინფორმაცია. მე არ მაქვს პრობლემა, არც არაფერს ვმალავ, შემიძლია, დავურეკო და მოვიკითხო, მაგრამ არ ვიცი, ზუსტად როდის აპირებს ჩამოსვლას. როგორც გავიგე, ის პირდაპირ პრორუსული ცენტრის ჩამოყალიბებას იწყებს. მის მიერ ჩამოთვლილი ძალებიდან ბურჯანაძემ იუარა, ნოღაიდელს არაფერი უთქვამს და კახამ თქვა, პარტიებით ვითანამშრომლებთ,ან ჩვენს პარტიაში შემოვიდესო. ეს იყო და ეს. ამაზე მეტი არაფერი ვიცი.

— და თუ კურსზე, კოდექსსა და კონსტიტუციაზე შეთანხმდით, მაშინ რაღა გრჩებათ, ბარემ საერთო საპრეზიდენტო კანდიდატი დაასახელეთ და ალიანსი გააკეთეთ.

— ჩვენს შორის მაინც სერიოზული განსხვავებებია — მე ვამბობ, აღდგეს ტერიტორიული მთლიანობა, აღდგეს მიმოსვლა და ცივილურ ურთიერთობაზე გადავიდეთ-მეთქი. ჰოდა, ხაბურძანია რომ ჩამოვა და იტყვის, რა აქვს გეგმაში, ამის მერე გვეცოდინება, რა შეიძლება გაკეთდეს. თორემ ჯერ, პოლიტიკურ ერთობაზე საუბარი ნაადრევია. ახლა, თუ თავშივე დავიჩემებთ, პოლიტიკური ძალა ვართო, მაშინვე განწირულები ვართ. ვფიქრობ, პარლამენტსგარეთ დარჩენილი ოპოზიცია მაინც შეიძლება ორ სხვადასხვა ძალად ჩამოყალიბდეს. აი, კონკრეტულ მაგალითზე გეტყვით — ჩემთვის, ნინო ბურჯანაძის ბევრი იდეა მისაღებია, მაგრამ ნინო საპრეზიდენტო მმართველობას უჭერს მხარს.

— არის ინფორმაცია, რომ ამ თქვენი ცენტრის კანდიდატიც სწორედ ნინო ბურჯანაძე იქნება.

— თუ ახალი კონსტიტუცია მოესწრება, მაშინ პრეზიდენტს, ფაქტობრივად, ძალა არ აქვს, ის ნომინალურია, ამიტომ დიდად კაცმა თავი ამისთვის არ უნდა მოიკლას. მმართველი პარტიაც საპარლამენტო რესპუბლიკისკენ იხრება და მხოლოდ ალასანიაა კოალიციაში წინააღმდეგი. პარლამენტსგარეთ დარჩენილებიდანაც ყველას ანალოგიური განწყობა აქვს, მარტო ნინო ბურჯანაძეა საპრეზიდენტო მმართველობის მომხრე. ხოლო გამოკითხვებიც იმას ადასტურებს, რომ ახლა, ხალხის უმეტესობასაც ასეთი განწყობა აქვს. სხვათა შორის, არის ლოგიკა იმაშიც, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნოს საპრეზიდენტოსთან ერთად. ყველა შემთხვევაში, „ნაციონალები“ რომ ნაკლებნი იქნებიან ახალ პარლამენტში ან საერთოდ ვერ შევლენ, ეს ფაქტია. კოალიციას რაც შეეხება, ისინიც დაიხვეწებიან!

— მონაწილეობას ამ არჩევნებშიც აპირებთ?

— კი, მაჟორიტარობა ვინ ამიკრძალა, რო?! ვაღიაროთ, რომ შემოდგომაზე ვადამდელი არჩევნების დანიშვნა ვითარების განმუხტვა იქნება. არ ვარ ჩახედული კოალიციის საქმეებში, მაგრამ შთაბეჭდილება მრჩება, რომ ბიძინა ივანიშვილიც აქეთ მიდის. ვფიქრობ, ცდა ახლა აუცილებელიც კია, რადგან წინანდელივით, შავ-თეთრი არჩევნები ნამდვილად აღარ იქნება.

მიმდინარე კვირა მოლაპარაკებებს დასჭირდება. ახლა პროცესს ასე ვუყურებ — დამთავრდა ერთი არჩევნები, ეს ახალი თამაშია, ახალი პარტია, მორჩა, ძველი მეთოდები აღარ ჭრის. ახლა დავსხდეთ და ვისაც რა შეგვიძლია, ის ჩამოვიდეთ ფსონად. მე, პირადად, უკვე ამ კვირაში ვაპირებ განცხადების გაკეთებას: რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად, ვაყალიბებ კვლევით ცენტრს — საქართველო და მისი მოსაზღვრე ქვეყნები. დარწმუნებული ვარ, ფინანსები იქნება, ჩვენი ორგანიზაცია კი უფრო ფუნდამენტური კვლევების ცენტრად ჩამოყალიბდება. პირველ ეტაპზე, საუბარია საექსპერტო მუშაობაზე, ხოლო მოგვიანებით, პროცესს პოლიტიკური ძალებიც შემოუერთდებიან.

ვერსიანიუსი

რუსეთმა ინსპექტორთა სამი ჯგუფი გამოყო

საქართველოს ღვინის ეროვნულმა სააგენტომ რუსეთის ბაზარზე მუშაობის მსურველი კომპანიების განცხადებების მიღება დაიწყო, – ამის შესახებ სააგენტოს ხელმძღვანელმა, ლევან დავითაშვილმა განაცხადა. როგორც დავითაშვილმა აღნიშნა, რუსეთში უკვე არსებობდა ცალკეული კომპანიების სიები, თუმცა მიკერძოების გამორიცხვის მიზნით სიები ხელახლა შედგება და რუსულ მხარეს გაეგზავნება.

„ყველა კომპანიისთვის თანაბარი სასტარტო პირობების შექმნის მიზნით ვიწყებთ განცხადებების მიღებას, რათა დავაფიქსიროთ რუსეთის ბაზარზე მუშაობის მსურველი კომპანიები. სიებს შემდგომ შევათანხმებთ რუსულ მხარესთან, შედგება ერთიანი ჯამური სია, რის შემდეგაც, რუსი სპეციალისტები კომპანიების შესამოწმებლად ჩამოვლენ. რა დრო დასჭირდება ამას, დამოკიდებულია მსურველი კომპანიების რაოდენობაზე“, – განაცხადა ლევან დავითაშვილმა და დასძინა, რომ რუსულმა მხარემ პროცესის მაქსიმალურად სწრაფად დასრულების მიზნით, ინსპექტორთა სამი ჯგუფი გამოყო:

„პროცესის სისწრაფე დამოკიდებულია კომპანიების მიერ დოკუმენტაციის სრულყოფილად მომზადებაზეც. თუ ყველაფერი წარიმართა ისე, როგორც გვინდა, ინსპექტირებას ერთი თვე დასჭირდება, კიდევ ერთი თვე კი საჭიროა პროდუქციის რეგისტრაციისთვის, რომელიც სტანდარტული პროცედურაა. ქართული პროდუქციის რუსეთის საბაჟოზე დაშვებასა და ქართული ღვინის შეტანას ბაზარზე დაახლოებით ორი თვე დასჭირდება“.

„ექსპრესნიუსი“

სამარშრუტო ტაქსებში ვიდეოკამერებს დაამონტაჟებენ

ერთკვირიანი გაფიცვიდან სამსახურში დაბრუნებულ სამარშრუტო ტაქსების მძღოლებს კომპანია „თბილისის მიკროავტობუსმა“ სიურპრიზი დაახვედრა. ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ყვითელ სამარშრუტო ტაქსებში ვიდეოკამერები დამონტაჟდება. „თბილისის მიკროავტობუსის“ დირექტორის მოადგილე დავით ასანიძე განმარტავს, რომ მიკროავტობუსის მძღოლები ხშირად გამოხატავენ უკმაყოფილებას მგზავრთა სიმცირის გამო და აცხადებენ, რომ მათ ყოველდღიურ შემოსავალს გასავალი სჭარბობს. ვითარებაში გარკვევისა და მგზავრთა რაოდენობის დაანგარიშების მიზნით, კომპანიამ მანქანებში ვიდეოკამერების დამონტაჟების გადაწყვეტილება მიიღო.

„მძღოლების დღიურად შესატანი თანხა ხაზების მიხედვითაა დიფერენცირებული. ვიდეოკამარების დამონტაჟების შემთხვევაში კი, კომპანია მგზავრთა რაოდენობას დათვლის, რაც დღიური გადასახადის დადგენას გაგვიადვილებს“, — აცხადებს ასანიძე.

„ვერსიასთან“ საუბარში არასამთავრობო ორგანიზაცია „ტასატის“ თავმჯდომარე ნიკოლოზ კაჭკაჭური განმარტავს, რომ ერთკვირიანი გაფიცვითა და მცირე შემოსავლებზე აპელირებით, მძღოლებმა საკუთარი ინტერესები დაიაზარალეს: „მიკროავტობუსების მძღოლებს იცით, როგორ დაემართათ, თაგვმა რომ კატა გამოთხარა. კომპანიამ მშვენივრად იცოდა, რომ ბევრი მძღოლი სახლში 30-ის მაგივრად, 50-60 ლარით მიდიოდა, მაგრამ თვალს ხუჭავდა. ახლა მძღოლებს კრიჭაში ჩაუდგნენ და ყოველ თეთრს დაუანგარიშებენ. ვიცოდი, ეს გაუთავებელი გაფიცვები კარგი შედეგით რომ არ დამთავრდებოდა, ამიტომ ვცდილობდი, დამერწმუნებინა მძღოლები, გაფიცვა შეეწყვიტათ, მაგრამ რაც მოხდა, ყველამ ვნახეთ“.

ნიკოლოზ კაჭკაჭურის აზრით, ერთკვირიან გაფიცვებსა და დასტა-დასტა დაპირებებს მძღოლებისთვის არანაირი შეღავათი არ მოუტანია. 10-ლარიანი ყოველდღიური გადასახადი სატყუარაა, თორემ რეალურად, ყველაფერი ძველებურად დარჩა, — აცხადებს მძღოლთა უფლებების დამცველი და გაკვირვებულია, რატომ ეწინააღმდეგებიან მძღოლები მიკროავტობუსებში ვიდეოთვალის დამონტაჟებას.

„კომპანიის ხელმძღვანელობა ვიდეოკამერების დამონტაჟებას დიდი ხნის წინ აპირებდა. ეს აუცილებელი იყო თუნდაც მათი უსაფრთხოების მიზნით. საინტერესოა, ახლა რატომ აპროტესტებენ ამას, ხომ აცხადებდნენ, მგზავრები არ გვყავს და სახლში კაპიკებით მივდივართო. ჰოდა, კომპანია ვიდეოთვალების საშუალებით დაითვლის ყველა სამარშრუტო ხაზზე შემოსავალს და ვინც შინ მართლა 10-15 ლარით მიდის, იმას დაუმატებენ და 30 ლარს გაუხდიან, ვისაც მეტი მიჰქონდა, იმას ჩამოაკლებენ. ყველა მძღოლი თანაბარ პირობებში ჩადგება. 2000-ზე მეტ მანქანაში ვიდეოკამერების დამონტაჟება სერიოზულ თანხებთან იქნება დაკავშირებული, მაგრამ, ეტყობა, ხარჯი უღირთ“.

სავარაუდოდ, დამატებით თანხებთან იქნება დაკავშირებული მონიტორებთან მჯდარი დამგზავრების დამთვლელი შტატების არსებობაც. ერთ-ერთი ვერსიით, კომპანიის გაზრდილი ხარჯების გამო, მძღოლების ერთ-ერთი მოთხოვნის — მგზავრობის საფასურის 50 თეთრამდე დაწევის — შესრულება გაურკვეველი ვადით გადაიდო.

ნელი თორდია

მაია მიშელაძე
ეკონომიკა

შედგება თუ არა აქტიური თანამშრომლობა საბანკო სექტორსა და ფერმერებს შორის

რატომ შენელდა მსხვილი ბიზნესისა და კომერციული ბანკების აქტივობა

7 თებერვალს, ამერიკიდან ახლად დაბრუნებული ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური 20 კომერციული ბანკის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრას ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი, ზურაბ გვასალია და ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი, არჩილ მესტვირიშვილიც ესწრებოდნენ. ეს შეხვედრა მართლაც მნიშვნელოვანი იყო, რადგან ფინანსთა სამინისტროსა და საბანკო სექტორს შორის, კომუნიკაცია შედგა.

საქართველოს ბანკების ასოციაციის პრეზიდენტმა, ზურაბ გვასალიამ „ვერსიას“ განუცხადა, რომ საბანკო სექტორისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, იცოდეს, რას აპირებს ფინანსთა სამინისტრო სამომავლოდ:

„ბუნებრივია, ფინანსთა სამინისტროსაც აინტერესებდა, თუ როგორია საბანკო სექტორის ხედვა, აქვთ თუ არა მათ რაიმე პრობლემები, რომელზეც შეიძლება სამინისტრომ რეაგირება მოახდინოს, რათა საბანკო სექტორს ხელი არ შეეშალოს მუშაობაში, ოპერირებასა და ეკონომიკის რეალური სექტორის დაფინანსებაში. საუბარი იყო სახელმწიფო ფასიან ქაღალდებზე, რომლებიც ჯერ ჩანასახის სტადიაზეა, ვინაიდან სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შესახებ ინფორმაციის მიღება, ბანკებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. სხვადასხვა ვადიანობის ფინანსური რესურსების ღირებულების ცოდნა, ბანკებს შესაძლებლობას აძლევს, თავიანთი აქტივების დივერსიფიცირება მოახდინონ, მუდმივად იქონიონ ბაზარზე ადვილად მიმოქცევადი, მაღალშემოსავლიანი და მაღალლიკვიდური საინვესტიციო პორტფელი. ძირითადად, ეს თემებია, რაზეც ამ შეხვედრაზე ვისაუბრეთ. ეს იყო ყოველგვარ ფორმალობას მოცილებული შეხვედრა, უაღრესად საქმიან ვითარებაში. ასეთი შეხვედრები მუდმივად გაგრძელდება და მნიშვნელოვანია არა მარტო საბანკო სექტორისთვის, არამედ — ფინანსთა სამინისტროსა და ქვეყნის ეკონომიკისთვის“.

ზურაბ გვასალიას თქმით, კომერციული ბანკების ხელმძღვანელებმა დასვეს ყველა ის შეკითხვა, რაც აინტერესებდათ, მათ შორის, რისკების კუთხით. წლის დასაწყისში, შენელებული პროცესია, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც აქტიური პოლიტიკური წელინადიდან გადმოდიხარ და ამას ისედაც არააქტიური წლის დასაწყისი, აგრეთვე ის რისკებიც ემთხვევა, რაც გარდამავალ პერიოდს ახასიათებს. ზურაბ გვასალია ამბობს, რომ ესაა რეალური მიზეზი, რის გამოც მთლიანად საბანკო სექტორის აქტივობა შენელდა:

„მიუხედავად ამისა, ნიშანდობლივია, რომ სესხებზე მოთხოვნილებები მცირე და საშუალო ბიზნესის მხრიდან გაიზარდა, ხოლო მსხვილი ბიზნესისგან — შედარებით შემცირდა. ეტყობა, მსხვილი ბიზნესი მოლოდინის რეჟიმშია. ჩემგან ამის განსაზღვრა რთულია, მაგრამ ეს მოლოდინის რეჟიმიც, ნელ-ნელა დაძლეულია, აქტივობა უკვე ჩანს და დარწმუნებული ვარ, პირველი კვარტლის ბოლოდან, შედარებით მაღალი ტემპებით დაიწყებს მუშაობას. შესაბამისად, ბანკები პასიურიდან, აქტიურ რეჟიმზე გადავლენ და საბანკო სექტორიც ბევრად ადვილად გააკეთებს პროგნოზს. უკვე ჩანს, რომ სისტემურ კრიზისთან კი არ გვქონდა საქმე, უბრალოდ, მოლოდინის რეჟიმი იყო, რომლის მიმართაც მსხვილი ბიზნესი ყოველთვის მგრძნობიარეა ხოლმე. მცირე და საშუალო ბიზნესი კი მსხვილ ბიზნესთან შედარებით, უფრო აქტიური აღმოჩნდა, რადგან ასეთი პერიოდი, მცირე და საშუალო ბიზნესზე გავლენას ვერ ახდენს და ეს სექტორი პროცესს სენსიტიურად არ აღიქვამს. სწორედ, მსხვილი ბიზნესის პასიურობამ შეამცირა საკრედიტო აქტივობა და რა თქმა უნდა, ამანაც მოახდინა გავლენა, რომ საპროცენტო განაკვეთები შემცირდა, თუმცა ეს შემცირება სხვა ფაქტორებმაც განაპირობა — სახელმწიფოს მხრიდან, საპროცენტო განაკვეთების შემცირების ტენდენციაა“.

ამავე შეხვედრაზე გამოიკვეთა, რომ ფინანსთა სამინისტრო და ეროვნული ბანკი, მაქსიმალურად გაატარებენ ისეთ ღონისძიებებს, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებლის მქონე, დოლარიზაციის გარღვევას შეუწყობს ხელს. ამ თვალსაზრისით, ეფექტური იქნება ეროვნული ბანკისა და ფინანსთა სამინისტროს ურთიერთობა. ზურაბ გვასალია ამბობს, რომ ეს ტენდენცია უკვე სახეზეა, რადგან წინა წელთან შედარებით, დეპოზიტები ლარებში გაიზარდა:

„შეხვედრაზე, იმ ღონისძიებებზეც ვისაუბრეთ, რამაც ქვეყანაში ბიზნეს-აქტივობის ზრდას უნდა შეუწყოს ხელი. სხვათა შორის, ვიდრე ამასთან დაკავშირებით, შეკითხვებს დავსვამდით, ფინანსთა მინისტრმა, ბატონმა ნოდარ ხადურმა, ისე სრულყოფილად ჩამოაყალიბა თავის შესავალში, თუ რას აპირებს ფინანსთა სამინისტრო, რომ ამ მხრივ, კითხვის დასმის საშუალებაც კი არ დაგვიტოვა. ჩვენ, ძირითადად, იმ შემაფერხებელ ფაქტორებზე ვიმსჯელეთ, რასაც ინვესტორებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, მათ შორის, შრომის კოდექსის კანონპროექტზე. ჩვენი თხოვნაა, ამ შემთხვევაში, ფინანსთა სამინისტრო ბევრად აქტიური იყოს. შრომის კოდექსთან დაკავშირებულ ჩვენს შენიშვნებს, რამაც შესაძლოა, საბანკო სექტორს ხელი შეუშალოს, მათაც გავუგზავნით. ზოგადად, კოდექსის არსებულ ცვლილებებს ვეთანხმებით, მაგრამ მიგვაჩნია, რომ არის პრინციპები, რომლებიც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ. მაგალითად, საბანკო სექტორის თანამშრომლები, მუდმივი ტრენინგებისა და ტესტირების პროცესში არიან, რადგან ისინი პერიოდულად უნდა იმაღლებდნენ კვალიფიკაციას, რაც კოდექსის ახალი რედაქციის მიხედვით, საბანკო სექტორში, დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის, პრობლემებს გამოიწვევს. შესაბამისად, შრომის კოდექსმა საბანკო სექტორის მუშაობა არ უნდა შეაფერხოს“.

ზურაბ გვასალიამ „ვერსიას“ განუცხადა, რომ შრომის კოდექსთან დაკავშირებულ შენიშვნებს, საბანკო სექტორის წარმომადგენლები ნოდარ ხადურს გადასცემენ, რომელიც მათ ამ პრობლემების გადაჭრაში დაეხმარება. შეხვედრაზე საგადასახადო კოდექსში შესატან ცვლილებებზეც იმსჯელეს და დაასკვნეს, რომ ყველა ის მუხლი უნდა გადაიხედოს, რომელიც ორმაგი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. შეხვედრაზე საინვესტიციო ფონდების საკითხიც განიხილეს. ზურაბ გვასალიას მიაჩნია, რომ ქვეყნის ეკონომიკისთვის, ამ ფონდების ამოქმედებას დიდი მნიშვნელობა ექნება და ამ მიმართულებით, საბანკო სექტორს ნამდვილად შეუძლია აქტიური მონაწილეობა მიიღოს. ჯერ ერთი, ბანკებს ინვესტორებთან თავისი ურთიერთობები ჩამოუყალიბდათ, საკუთარი საკრედიტო ხაზები აქვთ და ამ ინფორმაციის მიტანა ინვესტორებამდე, სწორედ საბანკო სექტორს შეუძლია, ეხერხება და ამის ძალიან კარგი გამოცდილებაც აქვს:

„ყველაზე მეტი ყურადღება სოფლის მეურნეობას დაეთმო, რაც ძალიან მტკივნეული თემაა. სოფლის მეურნეობის დაკრედიტება მაღალრისკიანია და ამ დარგს, საბანკო სექტორის საკრედიტო პორტფელში, მინიმალური წილი უკავია. ეს წილი აუცილებლად უნდა გაიზარდოს, მაგრამ ამას თავისი პრობლემები აქვს და შეხვედრაზე, მათ აღმოფხვრაზეც ვისაუბრეთ. ამ ფონდების სწორად გამოყენება, სერიოზულ წვლილს შეიტანს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. ეს ნამდვილად გასათვალისწინებელია და საცოდაობაა, რომ ამ ფონდში თავი მოიყაროს თანხებმა, რაც მხოლოდ მოკლევადიან ეფექტს მოგვცემს. არასწორად მიმაჩნია ზოგიერთი ექსპერტის შეფასება, რომლებიც ბანკების გართულებულ ბიუროკრატიზმზე ამახვილებენ ყურადღებას. მათი შეფასებით, შესაძლოა, ბანკებმა იმდენად დიდი უზრუნველყოფა მოითხოვონ, რომ ის წლიური დაბალი პროცენტიც კი, რაც არსებულ საბაზრო განაკვეთთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდება, აღარაფრად უღირდეთ. ამას ბანკების მხრიდან ბიუროკრატიას ნამდვილად ვერ გადავაბრალებთ. გამოდის ისე, რომ შესაძლოა, საბანკო სექტორმა ისეთი მოთხოვნები დააყენოს, რასაც ფერმერები ვერ შეასრულებენ. ეს ასე ნამდვილად არ იქნება, რადგან საბანკო სექტორს ამ პროცესში მონაწილეობის მიღებას არავინ აიძულებს. ბანკები საკუთარი სურვილით შედიან ამ პროექტში და როდესაც საკუთარი სურვილით შედიხარ, ისეთ პირობებს აყენებ, რაც ფერმერების მხრიდან შესრულებადი იქნება“.

ზურაბ გვასალია იმასაც აცხადებს, რომ აუცილებლად გამოჩნდებიან უკმაყოფილებიც, მაგრამ წინასწარი პროგნოზით, საბანკო სექტორსა და ფერმერებს შორის, საკმაოდ აქტიური თანამშრომლობა შედგება. არიან ფერმერები და ფერმერული მეურნეობები, რომლებიც საბანკო სექტორის მიერ შემუშავებული მინიმალური პირობების დაკმაყოფილებას ნამდვილად შეძლებენ. საერთოდ, საბანკო სექტორს რისკების დათვლას ვერავინ ასწავლის, მაგრამ ეს არ იქნება ალოგიკური რისკები.

დავით ნარმანია უცხოურ კომპანიებს ადგილობრივი კადრების დასაქმებას კატეგორიულად სთხოვს

რატომაა ელექტრონული ტენდერი საშიში და რა პრობლემის მოგვარებას პირდება მინისტრი ბიზნესმენებს?

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია, „შერატონ მეტეხი პალასში“ სამშენებლო სექტორის ბიზნესმენებს შეხვდა. მინისტრმა 2013 წლის სამოქმედო გეგმაზე, დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებსა და ამასთან დაკავშირებულ ტენდერებზე ისაუბრა. 2013 წელს, პროექტების განხორციელების მხრივ, სამინისტრო 180 000 000 ლარით მეტს დახარჯავს, ვიდრე 2012 წელს დაიხარჯა.

საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ქვეყნის ეკონომიკა არ ვითარდება, ინვესტიციები შემცირდა და ინფრასტრუქტურული პროექტები შეჩერდა. „ვერსიასთან“ საუბრისას, **დავით ნარმანია** ამ მოსაზრებას კატეგორიულად უარყოფს:

„ბიზნესმენებს ჩვენი სამინისტროს 2013 წლის სამოქმედო გეგმა გავაცანით. თქვენც ნათლად დაინახეთ პროექტები, რომლებიც ხორციელდება და ახალი პროექტები, რაც ასევე დაგეგმილი გვაქვს. მიმდინარე წელს, 180 000 000 ლარით მეტის დახარჯვას ვაპირებთ, ვიდრე 2012 წელს დაიხარჯა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. 2013 წლის ბიუჯეტი 901 000 000 ლარია, 2012 წელს კი მხოლოდ — 720 000 000 ლარი იყო, ამიტომ ჩემი პასუხი მარტივია — როგორც ჩანს, მათი რიტორიკა რეალობასთან კავშირში არ არის და მხოლოდ პოლიტიკური დივიდენდების მოპოვებას უკავშირდება“.

დავით ნარმანიას უწყებაში სიახლეა — 2013 წლის იანვარში, მხოლოდ ერთ თვეში, სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული დაწესებულებების მიერ, 30-მდე მეტი ტენდერი გამოცხადდა, რომელთა საერთო ღირებულება 35 000 000 ლარია:

„მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ წინა წლებში, სოფლის დახმარების პროგრამისა და რეგიონში განსახორციელებელი პროექტების დიდი ნაწილი, პირდაპირი შესყიდვების ფორმით ხორციელდებოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობები, კომპანიებთან პირდაპირ აფორმებდნენ ხელშეკრულებებს. გასულ კვირას, მთავრობის სხდომაზე გავიტანეთ საკითხი — სამუშაო, რომლის ღირებულება 5 000 ლარზე მეტია, შესყიდვების კანონმდებლობით დადგენილ წესებს უნდა დაექვემდებაროს. მთავრობის განკარგულებაშივე ჩავდეთ, რომ ტენდერი უნდა გამოცხადდეს, შეღავათები არ უნდა გავრცელდეს და კომპანიებთან პირდაპირი ხელშეკრულებები არ უნდა გაფორმდეს. გარდა ეროვნული კანონმდებლობისა, ტენდერები საერთაშორისო რეგულაციებითაც ტარდება, როდესაც ინფრასტრუქტურული პროექტები უცხოური დონორი ორგანიზაციების თანხებით ფინანსდება. სამშენებლო სამუშაოებში, მაქსიმალურად მოვითხოვეთ ადგილობრივი პერსონალის დასაქმება, ანუ ამ პროექტებში დასაქმებულთა 70%, ადგილობრივი კადრი უნდა იყოს“.

დასაქმების ყოფილმა სახელმწიფო მინისტრმა და „კავკასუს როუდ პროჯექტის“ დირექტორმა **პაატა ტრაპაიძემ**, დავით ნარმანიას სთხოვა, რომ ელექტრონულ ტენდერებთან დაკავშირებით, სამინისტრომ მეტი სიფრთხილე გამოიჩინოს:

„მართალია, ელექტრონული ტენდერები კორუფციას გამორიცხავს, მაგრამ ამ მხრივ, მეტი სიფრთხილეა საჭირო. შეიძლება ითქვას, რომ ელექტრონული ტენდერების წინააღმდეგი ვარ. მარტივ მაგალითს გეტყვით, როდესაც სახლის აშენებას გადაწყვეტთ, ელექტრონულ ტენდერს გამოაცხადებთ და თქვენი სახლის მშენებლობას ისეთ კომპანიას მიანდობთ, რომელიც გაცილებით იაფად შეგისრულებთ სამუშაოს? ზუსტად იგივე ხდება ჩვენს სფეროშიც, რადგან როგორ შეიძლება, პროექტი, რომლის ღირებულება 400 000 000 ლარია, ტენდერში მოგებულმა კომპანიამ 200 000 000-ად განახორციელოს? გარდა ამისა, მსოფლიო ბანკის მთავარი მოთხოვნაა, რომ მის მიერ დაფინანსებულ პროექტებში სახელმწიფო კომპანიები არ მონაწილეობდნენ, რაც ჩვენს პირობებში დაშვებულია. არადა, როგორ შემიძლია კონკურენტულ პირობებში ვიყო, მაგალითად, ჩინეთის სახელმწიფო კომპანიასთან, რომელიც სახელმწიფო დოტაციით ფინანსდება? ამიტომ, როდესაც ვიგებ, რომ ტენდერში რომელიმე ჩინური კომპანია მონაწილეობს, მე უარს ვაცხადებ ტენდერზე“.

დავით ნარმანიამ „ვერსიას“ განიცხადა, რომ მართალია, მსოფლიო ბანკი უარს ეუბნება სახელმწიფო კომპანიებს, მაგრამ აზიის განვითარების ბანკისა და სხვა დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების შემთხვევაში, ასეთი მკაცრი მოთხოვნები არ არის:

„თუმცა, თუ ამ საკითხს დავსვამთ, დარწმუნებული ვარ, შევთანხმდებით და შედეგსაც მივაღწევთ. აქ კიდევ ერთი პრობლემაა, სახელმწიფო კომპანიების ცალკეული ნაწილი დემპინგური (საქონლის გაყიდვა უცხო ქვეყნის ბაზარზე, ადგილობრივ ფასებთან შედარებით ბევრად იაფად, ზოგჯერ თვითღირებულებაზე იაფადაც კი, — ავტ.) ფასებით შემოდის ჩვენს ბაზარზე და როდესაც ფასი დაბალია, ხარისხს ნაკლები ყურადღება ექცევა. ბოლოს და ბოლოს, ამით კონკურენცია იზღუდება, რადგან უცხო ქვეყნის კომპანიები, ჩვენს ბაზარზე ხელოვნურად დაბალი ფასით შემოდიან, ადგილობრივი კომპანიები არათანაბარ გარემოში ხვდებიან უცხოურ კომპანიებთან და კონკურენციას ვეღარ უძლებენ. ეს არის საკითხი, რომელზეც უკვე აქტიურად დავიწყეთ მუშაობა, ისევე, როგორც ვმუშაობთ მინიმალური ხარისხისა და სტანდარტების შემუშავებასა და ინფრასტრუქტურული პროექტების ხარისხის გაკონტროლებაზეც“.

„ვერსიასთან“ საუბრისას მუნიციპალური განვითარების ფონდის თავმჯდომარემ, **გუჯა ხოკრიშვილმა** აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში, ორი ტენდერი გამოცხადება, ერთი — რუსთავი-თბილისის გზის მონაკვეთის პირველი და მესამე სექციაზე და მეორე — ზუგდიდში, ლტოლვილთათვის განკუთვნილი 800 საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე:

„რაც შეეხება ანაკლიის პორტის მშენებლობას, ეს პროექტი არ შეჩერებულა, მისი მშენებლობა საპარტნიორო ფონდს გადაეცა, რომელმაც კერძო ინვესტორი უნდა მოიძიოს. ჩვენ ანაკლიის ნაპირ-დაცვას განვახორციელებთ და ტენდერსაც გამოვაცხადებთ. იმასაც ამბობენ, რომ ბათუმის ნაპირ-დაცვისა და ეგრეთ წოდებული ოქროს ქვიშების პლაჟის სამუშაოები შეჩერდა. სინამდვილეში, ტექნიკურ მიზანშეწონილობას გადავხედეთ, რადგან „ოქროს ქვიშები“ ბულგარეთიდან და ეგვიპტიდან უნდა შემოსულიყო, მაგრამ არც სახელმწიფო ბიუჯეტს და არც კერძო სექტორს ამის ფუფუნება არ აქვს. ამიტომ ბათუმის ნაპირ-დაცვა აუცილებლად განხორციელდება, პლაჟიც მოეწყობა, მაგრამ „ოქროს ქვიშის“ ნაცვლად, ჭოროხის ქვებს გამოვიყენებთ. წინა ხელისუფლებას დათვლილიც კი არ ჰქონდა, რა ჯდება „ოქროს ქვიშები“ რეალურად, მხოლოდ იდეის დონეზე სურდათ მისი მოწყობა. რაც მთავარია, ექსპერტების მოსაზრებით, „ოქროს ქვიშების“ დაკავება შეუძლებელია, მას პერიოდული განახლება სჭირდება, რაც საკმაოდ დიდ თანხებს უკავშირდება“.

პრივილეგირებული კომპანიების სავაჭრო ჯიხურები თბილისში უკანონოდაა განთავსებული

მერაბ ბერიძე

თბილისში სავაჭრო ჯიხურები, შესაძლოა, კანონდარღვევით იყოს განლაგებული. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ დედაქალაქის მთავრობის მიერ ჩატარებულ ელექტრონულ აუქციონში დარღვევები გამოავლინა. ორგანიზაციის კვლევაში აღნიშნულია, რომ ჯიხურების დამონტაჟების უფლება, ძირითადად, მერიის ფავორიტმა ფირმებმა მოიპოვეს ისე, რომ რამდენიმე მათგანს აუქციონში მონაწილეობა არც კი მიუღია.

უფრო დაწვრილებით, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, პროექტის „ელიტური კორუფციისა და ბიზნესზე სახელმწიფო ზეწოლის შემთხვევების გამოვლენა“ ფარგლებში, კვლევის პრეზენტაცია გამართა, რომელიც ეხება თბილისის მერიის პროექტს „სავაჭრო ჯიხურები ქალაქის მასშტაბით“. კვლევის თანახმად, მერიის არქიტექტურის სამსახური არ გასცემდა გარკვეულ პირებზე მშენებლობის ნებართვას, მიუხედავად იმისა, რომ ამის გაკეთება სწორედ მისი კომპეტენცია იყო. აღნიშნული უწყება დაინტერესებულ პირებს გარევაჭრობისთვის თანხმობის მიღების მიზნით, თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოში ამისამართებდა, თუმცა არ ასაბუთებდა ამის მიზეზს.

როგორც საია-ს თავმჯდომარე კახა კოჟორიძე აცხადებს, კვლევის შედეგად, გამოვლინდა პრობლემები კანონმდებლობასთან მიმართებაში. შედეგების თანახმად, თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ არ მომხდარა ე.წ. პრივილეგირებული კომპანიების: შპს „ექსპრესის“, შპს „აუთორრ. გეს“, შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიის“, შპს „მაგი სტილი მედიისა“ და შპს „ნუგეშისთვის“ საზოგადოებრივ ადგილებში გარევაჭრობის განხორციელებაზე გაცემული თანხმობის ვადის გაგრძელება. გაცემული თანხმობის ერთწლიანი ვადის გასვლის შემდეგ კი, ამ კომპანიების სავაჭრო ჯიხურები კანონის მოთხოვნათა დარღვევითაა განთავსებული.

„თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს, რომელიც მყისიერ რეაგირებას ახდენს ხოლმე კონკრეტული მოქალაქეების მხრიდან მშენებლობის ნებართვის დარღვევაზე, კონკრეტული პირების შემთხვევაში, მშენებლობის წესების დარღვევის გამო, რეაგირება არ მოუხდენია და არც სანქციები გაუტარებია ზემოაღნიშნული კომპანიების მიმართ“, — აცხადებს კახა კოჟორიძე.

როგორც პროექტის ავტორი სულხან სალაძე ამბობს, აღნიშნულ კომპანიებს არ გაუმარჯვიათ და მაღალი ალბათობით, მონაწილეობაც არ მიუღიათ თბილისის მერიის მიერ ჩატარებულ ელექტრონულ აუქციონში. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ამ კომპანიების სავაჭრო ჯიხურები უკანონოდ იყო განთავსებული თბილისში, მით უმეტეს, ქალაქის ცენტრში, სადაც სხვა პირებს აკრძალული აქვთ სავაჭრო ჯიხურების განთავსება.

„თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ არ ჩატარებულა კანონმდებლობით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოება და მას არ მიუღია შესაბამისი გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც, მოხდებოდა აღნიშნული სავაჭრო ჯიხურების დემონტაჟი. ამასთან, ე.წ. პრივილეგირებული კომპანიებიდან ორში, შპს „ექსპრესსა“ და შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიაში“, სახელმწიფო საკუთრებაში დღემდე რჩება კომპანიების წილის 70-70 პროცენტი“, — აცხადებს სულხან სალაძე.

საია მოუნოდებს შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს, აუცილებლად დაინტერესდნენ, რის საფუძველზეა განთავსებული აღნიშნული კომპანიების სავაჭრო ჯიხურები დღემდე ქალაქის ქუჩებში. აღსანიშნავია, რომ ეს კომპანიები მანამდეც პრივილეგიებით სარგებლობდნენ. კერძოდ, ახალი პროექტის გამოცხადებამდე, 2009 წლის 24 მარტიდან 2011 წლის 14 ივლისის ჩათვლით, გარევაჭრობისთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობის განთავსების ნებართვა 739-მა მიიღო, საიდანაც 443 ე.ნ. პრივილეგირებულ კომპანიებზე მოდიოდა. ასეთი სულ 11 კომპანიაა, თუმცა საია 5 მათგანს გამოყოფს, ესენია: „უაიდ დისტრიბუშენი“, „ნუგეში“, „აუთდორრ. ჯი“, „საქართველოს ლატარიის კომპანია“ და „მაგი მედია“.

2011 წლის ოქტომბრიდან სავაჭრო ჯიხურების იჯარით სარგებლობის მსურველებს ელექტრონულ აუქციონში უნდა მიეღოთ მონაწილეობა. გაცემული 244 ლოტიდან შპს „ნუგეშმა“ 20 მიიღო, თუმცა არქიტექტურული სამსახურის ინფორმაციით, ამ კომპანიას თბილისის მასშტაბით 83 ჯიხური აქვს განთავსებული. სხვა ზემოხსენებულ პრივილეგირებულ კომპანიებს საერთოდ არ მიუღიათ აუქციონში მონაწილეობა და არც გახანგრძლივებაზე მიუღიათ თანხმობა, თუმცა მათი სავაჭრო ჯიხურები ქალაქის მასშტაბით მაინც დგას.

აღნიშნული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ ზემოხსენებულ კომპანიებს მხოლოდ აუქციონში მონაწილეობის შემთხვევაში ექნებოდათ სავაჭრო ჯიხურების განთავსების შესაძლებლობა, რის საფუძველზეც საია მიიჩნევს, ზემოხსენებული კომპანიების ყველა სავაჭრო ჯიხური კანონის მოთხოვნათა დარღვევით იყო განთავსებული. იმის მიუხედავად, რომ აღნიშნული კომპანიები კანონს არღვევენ, თბილისის მერიის ცნობით, ქალაქის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ამ კომპანიების ჯიხურების შესახებ ადმინისტრაციული წარმოება არ დაწყებულა: **„სწორედ ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უშუალო ფუნქციას წარმოადგენს საზოგადოებრივ ადგილებში გარევაჭრობაზე კონტროლის განხორციელება. მათ შორის დარღვევების გამოვლენა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება“.**

საია თბილისის მერიას რეკომენდაციით მიმართავს, რათა ზედამხედველობის სამსახურმა შესაბამისი ზომები მიიღოს და მოხდეს ყველა იმ კომპანიის ჯიხურების დემონტაჟი, რომელიც კანონდარღვევითაა განთავსებული: **„შესაბამისი სტრუქტურები აუცილებლად უნდა დაინტერესდნენ ყველა იმ გარემოებით, რომელთა შესახებაც წარმოდგენილ კვლევაშია საუბარი“.**

ახალგაზრდა იურისტების კვლევას დედაქალაქის მერიაში გამოეხმაურნენ. პრესსპიკერი ბაჩო დოლიძე განმარტავს, რომ ყველა კომპანიამ, რომელმაც ჯიხური 2011 წლის ოქტომბრის შემდეგ დადგა, ელექტრონულ აუქციონში მიიღო მონაწილეობა: **„კომპანიები, რომლებსაც აღნიშნულ ინიციატივამდე არქიტექტურულ სამსახურთან ხელშეკრულება ჰქონდათ გაფორმებული, ჩვეულებრივად განაგრძობენ მუშაობას. როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადა დაუმთავრდებათ, შემდგომში უკვე აღნიშნული რეგულაციის ქვეშ მოექცევიან“.**

ამავე დროს, თბილისის მერია ჯიხურების გასხვისებას აგრძელებს. მერიის ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი აცხადებს, რომ შემდგომი ჯიხურების აუქციონი, რომელზეც 590 ლოტი იქნება გამოტანილი, თებერვლის შუა რიცხვებისთვისაა ჩანიშნული. სააგენტოს ინფორმაციით, პირველ ეტაპზე აუქციონზე 900 ლოტი იყო გამოტანილი, რომელთაგანაც 310 უკვე გაცემულია. ამ დრომდე, თბილისის მერიამ 18 აუქციონი გამართა.

ქალბატონ სულიკოს მეცხრე საავადმყოფოსთან, გაჩერებაზე, „მაცნეს“ გაზეთების ჯიხური ედგა. „ვერსიასთან“ საუბრისას ამბობს, რომ თავის დროზე, არანორმალურ აუქციონში მოუწია მონაწილეობა და მასში გამარჯვების მიუხედავად, ქუჩაში აღმოჩნდა: **„ეს არ იყო ნორმალური აუქციონი. ყველაფერი ხელოვნურად კეთდებოდა. რეალურად, სასურველი ხალხისთვის ადგილები გამოათავისუფლეს. აუქციონი მოვიგე, მაგრამ ლოტი უკან დავაბრუნე, რადგან ამ პირობებში მუშაობა შეუძლებელი იყო. თქვენ წარმოიდგინეთ, თვეში 3 ათასი ლარი უნდა მეშოვა, რომ აქედან 400-500 ლარი მოგება დამრჩენოდა; მერიისა და სხვა გადასახადები რომ გამესტუმრებინა. გაზეთში როგორ უნდა მომეგო სამი ათასი, როცა პროდუქტებზე მოვაჭრეები ვერ შოულობენ მაგდენს. ოცდაათი წელია, ამ ადგილზე ვმუშაობდი და ხომ უნდა ეკითხათ მაინც, ამ ჯიხურში რა იშოვებოდა. ამიტომაც, ჩემს ადგილზე სხვა არავინ მოსულა. ველოდები ცვლილებებს, რომ ჩემი სავაჭრო ადგილი დავიბრუნო, ამ ტერიტორიაზე სხვა მაინც ვერავინ დადგება. მანამდე კი, წელიწადი და ორი თვეა აქ, ქუჩის პირას ვზივარ და ველოდები სამართლიანობის აღდგენას. ჩემი ჯიხურიც შენახული მაქვს“.**

ამასთან დაკავშირებით, შეგახსენებთ, რომ პირველივე აუქციონის შემდეგ, 2011 წლის დეკემბერში, თბილისში პრესის გამავრცელებელი კომპანიების — „მაცნესა“ და „პლანეტა-ფორტეს“ ჯიხურები აიღეს. მათ ჩასანაცვლებლად კი, დედაქალაქის მერიამ „1000 ჯიხურის“ პროექტის ფარგლებში, შემდეგი აუქციონი გამოაცხადა. „მაცნესა“ და „პლანეტა-ფორტეს“ წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ამ პროექტის შედეგად მათი ბიზნესი დაზარალდა, რადგან იჯარის გადასახადი მაღალია და აღებული ლოტები უკან დააბრუნეს. კომპანიებმა, ბიზნესის შემცირების ფონზე, თანამშრომლები სამსახურიდან გაუშვეს.

მერიის პროექტს მედიისა და საზოგადოების დიდი ნაწილის პროტესტი მოჰყვა, იმ მოტივით, რომ ამ პროექტმა პრობლემები შეუქმნა თავისუფალი პრესის გავრცელებას. ამის შემდეგ, 2011 წლის დეკემბერში შეიქმნა „თავისუფალი პრესის მხარდამჭერი ორგანიზაცია“, რომელმაც პრესის გავრცელების ალტერნატიული პროექტის განხორციელება დაიწყო. პროექტის თანადაფინანსება საკუთარ თავზე კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა, ბიძინა ივანიშვილმა აიღო. ამ პროცესების შემდეგ თბილისის მერიის „1000 ჯიხურის“ პროექტისადმი ინტერესმა მნიშვნელოვნად იკლო. უფრო მეტიც, როგორც გაირკვა, აუქციონში მოპოვებული ლოტები გამარჯვებულმა კომპანიებმა უკან დააბრუნეს.

ექსპერტების შეფასებით, როცა ერთი წლის განმავლობაში ამ პროექტის ფარგლებში იჯარით 900-დან მხოლოდ მეოთხედი ლოტი გაიცა, ეს იმაზე მიანიშნებს, რომ პროექტმა ვერ იმუშავა. ხოლო, მოგებულ ლოტებს ბიზნესკომპანიები უკან იმიტომ აბრუნებენ, რომ შეთავაზებული ადგილები და პირობები არ არის ეკონომიკურად მომგებიანი: **„აქ ეკონომიკური გათვლა ნაკლებად იყო, სხვა მიზეზი ჰქონდა ტენდერის გამოცხადებას. ფაქტია, ამ ტენდერის შედეგად, ის ბიზნესები დაზარალდა, რომელიც პრესას ავრცელებდა, ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ პროექტს სხვა მიზანი ჰქონდა“.**

რა მიზანი ჰქონდა ამ და მსგავს „პროექტებს“, ალბათ, ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს. ბოლო პრესკონფერენციაზე პრეზიდენტმა საკაშვილმა მედიას ბოდიში მოუხადა მის მიმართ „უყურადღებობის“ გამო. ამავე დროს, ყველას ახსოვს მისი აგრესიული დამოკიდებულება პრესისა და, ზოგადად, ოპოზიციური მედიის მიმართ. სავლეს პავლედ გახდომა სურს, თორემ თავისუფალი მედია წლების განმავლობაში სულს ღაფავდა. მათ შორის სავაჭრო ჯიხურებისა და გავრცელების სფეროში, თავისუფალი მედიის უფლებები სრულად უნდა აღდგეს.

პატიმარმა სასტიკი წამებისას ვენების გადასერა სამართებლით სცადა

პოლიტპატიმრის, ლევან ჩაჩუას განცხადებით, მე-8 დაწესებულებაში ჰყავდათ ერთი პატიმარი, მეტსახელად „გოჭი“, რომელსაც ადმინისტრაცია პატიმრების გაუპატიურებას ავალებდა. პატიმარს, რომელიც თანამშრომლობაზე უარს აცხადებდა, მამათმავლებში ჩაყვანითა და გაუპატიურებითაც ემუქრებოდნენ.

„ის პრივილეგირებული იყო, სამაგიეროდ, ბინძური საქმეებისთვის იყენებდნენ. ციხეში ე.წ. მაყურებლებიდან ისევე, როგორც თანამშრომლებიდან ბევრი იყო არატრადიციული ორიენტაციის. სურდათ, ფიზიკურად გამორჩეული და კარგი აღნაგობის ბიჭები თავისნაირი გაეხადათ. მთელი სისტემა იყო აწყობილი, რომელიც პატიმრის ე.წ. გაქათმებას ემსახურებოდა“, — აცხადებს ჩაჩუა.

მისივე თქმით, იყო შემთხვევა, როცა პატიმარს გაუპატიურების შიშით პირში სამართებელი დაუმალავს. სასტიკი წამებისას ვენების გადასერა სცადა. უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა ოლეგ ფაცაციამ სამართებელი წაართვა და უთხრა, თუ ასეთი მაგარი ხარ, ყელი გამოიღადრეო და ისევ მიაწოდა. პატიმარმა მართლაც გამოისვა ყელში სამართებელი. მოგვიანებით გავიგეთ, რომ მისი გადარჩენა ქირურგიული ჩარევით მოხერხდა.

„საკანში რომ გადამიყვანეს, ოფიცერი ვახო გუგუციძე 32 საკანს აკონტროლებდა. ციხეს ე.წ. კლუჩნიკიც ჰყავდა, რომელიც სადისტურად ექცეოდა პატიმრებს, მაგრამ გუგუციძე მაინც შეუდარებელი იყო. თურმე თავის დროზე, პოლიციელი მამა მოუკლეს და გაბოროტებული იყო. ერთხელ თანასაკნელს კბილი ასტკივდა და ექიმთან ჩაყვანა მოითხოვა. ამ ოფიცერმა ჩაიყვანა და ერთის ნაცვლად, ოთხი ამოაძრეს გამაყუჩებლის გარეშე, თან „დაამშვიდა“, სადაც ოდნავ კარიესი გქონდა, ის კბილები ამოგთხარეს და ექიმი აღარ დაგჭირდებაო. ვახო გუგუციძე პატიმარს ბანაობისთვის მხოლოდ 4 წუთს აძლევდა, თანაც აუცილებლად ცივ წყალში, ზამთარშიც კი. წყლის დამარეგულირებელი ოფიცრის ოთახში იყო და უნდოდა, ცხელს მოუშვებდა, უნდოდა, ცივს. მახსოვს, მთელმა კორპუსმა უჩივლა ამ ოფიცერს, მაგრამ ის დღესაც დაუსჯელია(!)“, — ყვება ჩაჩუა.

„ნიუსპლიუსი“

ევროკავშირი საქართველოს 20 მლნ ევროს დახმარებას გამოუყოფს

ევროკავშირის მხარდაჭერის ფარგლებში, საქართველოსთვის 20 მლნ ევროს დახმარების საფინანსო შეთანხმებას ხელი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილმა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარი შტეფან ფულემ მოაწერეს. როგორც ალექსი პეტრიაშვილმა განაცხადა, ეს დახმარება ეროვნული ინდიკატორი პროგრამის 2012 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული „საქართველოში ინსტიტუციონალური განვითარების ინსტრუმენტების განხორციელება“ ფარგლებში ხორციელდება. საფინანსო შეთანხმებით განსაზღვრული 20 მლნ ევრო საქართველოს სახელმწიფო უწყებებში დაგეგმილი ინსტიტუციონალური განვითარების პროექტების დაფინანსებასა და ყოვლისმომცველი ინსტიტუციონალური განვითარების პროგრამის განხორციელებას მოხმარდება. საფინანსო შეთანხმება იმ სახელმწიფო უწყებების შესაძლებლობების გაძლიერებას ითვალისწინებს, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართული ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე დიალოგში.

„პირველი“

შესაძლო განხეთქილება „ქართულ ოცნებაში“ სააკაშვილის პარტიას იმედს უჩენს

მოლი კორსო

bne businessneweurope

იმის ნიშნებმა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილსა და თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას შორის დაძაბულობა მატულობს, იმ სპეკულაციებს დაუდო სათავე, რომელთა თანახმად, „ქართული ოცნება“ დაშლისკენ მიდის. ეს ფაქტი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პარტიას, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, მომავალი ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის იმედს უჩენს. მაგრამ ანალიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ნაციონალურ მოძრაობას ოქტომბერში გამარჯვებისთვის უფრო მეტი რამ დასჭირდება, ვიდრე მხოლოდ განხეთქილება მმართველ კოალიციაში.

ვარაუდებმა მედიაში იმასთან დაკავშირებით, რომ ექვსი პარტიისგან შემდგარი კოალიცია „ქართული ოცნება“ შეიძლება დაიშალოს, იმატა მას შემდეგ, რაც 23 ნოემბერს ალასანიამ ვიცე-პრეზიდენტის პოსტი დაკარგა. მოგვიანებით, ივანიშვილის მიერ გაკეთებულმა განცხადებებმა მათი ურთიერთობის შესახებ, რომლებშიც გამოითქვა უცნაური ვარაუდი ალასანიასა და თბილისის მერის გიგი უგულავას ცოლის საზღვარგარეთ შესაძლო მოგზაურობის შესახებ, კიდევ უფრო შეუნთო ცეცხლი სიტუაციას.

5 თებერვლის პრესკონფერენციაზე, რომელიც მისი მთავრობის მმართველობის 100 დღეს მიეძღვნა, პრემიერ-მინისტრს წამოსცდა, რომ ალასანიას მოგზაურობის შესახებ კითხვა დაუსვა, თუმცა აქვე საჩქაროდ სცადა დისტანცირება ჭორებისგან ღალატის შესახებ. **„ყველას შეიძლება მოუვიდეს შეცდომა, ალასანია ჯერ ახალგაზრდა კაცია... ეს ყველაფერი ძალიან პირადულია და მე არ ვერევი პირადულ საკითხებში“,** — განაცხადა მან. ივანიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ალასანიას კოალიციიდან წასვლა არ განიხილება, ხოლო ის საკითხი, თუ ვინ დასახელდება ვიცე-პრემიერად (ალბათ, განათლების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი), დიდი მნიშვნელობისა არ არის.

ვინ არის აქ ბოსი

უთანხმოება ივანიშვილსა და ალასანიას შორის საჯაროდ ცნობილი 24 იანვარს გახდა, როდესაც პრემიერ-მინისტრის ოფისმა ალასანიას დაქვეითების შესახებ განაცხადა. ჟურნალისტებთან შეხვედრისას დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე იანვარში, ივანიშვილმა ალასანიასგან განსხვავებული განმარტება მისცა ამ ფაქტის გარშემო. კერძოდ, ალასანიამ საჯაროდ განაცხადა, რომ თავდაცვის მინისტრის მოვალეობები მას ძალიან დიდ დროს ართმევს, ხოლო ივანიშვილმა დაქვეითების მიზეზად „პატარა შეცდომა“ დაასახელა. **„უბრალოდ, პატარა გაუგებრობა იყო, რომელიც ნებისმიერ პოლიტიკოსს შეიძლება მოუვიდეს... მან თავის გუნდთან, ვიწრო წრეში დაიწყო დისკუსია საკუთარი კანდიდატურის დაყენებაზე (პრეზიდენტად)“,** — განაცხადა ივანიშვილმა. **„ელემენტარული გაუფრთხილებლობა, რაც ირაკლიმ გამოიჩინა და შიგნით განიხილა და ვერ მოახერხა კოალიციასთან განხილვა და ჩემთან შეთანხმება – გუნდით დაიწყო, გუნდმა ეს გაიტანა და სულ სხვანაირად გავრცელდა რეგიონებში“.**

ივანიშვილს ოფიციალურად არ დაუსახელებია თავისი კანდიდატი ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში, თუმცა მან, როგორც შესაძლო კანდიდატს, ძალიან მაღალი შეფასება მისცა ვახტანგ ხმალაძეს, პარლამენტის წევრს „ქართული ოცნებიდან“. პოლიტოლოგი კობა თურმანიძე აღნიშნავს, რომ ივანიშვილის ტონი და თვითონ ის ფაქტი, რომ საკითხს ჟურნალისტებთან განიხილავდა, ცხადი შეტყობინება იყო საზოგადოებისთვის იერარქიაზე კოალიციაში. **„მე ვვარაუდობ, მაგრამ აქ შეიძლება იყო გზავნილი, რომ მე (ივანიშვილი) ვარ აქ უფროსი და აქ არიან ჩემი უმცროსი პარტნიორები და თუ ისინი არ მოიქცევიან კარგად, არ შემითანხმებენ თავიანთ ქმედებებს, ისინი ამისთვის პასუხს აგებენ და საფასური შესაძლოა მაღალი იყოს“,** — ამბობს იგი. **„მნიშვნელოვანი არ არის, რამდენად სერიოზული უთანხმოება მოხდა ამ ორ პოლიტიკურ ძალას შორის, მაგრამ მნიშვნელოვანია, როგორ აღიქვამს ამას ამომრჩეველი და მე მგონია, რომ მათ ეს ისე აღიქვეს, თითქოს ლიდერმა დატუქსა ერთ-ერთი ლიდერი იმის სადემონსტრაციოდ, რომ ივანიშვილი (კოალიციის ყველა სხვა ლიდერზე) მაღლა დგას“.** თურმანიძის თქმით, „ქართული ოცნების“ წევრები ღიად ლაპარაკობენ იმაზე, რომ საბოლოოდ, კოალიცია დაიშლება. **„ისინი იმასაც კი არ ამბობენ, რომ კოალიცია სამუდამოდ შეიქმნა, ისინი ბევრს ლაპარაკობენ კონკურენციაზე კოალიციის შიგნით“,** — განაცხადა მან და დასძინა, რომ ეს დისკუსიები ერთ რამეს უსვამს ხაზს, **„ნაციონალური მოძრაობა ვერ ცერთ არჩევნებში მათთვის სარწმუნო კონკურენტად არ მოიაზრება“.**

„მათ მიაჩნიათ, რომ ნაციონალური მოძრაობა გაქრება და მათ უნდა დაიწყონ კონკურირება კოალიციის შიგნით... მაგრამ მე მგონია, რომ ვარაუდი ნაციონალური მოძრაობის გაქრობის შესახებ, არასწორია“, — ამბობს ის და აღნიშნავს, რომ ყოფილ მმართველ პარტიას ეკუთვნის პრეზიდენტის ინსტიტუტი და თბილისის მთავრობა. ნაციონალურ მოძრაობა აკონტროლებს, როგორც მინიმუმ, ერთ ნაციონალურ მაუწყებელს, „რუსთავი 2“-ს და, შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყოს, რომ მას აქვს ამომრჩევლამდე გზავნილის მიტანის დიდი გამოცდილება.

პრესკონფერენციაზე, ივანიშვილმა გაიმეორა, რომ ნებისმიერ პარტიას კოალიციაში ყოველთვის შეუძლია წავიდეს, მაგრამ უარყო სპეკულაციები, რომელთა თანახმად, მისი საჯარო საყვედური ალასანიასადმი ნაციონალურ მოძრაობას არგებს. ყოფილი მმართველი გუნდის სახელის ხსენებაც კი ალერგიას იწვევს ქართველ ამომრჩეველში, — განაცხადა მან და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნებისმიერი კონკურენცია, ალბათ, ახალი პოლიტიკური ძალიდან წამოვა და არა სააკაშვილის დისკრედიტებული ნაციონალური მოძრაობიდან.

ქართველებმა თავიანთი იმედგაცრუება იმ პარტიით, რომელიც მათ 9 წლის განმავლობაში, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მართავდა, შარშან ოქტომბერში საარჩევნო ყუთებთან გამოხატეს, უდიდესმა უმრავლესობამ ხმა ოპოზიციურ კოალიციას „ქართულ ოცნებას“ მისცა. ნაციონალური მოძრაობისთვის ნებისმიერი ლაპარაკი კოალიციის განხეთქილებაზე კარგი ამბავია: ყოფილმა მმართველმა პარტიამ პარლამენტში 10 დეპუტატი დაკარგა. მარიკა ვერულაშვილი, სააკაშვილის ძველი მოკავშირე, ბოლოა, ვინც პარტია დატოვა (5 თებერვალს). პარტიამ გასულ არჩევნებში 150-კაციან პარლამენტში 65 მანდატი მიიღო, მაგრამ პოლიტოლოგ თორნიკე შარაშენიძეს მიაჩნია, რომ „ენმ“ ჯერ კიდეც წარმოადგენს ძალას ქართულ პოლიტიკაში. „კოალიცია „ქართული ოცნებისთვის“ ყველაზე დიდ საფრთხეს არაკომპეტენტური ხალხი წარმოადგენს... ეს ადამიანები ძალიან დააზარალებენ „ქართული ოცნებისა“ და ივანიშვილის იმიჯს“, — ამბობს ის. **„ვერ ვხედავ ვერც ერთ შანსს იმისას, რომ „ენმ“-მ ოქტომბრის არჩევნებში გაიმარჯვოს. მაგრამ მე ვფიქრობ, ისინი შეძლებდნენ დაბრუნებას 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებში“. „თუ „ქართული ოცნება“ დაიშლება, ეს იქნება დიდი მორალური დარტყმა მათთვის, მაგრამ სანამ არსებობს „ენმ“, არა მგონია, კოალიცია „ქართული ოცნება“ დაიშალოს“.**

http://foreignpress.ge/

ვერსიანიუსი

ჭიათურაში მაღაროელები გაიფიცნენ

ჭიათურაში მაღაროელების გაფიცვა დაიწყო. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ჭიათურის მაჟორიტარმა დეპუტატმა, მალხაზ წერეთელმა განუცხადა, გაფიცულია ხუთი მაღარო და შვიდი გადამამუშავებელი ქარხანა, ასევე, დაცლილია კომპანია „ჯორჯიან მანგანეზის“ ადმინისტრაციული შენობა.

მისივე ინფორმაციით, პროტესტის შედარებით მძიმე ფორმას რვა მაღაროელმა მიმართა. ისინი შუქრუთის მაღაროს სიღრმეში იმყოფებიან და ამოსვლაზე უარს აცხადებენ.

გაფიცულ მაღაროელებს სამი ძირითადი მოთხოვნა აქვთ, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაში პროტესტის შეწყვეტას არ აპირებენ. ისინი, პირველ რიგში, 28-დღიანი შვებულების 48 დღემდე გაზრდას ითხოვენ. გარდა ამისა, სურთ, რომ კონსტიტუციით გათვალისწინებული უქმე დღეები მათაც დაუკანონდეს. რაც შეეხება მესამე მოთხოვნას, ეს ავადმყოფობის შემთხვევაში გაუთვალისწინებელი დასვენების დღეების რაოდენობის, ე.წ. საავადმყოფო ფურცლის დღეებზე გასვლის რაოდენობის გაზრდას შეეხება.

როგორც დეპუტატი აცხადებს, სამივე მოთხოვნასთან დაკავშირებით მაღაროელებსა და დამქირავებელ კომპანიას შორის შეთანხმება მიღწეული იყო, თუმცა მაღაროელების ახლანდელი პროტესტი პირობის შეუსრულებლობამ და პროცესის გაჭიანურებამ გამოიწვია.

ჭიათურის მაღაროელები 2012 წლის შემოდგომითაც იყვნენ გაფიცულები.

„ინტერპრესნიუსი“

ჯანდაცვა

რეკომენდაციები ღორის გრიპისგან თავის დასაცავად და გამოვლინების სიმპტომები

ჯანდაცვის სამინისტრომ და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულმა ცენტრმა „ექსპრესნიუსს“ მიაწოდა რეკომენდაციები, როგორ უნდა მოიქცეს მოქალაქე, რომ გამოავლინოს, ე.წ. ღორის გრიპი და ამასთან, როგორ დაიცვას თავი ვირუსისგან. როგორც წესი, გრიპის შემთხვევების უმეტესი რაოდენობა, ყოველგვარი სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების გარეშე, მთავრდება გამოჯანმრთელებით. თუმცა გრიპი, ზოგ შემთხვევაში, შესაძლებელია გართულდეს და უფრო იშვიათად, გამოიწვიოს ლეტალური გამოსავალიც კი.

გრიპის ვირუსისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებად აღიარებულია გრიპის საწინააღმდეგო სეზონური ვაქცინაცია.

გრიპის ფართო გავრცელებისას რეკომენდებულია არაპირდაპირი დაცვის საშუალებების გამოყენება, კერძოდ:

უმჯობესია, დაავადებული ადამიანები დარჩნენ სახლში, ამით დაიცავენ თავს მოსალოდნელი გართულებისგან, ხოლო საზოგადოებას – დაავადების გავრცელებისგან;

ჯანმრთელებმაც და დაავადებულებმაც, შეძლებისდაგვარად, ხშირად დაიბანონ ხელები საპნითა და გამდინარე წყლით, რათა შემცირდეს ხელით ვირუსის გადატანის შესაძლებლობა;

რაც შეიძლება ხშირად გაანიავეთ საცხოვრებელი ადგილი;

გამოიყენეთ სველი წესით დალაგება;

იმ შემთხვევაში, თუ დაავადება მიმდინარეობს მძიმედ და უჩვეულოდ, ან დაავადებული მიეკუთვნება გრიპის გართულების მაღალი რისკის ჯგუფს, სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს, სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების მისაღებად.

გრიპის მძიმედ მიმდინარეობის ნიშნებია:

გახანგრძლივებული (3 დღეზე მეტი) მაღალი ცხელება (38 გრადუსზე მეტი);

სუნთქვის გაძნელება;

ქოშინი;

ციანოზი;

ტკივილი გულმკერდის არეში;

სისხლიანი ან მოვარდისფრო ნახველის გაჩენა;

ბავშვებში — ღებინება ან ყლაპვის გაძნელება, კრუნჩხვები.

გრიპის გართულების მაღალი რისკის ჯგუფებია:

გულისა და სასუნთქი სისტემის ქრონიკული დაავადებით შეპყრობილნი;

დიაბეტით დაავადებულნი;

მცირე და ხანდაზმული ასაკი;

ორსულები.

შეგახსენებთ, ღუდუშაურის კლინიკაში 42 წლის ქალბატონი ე.წ ღორის გრიპის ვირუსით გარდაიცვალა.

ექიმების თქმით, გართულებული მდგომარეობის გამო, მისი ანალიზები ღუდუშაურის კლინიკიდან დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში გადაიგზავნა, სადაც დადგინდა, რომ პაციენტის გარდაცვალების მიზეზი H1N1, იგივე ღორის გრიპი გახდა.

თამარ ლომსაძე

საქართველოში შერჩევით სამართალი უნდა დასრულდეს და პოლიტიკა ხელოვნებაში აღარ უნდა შეიჭრას, — ასე დაიწყო „ვერსიასთან“ საუბარი მსახიობმა მამუკა ლომაშვილმა, რომელიც წლების განმავლობაში, პრეზიდენტის პაროდიას აკეთებდა და გარკვეული პერიოდის შემდეგ, სწორედ იმავე პრეზიდენტისთვის აღმოჩნდა მიუღებელი. „შავ სიაშიც“ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ჩაწერეს და საკუთარი ხელით შექმნილი სტუდიაც სინდისის ქენჯნის გარეშე, ვიღაცის „ხუშტურის გამო“ დაატოვებინეს. რატომ აღარ მოეწონა პრეზიდენტს მამუკა ლომაშვილის „მიშა“ და რატომ დაუპატიმრეს 19 წლის ძმისშვილი, ამის შესახებ მსახიობი პირველად „ვერსიასთან“ საუბრობს.

„პირდაპირ მითხრეს, საქმე იმის მიხედვით მოგვარდება, რა დროშასაც დაიჭერო, მაგრამ ძალიან კარგად იცოდნენ, სადაც ძოვდნენ“

მამუკა ლომაშვილი მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ

— ბოლო პერიოდია, საზოგადოების წინაშე აქტიურად აღარ ვჩანვარ, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ვიღაცების ხუშტურის გამო, ბევრი პრობლემა შემექმნა, ხელი ნამდვილად არ ჩამიქნევია. ამ დროს, სტუდია, რომელიც მეგობრებთან ერთად, საკუთარი შრომით გავაკეთე, იძულებით დამატოვებინეს, ამდენი წლის ნალოლიავები, ხელის ერთი მოსმით გაანადგურეს და ოქტომბრამდე სრულ იზოლაციაში ვიყავი. ყველაფერი კი 2007 წლის ნოემბრიდან დაიწყო, როცა ჩემს მეგობრებთან ერთად, გამოვჩნდი მიტინგზე, საკუთარი პოზიცია დავაფიქსირე, დავდექი ქართველი ხალხის გვერდით და ვთქვი ის, რაც მეთქმოდა...

— ასეთი რა თქვი, შედეგად დისკრედიტაცია რომ მიიღე?

— მოულოდნელად გამოაცხადეს, მამუკა სიტყვით გამოვაო... ერთია, როცა დგახარ ხალხის გვერდით და მის პოზიციას იზიარებ, მეორე კი, სიტყვით რომ გამოდიხარ. ხალხმა მოითხოვა, მიშას ხმით მელაპარაკა, ასეთი სიჩუმე საკონცერტო დარბაზშიც არ მახსოვს, და ვთქვი — მე თქვენ ძალიან მიყვარხართ, მოგისმენთ და თქვენს მოთხოვნებს დავაკმაყოფილებ-თქო... ვთქვი ის, რაც წესით, პრეზიდენტს უნდა ეთქვა!

სხვათა შორის, მაშინ სააკაშვილს ხალხი მართლა ელოდებოდა და რომ მისულიყო, „შვიდი ნოემბერი“ აღარ მოხდებოდა. ამ სიტუაციაში, ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ადამიანები, ვინც მოითხოვდა, მიშას ხმით რაღაც საშინელება მელაპარაკა, რასაც ცხოვრებაში ვერასოდეს ვიკადრებდი, მოგვიანებით, აღმოჩნდნენ ხელისუფლების მხარდამჭერთა სიაში და პარლამენტში. ამის შემდეგ დაიწყეს ჩემი დაბლოკვა, ჩამწერეს ე.წ. შავ სიაში და ყოველთვის მაძახებდნენ — ეს იმის შედეგია, შვიდი ნოემბრის აქციაზე სიტყვით რომ გამოხვედიო.

— ალბათ, ამიტომაც უნდა ემიჯნებოდნენ ხელოვანი ადამიანები პოლიტიკას...

— რასაც ვფიქრობ, ყოველთვის იმას ვამბობ და არასოდეს ვყოფილვარ მედროშე, მიუხედავად იმისა, რომ სანამ „მიშად ვიმუშავებდი“, საკმაოდ აქტიური პოლიტიკური ცხოვრება მქონდა. ასე რომ, ვიცი, რა არის კარგი და რა — ცუდი. სხვათა შორის, ტელევიზიებსაც ანალოგიური დამოკიდებულება ჰქონდათ — ჯერ მიმიწვევდნენ რაღაც გადაცემაში და მერე უარს მეუბნებოდნენ, პირად საუბრებში კი აღნიშნავდნენ — პროდიუსერმა დაგბლოკა, ეგ ოპოზიციონერია და არ მიიწვიოთო.

მახსოვს, ერთხელ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად, ციხეში შევედი, ვცდილობდი, დადებითი მუხტი შემეტანა და უცებ მესმის: ეს ოპოზიციონერი აქ რატომ შემოიყვანეთო! ბოლოს კი, როდესაც გოგი ქავთარაძის „თეთრ ბაირაღებს“ დავესწარი, სადაც ბატონი ბიძინა ივანიშვილიც იყო მისული, იძულებული გამხადეს, დამეწერა განცხადება და თეატრიდან წამოვსულიყავი.

— პირდაპირი მითითება იყო, თეატრი დაგეტოვებინა?

— არა, უბრალოდ, როცა ხედავ, შენი გულისთვის ვიღაცებს ავიწროებენ, დევნიან, უნდა იყო არაადამიანი, სხვაგვარად მოიქცე. სხვათა შორის, არასოდეს დამიმალავს ჩემი პოზიცია, რომელიც მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა. არადა მაფრთხილებდნენ, ტელეფონზე რომ ლაპარაკობ, ყველაფერი იშიფრებაო და... გეხვეწებით, რა, მე ვარ ადამიანი, გამაჩნია ჩემი პოზიცია და ვერავის დავუწყებ ლოლიაობას! სხვა ვიფიქრო და სხვა ვილაპარაკო, ეს ჩემი სტილი ნამდვილად არ არის. იმას არ ვამბობ, თითქოს განსაკუთრებული ვარ, მაგრამ როდესაც ხარ ხალხის სამსახურში, პაროდიის თეატრის მსახიობი, რაც პოლიტიკური სატირაა და, ამავე დროს, პრეზიდენტის პაროდისტად გიცნობენ, ყოველთვის მართალი უნდა იყო...

— პრეზიდენტისთვის მიუღებელი აღმოჩნდა შენი „მართალი მიშა“?

— რა თქმა უნდა, მე უტრირებას ვუკეთებდი მიხელ სააკაშვილს, ეს პაროდია მისი ანარეკლი იყო და თუ ვინმეს არ მოსწონდა, პირველ რიგში, სწორედ პრეზიდენტს...

— თუმცა, მანამდე არაერთხელ გითქვამს, არავინ მზღუდავსო.

— ვინ უნდა ჩარეულიყო, სახელმწიფო, რომელმაც ქართული კულტურა გაანადგურა?! რა შოუბიზნესსა და ქართულ ესტრადაზე ლაპარაკობენ, როცა ეს სფერო მკვდარია?! სალაპარაკო ჟანრი ქართულ ესტრადაზე საერთოდ მოსპეს, სკოლა აღარ არსებობს, განადგურდა! მე და ბიძინა მახარაძე ვცდილობდით აღდგენას, სრულიად უფასოდ, ენთუზიაზმით ვამზადებდით სტუდენტებს, გავაკეთე იუმორისტული ჯგუფი „ანცი“, მაგრამ რად გინდა? და ეს ყველაფერი ვერ აღორძინდება, თუ ქმედითი ნაბიჯები არ გადაიდგა. ესტრადა მარტო ის არაა, ვიღაცამ კლიპი გადაიღოს და სიმღერა ჩაწეროს. მითხარით ტელევიზიაში თუნდაც ერთი გადაცემა, რომელიც ხელოვნებასა და ხელოვან ხალხს პროპაგანდას გაუწევს. მსახიობის კულტი, საერთოდ, მოსპეს, ამ ადამიანებს სტატუსიც აღარ გააჩნიათ.

— რეიტინგიც დაკარგეს, თუნდაც იმ შიდადაპირისპირებების გამო, რომელმაც წალეკა თეატრი და, საერთოდ, ქართული კულტურა, არ მეთანხმები?

— შიდადაპირისპირებები ყოველთვის იყო, არის და იქნება, მაგრამ რაც დღეს ქართულ თეატრში ხდება, ამაზე საკუთარი ხედვა გამაჩნია — იქ ყველას თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს, მმართველსაც, სამხატვრო ხელმძღვანელსაც, რეჟისორსაც და მსახიობსაც.

— ანუ დავესესხები რობერტ სტურუას, დიქტატურა უნდა იყოს?

— რა თქმა უნდა, ოღონდ, ეს არ უნდა იყოს სამხატვრო ხელმძღვანელის დიქტატურა იმიტომ, რომ სამხატვრო ხელმძღვანელი, რომელიც დგამს სპექტაკლებს, ახალგაზრდა რეჟისორს გასაქანს არ მისცემს. ახლა ალაპარაკდნენ, უნდა შეიქმნას სამხატვრო საბჭო, სადაც მსახიობებიც მიიღებენ გადაწყვეტილებას, რა დაიდგას და რა არაო... რაც დიდი შეცდომა იქნება — მსახიობს აქვს კონკრეტული დანიშნულება, შეასრულოს როლი. ძალიან დიდი ბოდიში ყველასთან, მაგრამ ჩვენ, ხელოვანი ადამიანები ცოტა ამბიციურები და ტენდენციურები ვართ, მოდი, ვაღიაროთ ეს და არც ისეთი კარგები თუ ტკბილები გახლავართ, როგორც ეკრანზე ვჩანვართ, ამიტომ, ხელის ერთი მოქნევით ეს პრობლემები არ და ვერ მოგვარდება, მით უმეტეს, რომ თეატრი დღეს მაყურებლის დეფიციტს განიცდის. ყოველთვის მოვუწოდებდი მთავრობას, იარეთ თეატრში და ხალხიც მოგბაძავთ-თქო...

— მეეჭვება, ხალხი თეატრში იმიტომ მივიდეს, რომ იქ ხელისუფლების წარმომადგენლები დადიან...

— შესაძლოა, ეს ერთადერთი არა, მაგრამ ერთ-ერთი ფაქტორია. კულტურის, ხელოვნების პროპაგანდა უნდა მოხდეს. ახალგაზრდა თაობა არ იცნობს მსახიობებს, ვინც განსაკუთრებული როლი შეასრულა ქართული თეატრის განვითარებაში, არადა ისინი ძალიან ცუდ დღეში არიან.

— უკაცრავად, მაგრამ სრულიად ერია ცუდ დღეში...

— აქ ერზე არაა საუბარი. ხელოვანი ადამიანი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის იდეოლოგიის ჩამოყალიბებაში, ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა იყოს და მსახიობს არ უნდა ეცვას დახეული სამოსი. რეგიონებში მსახიობები რა დღეში არიან, ვინმე ლაპარაკობს ამაზე? სწორედ ესაა პრობლემა, ყველას თანაბრად უნდა შეუწყონ ხელი და არა შერჩევითობის პრინციპით მოქმედებდნენ, ვიღაცებს „შავ სიაში“ წერდნენ და ვიღაცებს ხელისგულზე ატარებდნენ.

— ხომ გააფორმეს მერიაში, მეტი რაღა ქნან?

— მაშინ ყველა გააფორმონ და აძლიონ ხელფასი. ვიღაცები ალპინისტ-დამგველები არიან, ვიღაცები ფოთის პორტის მეთევზეები, ამაში ათასებს იღებენ და ამ დროს, ზოგს ლუკმაპური ენატრება. ამ შერჩევითმა პრინციპმა დაღუპა ქვეყანა.

— ისე ქართველებს ვერაფერს გაუგებ. ზოგი ამბობდა, სამთავრობო ღონისძიებებში ამხელა თანხა ტყუილად იხარჯებაო, წელს კი აბუზღუნდნენ, საახალწლოდ რატომ არაფერი გაკეთდაო.

— მე, პირადად, არ ვარ წინააღმდეგი, ჩემს ქალაქში ჩატარდეს კარგი ღონისძიება, ოღონდ არა შერჩევითი, რომ ვიღაცები აღაზევო და ზოგს საერთოდ ფუნქცია დაუკარგო.

მითხარით, სად უნდა გაიზარდოს საქართველოში ესტრადის ვარსკვლავი, როცა სკოლა აღარ არსებობს, მოსპეს. ტელევიზიით რომ გაშუქდეს რაიმე ღონისძიება, იქაც ჩაწყობაა საჭირო, სპონსორიც კი, თუ ასეთს ნახავდი, გპასუხობდა, მე მითითება მაქვს, მხოლოდ კონკრეტული ადამიანები უნდა დავაფინანსოო. იმედია, ახალი ხელისუფლება ამ ყველაფერს გაითვალისწინებს და მექანიზმს დახვეწს, თორემ ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანს, და არც იმის მომხრე ვარ, ვიღაცები მხოლოდ იმის გამო შევიძულოთ, რომ ოდესღაც მიშას უმღეროდნენ.

— ეს ტენდენცია ყოველთვის იყო, მაგალითისთვის „წვიმის მუსიკოსებიც“ გამოდგება...

— ყველაფერი შედარებითია — ვიღაც ამას მიზანმიმართულად აკეთებდა და ვიღაც იძულებული იყო, ასე მოქცეულიყო. არც ერთმა ხელისუფლებამ ადამიანები არჩევანის წინაშე არ უნდა დააყენოს, თუმცა ეს არაა გასამართლებელი საბუთი, ჩემთვისაც შემოუთავაზებიათ რაღაცები, მაგრამ საკუთარი პრინციპებისთვის არასოდეს მიღალატია.

— რას გთავაზობდნენ, საწნახელში პრეზიდენტთან ერთად ყურძნის დაწურვას?

— სხვა შემთხვევაში, არც ეგ იქნებოდა პრობლემა, მაგრამ როცა მოხდა შვიდი ნოემბერი, 26 მაისი, აგვისტოს ომი, როგორ უნდა თქვა, რომ ეს ნორმალურია? მით უმეტეს, მეც და ჩემს ოჯახსაც ძალიან ცუდად შეგვეხნენ.

ამას პირველად ვამბობ: ერთი წელი ციხის კართან მატარეს. დაიჭირეს ჩემი ძმისშვილი, 19 წლის ბავშვი, რომელიც არ უნდა დაეჭირათ, მაგრამ ამ საქმეში ფიგურირებდნენ სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურის მაღალჩინოსნები და, ბუნებრივია, მათ არც შეეხებოდნენ, ამიტომ განტევების ვაცი იპოვეს, საქმე თეთრი ძაფით შეკერეს და ბავშვს, რომელიც სწავლობდა, შვილს ელოდებოდა, ცხოვრება დაუნგრიეს. თვითონ სამართალდამცველებსაც არაერთხელ უთქვამთ — ნორმალურ ქვეყანაში ამ ბავშვს სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლებდნენო, მაგრამ მე მხოლოდ იმას მიმეორებდნენ — ნოემბერში, მიტინგზე რომ გამოდიოდი, აბა, რა გეგონაო! პირდაპირ მითხრეს, საქმე იმის მიხედვით მოგვარდება, რა დროშასაც დაიჭერო, მაგრამ ძალიან კარგად იცოდნენ, სადაც ძოვდნენ.

არა უშავს, ერთ წელს როგორმე გავუძელით და არც მაგათი დროშა მიფრიალებია იმიტომ, რომ ჩემზე გაჭირვებული ადამიანებიც არსებობენ. თუმცა ჩვენს შემთხვევაშიც საშინელებები აკეთეს — ბავშვი ჯერ სასტიკად სცემეს და მერე ხელწერილი დააწერინეს, რომ მთვარეულია, მძინარე კიბეზე ადიოდა და იქიდან ჩამოვარდა. თავის დაზღვევა უნდოდათ, ბავშვს რომ რამე დამართნოდა, გასამართლებელი საბუთი ხელში ეჭირათ და ვერავინ შეედავებოდა ცემის ფაქტის გამო. ამ სიტუაციაში კი ყველაზე საინტერესო ერთი რამ იყო — ხელისუფლებას როცა სჭირდებოდა, ოპოზიციონერი ვიყავი, ოპოზიცია კი გაჰყვიროდა, მამუკა ლომაშვილი ხელისუფლების მხარდამჭერიაო.

— და ამ ფონზე, მაინც გააკეთებ პრეზიდენტის პაროდიას?

— სიმართლე გითხრათ, დავიღალე და აღარც მინდა იმიტომ, რომ შინაგანად ბევრ უარყოფითს ვგრძნობ მის მიმართ,

თუმცა „ჩემი მიშა“ სულ სხვანაირია, ისეთი, „ვარდების რევოლუციის“ დროს ხალხს რომ უყვარდა. ადრე მხოლოდ მასხარებს შეეძლოთ, მეფის კარზე სიმართლე ეთქვათ და ხელშეუხებლები ყოფილიყვნენ, ჩვენთვის კი ხელშეუხებლობის გარანტია არავის მოუცია და ნოემბერშიც, როცა კონცერტი გვქონდა, პარალელურად კი, აქციები იმართებოდა, ვიცოდით, მაყურებელი კონცერტიდან იქ მიდიოდა. ჩვენ უფლება არ გვქონდა, მის გვერდით არ ვყოფილიყავით. წავედით და ეს ძალიან ძვირად დაგვიჯდა მეც და კიდევ რამდენიმე ადამიანსაც, მოვა დრო, ამაზე აუცილებლად ვისაუბრებ!

ვერსიანიუსი

ელდარ შენგელაიას ნატო ვაჩნაძის წერილების ასლები გადაეცა

შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის შენობაში კინორეჟისორ ელდარ შენგელაიასთვის დედის, სახალხო არტისტ ნატო ვაჩნაძის წერილების ასლების გადაცემის ცერემონია გაიმართა. როგორც „პირველს“ სამინისტროდან აცნობეს, ცერემონიას შსს-ს არქივის დირექტორი ომარ თუშურაშვილი და პოლიციის აკადემიის პრორექტორი ფრიდონ დიასამიძე დაესწრნენ.

„ცნობილია, რომ ბატონი ელდარი ნატო ვაჩნაძის მოღვაწეობის შესახებ გამოსაცემად წიგნს ამზადებს. შსს-ს არქივის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ უნიკალური წერილები, რომელთაგან ერთ-ერთი ნატო ვაჩნაძემ ლავრენტი ბერიას მისწერა, ელდარ შენგელაიას წიგნში გამოსაქვეყნებლად გადასცეს. ეს წერილები აქამდე სრული სახით არასოდეს გამოქვეყნებულა. წერილები რუსულ ენაზეა შედგენილი – ერთი ნაბეჭდია, მეორე კი – ხელნაწერი. პირველი – კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ივანე ბოლშაკოვისა და კინოსტუდიის დირექტორ ვლადიმერ მაჭავარიანის სახელზე, 1946 წლის 1 თებერვალს არის გაგზავნილი. აღნიშნულ წერილებში, სახალხო არტისტი მის კარიერაში ხელოვნურად შექმნილ ბარიერებზე საუბრობს და ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ კინოფილმის გადაღების დაჩქარებას ითხოვს, სადაც მას ეკატერინე ჭავჭავაძის როლი უნდა შეესრულებინა; ნატო ვაჩნაძე წუხს, რომ სამი წლის განმავლობაში როლი არ ჰქონია, რაც დიდ უსამართლობად მიაჩნია. აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია 1946 წლით დათარიღებული საქმე, რომელშიც იმდროინდელი კულტურის მოღვაწეების მიერ საბჭოთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტში (ცეკა-ში) გაგზავნილი წერილებია“, — აცხადებენ სამინისტროში.

„პირველი“

„ნაბელლავის“ დამფუძნებელი: „დაბალპროცენტიანი სესხის გაცემის პროცედურები პრობლემებს შექმნის“

შეუქმნის თუ არა ფერმერებს დაბალ-პროცენტიანი სესხის აღებაში პრობლემებს საბანკო პროცედურები? როგორც ვიუწყებოდით, პრემიერ-მინისტრის განცხადებით, გლეხები სოფლის მეურნეობის ფონდიდან 5-დან 100 ათას ლარამდე სამომხმარებლო სესხებს 7-8%-ად მიიღებენ, სესხების გაცემა კი ბანკების საშუალებით მოხდება.

რადიო „კომერსანტთან“ საუბარში, მარნეულის სასურსათო ქარხნისა და კომპანია „ნაბეღლავის“ დამფუძნებელი ავთანდილ სვიმონიშვილი აცხადებს, რომ ბანკები სამომხმარებლო კრედიტებს უზრუნველყოფის გარეშე არ გასცემენ. მისი თქმით, სესხის გაცემის პროცედურები, გარკვეულწილად, პრობლემებს შექმნის, რადგან ბანკები გარანტად მსესხებლის მიწას, ნაგებობას ან აქტივებს მოითხოვენ.

სვიმონიშვილის თქმითვე, ბანკი ყოველთვის სამჯერ მეტად აფასებს თავის უზრუნველყოფას, ვიდრე მსესხებლის აქტივებია

„კომერსანტი“

ბათუმში ავტობუსების მძღოლები გაიფიცნენ

ბათუმში მუნიციპალური ავტობუსების მძღოლები ისევ გაიფიცნენ. 350 მძღოლი ავტოფარეხთანაა შეკრებილი და ხელფასის მომატებას ითხოვს.

როგორც მძღოლებმა აღნიშნეს, მათი საათობრივი ანაზღაურება 3 ლარსა და 80 თეთრს შეადგენს, რაც საერთო ჯამში, მცირე თანხა გამოდის. ისინი საათობრივი ანაზღაურების 4 ლარსა და 50 თეთრამდე გაზრდას ითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, აქციის შეწყვეტას არ აპირებენ.

„რამდენიმეჯერ მოგვატყუეს, ახლა იძულებულები გავხდით, მიგვემართა ამ უკიდურესი ზომისთვის და მანამდე არ შევწყვეტთ აქციებს, ვიდრე არ დაგვაკმაყოფილებენ“, — აღნიშნა ემზარ გოგიტიძემ.

ბათუმში ავტობუსის მძღოლებმა გამაფრთხილებელი აქცია ადრეც გამართეს და სადაც ხელფასების მომატება მოითხოვეს.

„ინტერპრესნიუსი“

რამდენი გადაიხადა 9 საავადმყოფოში და დაეკისრება თუ არა საჯარიმო სანქციები ტენდერის პირობების დარღვევისთვის ებრაულ კომპანია „ადითს“

ილია მარტყოფლიშვილი
„ვერსიისთვის“ კახეთიდან

მას შემდეგ, რაც ნაციონალურ მოძრაობას „100 ახალი საავადმყოფოს“ პროექტი ჩაუვარდა, ებრაული კომპანია „ადითი“ ერთ-ერთი იყო, რომელმაც ტენდერში გაიმარჯვა და, ქვეყნის მასშტაბით, ახალი სამედიცინო ობიექტების მშენებლობა დაევალა. გაზეთ „ვერსიის“ ინფორმაციით, „ადითმა“ საქართველოს 9 ქალაქის საავადმყოფო შეიძინა და მათი სრული რეაბილიტაციის ვალდებულება საკუთარ თავზე აიღო, თუმცა საქმე წინ არ წასულა. ვალდებულების შესასრულებლად აღებული ვადის ამოწურვამდე, რამდენიმე დღე დარჩა, პროცესი კი არ იძვრის. ამასთან, გასაიდუმლოებულია ისიც, რა გადაიხადა ებრაულმა კომპანიამ საავადმყოფოებში და რა ვალდებულებები აქვს აღებული მას სახელმწიფოს წინაშე.

„ადითმა“ საავადმყოფოებში შესვლისთანავე, მედპერსონალს ხელფასები გაუნახევრა, ბოლოს კი, კადრებიც მინიმუმამდე დაიყვანა. ასევე, ყველა რაიონულ საავადმყოფოში, მიზერული ხელფასების გარდა, ამ დრომდე, პრობლემად რჩება დაგვიანებული ხელფასები. „ადითი“ მედპერსონალისთვის ხელფასების დროულად გაცემის ვალდებულების შესრულებასაც ვერ ახერხებს. ამ ფონზე, რაიონებში ხშირია ექიმების გაფიცვის შემთხვევები. საპროტესტო აქციებით ჩოხატაურის რაიონი გამოირჩევა. ექიმებს გაფიცვა თითქმის ყოველთვიურად უხდებათ, რაც პაციენტებს აზარალებს. პრობლემას „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაც აღიარებდა და იმედგაცრუებაზე ამახვილებდა ყურადღებას. საინტერესო ვითარებაში აღმოჩნდა ამჟამად კახეთის გუბერნატორი ზურაბ ჭიაბერაშვილი, რომელიც ჯერ კიდევ ჯანდაცვის მინისტრად მუშაობის დროს, რეგიონებში „ადითის“ მიერ შეძენილ საავადმყოფოებს ათვალიერებდა. იმხანად, მინისტრმა არ დამალა, რომ გურიის ერთ-ერთ საავადმყოფოში სუნმაც კი შეაწუხა.

„სახელმწიფოს ინტერესი, ჩვენი, ყველას ინტერესია, რომ ახალი კლინიკები იყოს. სამწუხაროდ, ამ კონკრეტულმა ინვესტორმა რამდენიმე რაიონი ჩაგვიგდო. მე ველაპარაკე მედპერსონალს. სამწუხაროდ, ინვესტორს ვალდებულება აქვს, რომ 2013 წლის პირველ აპრილამდე გააკეთოს რაღაც, მაგრამ ეჭვი მეპარება, ამ დარჩენილ დროში მათ რამე გააკეთონ, ამიტომაც რვა რაიონს, სადაც „ადითია“, უყურადღებოდ არ დავტოვებთ“, — აღნიშნავდა რეგიონულ მედიასთან საუბრისას ჭიაბერაშვილი და დასძინა, რომ „ადითის“ თანამშრომლების ხელფასების პრობლემებზე გამგებლებსაც და სამინისტროსაც ებრაულ კომპანიასთან ყოველთვიურად უწევთ საუბარი.

კომპანია „ადითი“ ამ დრომდე დუმდა, ვერც რაიონული ფილიალების ხელმძღვანელები აკონკრეტებდნენ, რეაბილიტაციის თაობაზე აღებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით, საქმე რა მიზეზით არ იძვროდა. ყველასგან მოულოდნელად, „ადითის“ ხელმძღვანელობამ გააქტიურება ვადის ამოწურვამდე სულ ცოტა ხნით ადრე დაიწყო. „ადითის“ მეპატრონე და ხელმძღვანელი ელენა ლევინი რეგიონებში მათივე ფილიალებში ვიზიტებს იწყებს. დედოფლისწყაროს რაიონი ერთ-ერთი პირველია, სადაც ელენა ლევინი, კომპანიის ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებთან ერთად ჩავიდა, ჯერ მათივე ფილიალის ხელმძღვანელებს შეხვდა, მოგვიანებით კი, დედოფლისწყაროს გამგებელთან ირაკლი შიოლაშვილთან გაფართოებული შეხვედრა გამართა. კომპანიის მფლობელი ადასტურებს, რომ რეგიონებში სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაციის დაწყება ამ დრომდე ვერ მოხერხდა. მეპატრონე გარკვეულ პრობლემებსაც და ხელისშემშლელ ფაქტორებსაც ახსენებს, თუმცა დეტალებს არ აკონკრეტებს.

„კახეთში ჩამოვედით იმისთვის, რომ გითხრათ — უახლოეს დღეებში დაიწყება საპროექტო სამუშაოები, დედოფლისწყაროს კლინიკის შენობის რეაბილიტაცია მიმდინარე წლის მარტიდან დაიწყება. მინდა გითხრათ, სამუშაოების დასრულების შემდეგ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას საშუალება ექნება, სტაციონარული მკურნალობა 30-საწოლიან საავადმყოფოში გაიაროს. სამწუხაროდ, ეს დღემდე ვერ მოვახერხეთ, რადგან იყო უამრავი ხელისშემშლელი ფაქტორი, რომელიც დღეს აღარ არსებობს“, — აღნიშნა ელენა ლევინმა.

შეხვედრის შემდეგ გაჟღერდა, რომ „ადითი“ დედოფლისწყაროელებს სამედიცინო მომსახურების სრულ პაკეტს, სტაციონარულ, ამბულატორიულ და დიაგნოსტიკურ მკურნალობას ამავე წლის ივლისში შესთავაზებს. უკვე ცნობილია, რომ „ადითი“ დედოფლისწყაროში ყოფილი პოლიკლინიკის შენობის რეაბილიტაციას მოახდენს, საბოლოო ჯამში კი, 30-საწოლიან კლინიკას გახსნის. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ირაკლი შიოლაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ „ადითი“ პასუხისმგებლობით მოეკიდება აღებულ ვალდებულებას და დაწყებულ საქმეს ღირსეულად დაასრულებს, დედოფლისწყაროელ მოქალაქეებს კი სამკურნალოდ წასვლა მეზობელ რაიონებში აღარ მოუწევთ.

„ადითი-დედოფლისწყაროს“ ხელმძღვანელი, ხათუნა აგლაძე ჩვენთან საუბარში ამ თანამდებობაზე მოსვლისთანავე აცხადებდა, რომ საპროექტო სამუშაოებისას ინვესტორები დედოფლისწყაროს რაიონის სპეციფიკას მაქსიმალურად ითვალისწინებენ, რაც მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ხათუნა აგლაძე ჯერ კიდევ წელინადნახევრის წინ ადასტურებდა, რომ ახალი, თანამედროვე სტანდარტების სტაციონარი დედოფლისწყაროში 2013 წლის მარტში გაიხსნებოდა. ამჯერად კი, ირკვევა, რომ სამუშაოები მარტში არათუ სრულდება, მარტიდან დაიწყება. ვალდებულებების დროულად შეუსრულებლობის მიზეზად არათანაბარი პირობები სახელდება, ებრაული კომპანია წინა ხელისუფლებას ჩაგვრაში ადანაშაულებდა. ამჟამად, შენობა, რომელიც „ადითს“ ეკუთვნის და სადაც სარეაბილიტაციო სამუშაოები უნდა დაიწყოს, არცთუ სახარბიელო ვითარებაშია. გარდა იმისა, რომ მოძველებულია ტექნიკა, სანიტარიული ნორმების დაცვის პრობლემაც აქტუალურია. ეზოში ანტისანიტარია სუფევს, მთელი ტერიტორია პოლიეთილენის ბოთლებით, პარკებითა და ლუდის ქილებითაა დაბინძურებული. ამას ემატება ისიც, რომ სამედიცინო დაწესებულების ეზოში მუდმივად საქონელი ბალახობს და ტერიტორიას აბინძურებენ, რითაც მარტო პაციენტებს კი არა, მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღის აღსაზრდელებსაც უქმნიან დაინფიცირების საშიშროებას. ამ ფაქტის კომენტირებისას „ადითის“ პერსონალი ამბობს, რომ მეეზოვე აღარ ჰყავთ და ეზოს სისუფთავეზეც აღარავინ ზრუნავს.

„ეზოში კი არა, შენობის შიგნით უამრავი პრობლემა გვაქვს. მაგალითისთვის, რენტგენის კაბინეტში შესულ პაციენტს ყოველ წუთში სიფრთხილისკენ მოვუწოდებთ, რადგან იატაკი ისეთი ათხრილ-დათხრილია, ვშიშობთ, არ დაეცეს და რაიმე არ მოიტეხოს“, — აცხადებენ დედოფლისწყაროელი მედიკოსები.

„ეზო ნამდვილად დანაგვიანებულია, მაგრამ აშკარაა, რომ ეს ნაგავი პოლიკლინიკის თანამშრომლებსა და პაციენტებს არ ეკუთვნის. ხედავთ, რომ ეზო შემოფარგლული არ არის, ამიტომ ნებისმიერ ადამიანს ნებისმიერი მიმართულებიდან შემოსვლა შეუძლია. აქვეა ტაქსების გაჩერება, რომლებიც დილის 6-დან საღამოს 10-11 საათამდე აქ დგანან. მძღოლები მთელი დღის განმავლობაში ჭამენ, სვამენ და ნარჩენებს აქვე ყრიან. რამდენჯერმე მივმართეთ ქალაქის დასუფთავების სამსახურს, პოლიციას, საპატრულო სამსახურს, რომ დაემყარებინათ აქ წესრიგი, მაგრამ ვერაფერს მივაღწიეთ. თანამშრომელთა უკმაყოფილება ხელფასების დაგვიანების გამო ნამდვილად სამართლიანია. კარგად გვესმის, ბევრი მათგანის ოჯახი ამ ხელფასზეა დამოკიდებული და როცა 2-3 თვე ხელფასს ვერ იღებენ, უამრავი სოციალური პრობლემა უჩნდებათ. ხელფასის დარეგულირება ჩვენზე არ არის დამოკიდებული, ფინანსებს არ განვკარგავთ, ჩვენ ვაყენებთ საკითხს „ადითის“ ცენტრალურ ოფისში, მაგრამ მათაც თავისი არგუმენტები აქვთ. ყველაზე დიდი დამზღვევი კომპანია „არქიმედეა“, რომელიც „ადითს“ აღიქვამს როგორც კონკურენტს, ცდილობს, შეაფერხოს თანხების გადმორიცხვა, მას ყოფილი ხელისუფლების მხრიდან ოჯახურ კლანთან დაკავშირებული პრივილეგიები ჰქონდა და ამას მშვენივრად იყენებდა კონკურენტად ჩათვლილი კომპანიების ჩასაძირად. იმედია, ახალი ხელისუფლების პირობებში სიტუაცია შეიცვლება. რაც შეეხება ხელფასების სიმცირეს, ამას ექიმების ხელფასზე ვერ ვიტყვი. დაბალი ხელფასი აქვთ საავადმყოფოში დასაქმებულ მორიგე ექთნებს, რომელთა ხელფასიც შესრულებული სამუშაოდან პროცენტის სახით გამოიანგარიშება. იმის გამო, რომ სტაციონარი ნაკლებად დატვირთულია, მათი შემოსავალიც, შესაბამისად, ნაკლებია“, — აღნიშნა ადგილობრივ ჟურნალისტებთან „ადითის“ დედოფლისწყაროს ფილიალის უფროსმა, ხათუნა აგლაძემ.

ვერსიანიუსი

ქობულეთის ტურისტულ ზონაში მხოლოდ 3 სასტუმრო შენდება, დანარჩენი ნაკვეთები საკუთრებაში ამ დრომდე არ გადაცემულა

ქობულეთის ტურისტულ ზონაში, ამჟამად, კვლავ მხოლოდ 3 სასტუმროს მშენებლობა მიმდინარეობს. აჭარის ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, მშენებლობას ორი ინვესტორი, შპს „აიეტი“ და შპს „ესკო ჯორჯია“ აწარმოებენ. მათივე განმარტებით, კომპანია „აიეტის“ სასტუმრო მზადაა ექსპლუატაციაში მისაღებად. სამინისტროში რადიო „კომერსანტს“ განუცხადეს, რომ ტერიტორიაზე საინჟინრო-კომუნალური ქსელების ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამუშაოებიც განხორციელდა. სულ ტურისტულ ზონაში 30 სასტუმროს აშენების პროექტი დამუშავდა, თუმცა დანარჩენი მიწის ნაკვეთები საკუთრებაში ამ დრომდე არ გადაცემულა.

ქობულეთის ტურისტულ ზონაში მთავრობა ინვესტორებს საგადასახადო შეღავათებს სთავაზობს, მაგრამ ჯერ კიდევ ეკონომიკის ყოფილმა მინისტრმა, ვერა ქობალიამ აღიარა პროექტის წარუმატებლობა. რა ბედი ეწევა ქობულეთის ტურისტულ ზონას ახალი მთავრობის პირობებში, ამ დრომდე უცნობია.

„კომერსანტი“

ზურაბ გამრეკელი

„ტრანსკასპიური გაზსადენის“ პოლიტიკური დღის წესრიგი

გასულ კვირაში აზერბაიჯანის ენერგეტიკისა და მრეწველობის მინისტრის, ნატიკ ალიევის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, თურქმენეთიდან აზერბაიჯანამდე „ტრანსკასპიური გაზსადენის“ გაყვანას 1-2 მლრდ დოლარი დასჭირდება. თურქმენეთი მზადაა, ამ მილის შესავსებად, წლიურად, 30 მლრდ კუბმეტრი გაზი გამოყოს, ხოლო აზერბაიჯანი ყველა პირობას შექმნის ამ აირის დასავლეთით, საქართველოსა და თურქეთის გავლით, შეუფერხებელი ტრანსპორტირებისთვის. კასპიის ფსკერზე თურქმენული ბუნებრივი აირის „ტრანსკასპიური გაზსადენით“ გატარების ირგვლივ რუსეთისა და ირანის წინააღმდეგობის მიუხედავად, ბრიუსელში გრძელდება მოლაპარაკებები აზერბაიჯანს, თურქმენეთსა და ევროკომისიას შორის და, სავარაუდოდ, მალე მოეწერება ხელი „ტრანსკასპიური გაზსადენის“ ორ პოლიტიკურ დოკუმენტს. უახლოეს მომავალში, მოსალოდნელია ასევე ორი ქვეყნის სამთავრობო დელეგაციების შეხვედრა.

რამდენიმე დღის წინ, თავის სლოვაკ კოლეგასთან შეხვედრის დროს, თურქეთის პრემიერმა რეჯეფ-ტაიპ ერდოღანმა უკვე წელს, „ტრანს-ანატოლიური გაზსადენის” მიწის სამუშაოების დაწყების შესახებ განაცხადა. ეს ის მილსადენია, რომელსაც თურქეთის ქ. ერზერუმთან შეუერთდება საქართველოზე გამავალი „სამხრეთკავკასიური გაზსადენი”. თურქეთ-ბულგარეთის საზღვარზე „ტრანსანატოლიური გაზსადენი” უნდა დაუკავშირდეს ტენდერში მონაწილე ორი გაზსადენიდან ერთ-ერთს — „ტრანსადრიატიკულს” ან „ნაბუქო-უესტს”. ამასთან, ერდოღანმა განაცხადა, რომ „ნაბუქო-უესტის” თვალსაზრისით, სამწუხაროდ, არანაირი სიახლე არ ხდება და ევროკავშირი ამ პროექტის სასარგებლო ნაბიჯებს არ დგამს.

„გაზის ოქროს საუკუნის ოქროს წესები“

მოსკოვისთვის ალტერნატიული „ტრანსკასპიური” და „ტრანსანატოლიური” გაზსადენების პროექტები სრულ თანხვედრაშია ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის“ პროგრამასთან, რაც რუსეთის გვერდის ამქცევ მარშრუტებს გულისხმობს. მეტიც, „ტრანსკასპიური გაზსადენი” იმთავითვე, ამ „დერეფნის” თურქმენული გაზით შემავსებლად მოიაზრებოდა. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ უახლოეს ორ ათწლეულში, მიუხედავად „ალტერნატიული” ენერგეტიკის (ფიქლების აირისა და ფიქლების ნავთობის, ქვანახშირის მეთანის, ბიოგაზების და ა.შ.) განვითარებისა, ამ ეტაპზე, სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მილსადენებით გაზმომარაგება შენარჩუნდება. ამ ინფრასტრუქტურაში, მზა სახით, ჯერ მხოლოდ საქართველოზე გამავალი „სამხრეთკავკასიური გაზსადენი“ და დარდანელის სრუტის გადამკვეთი „თურქეთ-საბერძნეთის ინტერკონექტორი“ (ITG) იგულისხმება.

პროგნოზებით, ევროპაში რუსული გაზსადენების კონკურენტი „დერეფნის“ არსებული და ახალი მილების დამატებითი გაზით შევსება, უმთავრესად, კასპიისპირეთიდან და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთიდან მოხდება. ჩრდილოეთ და ცენტრალურ ევროპაში, „გაზპრომისადმი“ კონკურენციის გასაზრდელად, დაიწყება თხევადი გაზის აშშ-დან იმპორტი. ბრიუსელისთვის მთავარია, „დერეფნის“ წყალობით, უახლოეს წლებში „გაზპრომს“ აღარ შეეძლება ევროკავშირის გაზმომარაგების არსებითი გაზრდა, რაც შეარყევს ენერგო-ბაზარზე მის მონოპოლიურ მდგომარეობას.

აღნიშნულის შესახებ ყურადღებას ამახვილებს „საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს“ (IEA) 2012 წელს გამოქვეყნებული ანალიტიკური გამოკვლევა „გაზის ოქროს საუკუნის ოქროს წესები“ (Golden Rules for a Golden Age of Gas), სადაც დასაბუთებულია, რომ 2035 წლისთვის მსოფლიოს ენერგობაზარზე ძალთა განლაგება შეიცვლება და ნავთობსა და ქვანახშირს არატრადიციული გაზი ჩაანაცვლებს, ხოლო აშშ, როგორც მომწოდებელი, რუსეთსა და ახლო აღმოსავლეთს შეცვლის.

დოკუმენტის მიხედვით, „ფიქლების რევოლუციის“ შედეგად, აშშ უახლოეს წლებში გაზისა და ნავთობის ექსპორტიორად იქცევა, რის გამოც, მალე რუსეთისა და ახლო აღმოსავლეთის წილი მსოფლიო გაზით ვაჭრობაში 45%-დან 35%-მდე შემცირდება. ამით რუსეთს გაზის ბაზარზე მონოპოლიური ფასის კარნახის საფუძველი გამოეცლება, თუმცა იმავე გამოკვლევაში ხაზგასმულია, რომ თუ ზოგიერთი ევროპული პარლამენტის მიერ გაგრძელდება ფიქლების გაზის „ოქროს საუკუნის“ ეკოლოგიური მიზეზებით შეფერხება (როგორც ეს მოხდა ბულგარეთში, საფრანგეთში, რუმინეთში და ა.შ.), მაშინ რუსეთისა და ახლო აღმოსავლეთის ხვედრითი წილი მსოფლიო გაზით ვაჭრობაში გაიზრდება 50%-მდე.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საინტერესო ფაქტებია მოცემული ბრიტანული BP-ს 2012 წლის მიმოხილვაში, სადაც ხაზგასმულია, რომ მომავალ ათწლეულში გაზის ბაზრის უმთავრესი მამოძრავებელი არა რუსული რესურსები, არამედ ახალი ტექნოლოგიები იქნება. სწორედ მოწინავე ტექნოლოგიების ხარჯზე, ჯერ კიდევ 2009 წელს, აშშ-მ გაზის მოპოვებაში რუსეთს გაუსწრო და დღესაც მსოფლიოს უდიდესი მომპოვებელია. ამჟამად, აშშ-ს გაზის ფასი მსოფლიო ბაზარზე უკვე რუსულ გაზზე ბევრად იაფია და 1 მლნ ბრიტანულ თერმულ ერთეულზე შეადგენს 2.5 დოლარს მაშინ, როცა რუსულის ფასი – 12 დოლარამდეა.

ბევრი ექსპერტის აზრით, ქვანახშირისა და ატომური ენერგეტიკის დღევანდელი კოლაფსის მიზეზი არა „ფუკუსიმას“ ავარია, არამედ ფიქლების გაზის მასობრივად მოპოვებაა. მარტო აშშ-ში, 2015 წლისთვის აპირებენ გაზზე მომუშავე 258 ახალი ელექტროსადგურის აგებას. ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილი შეფი და მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორი ჯონ დეიჩი სამართლიანად მიუთითებს, რომ **„...ფიქლების გაზის მოპოვების დაწყება, უკანასკნელ 50 წელიწადში ენერგეტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა“.**

ზემოაღნიშნული ტექნოლოგიური გარღვევის გამო, სპეციალისტები დარწმუნებულნი არიან ევროპის ენერგო-ბაზარზე „გაზპრომის“ ტრადიციული მონოპოლიური მდგომარეობის შერყევაში. იგივე IEA-ს გამოკვლევაში ხაზგასმულია, რომ 2035 წელს „გაზპრომის“ გაზი ევროპის ბაზარზე, კონკურენციის ზეგავლენით, 18%-ით გაიაფდება. სწორედ ფასია ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის” ეფექტიანობის მთავარი კრიტერიუმი. კერძოდ, დღეს იმას კი არა აქვს მნიშვნელობა, რომელი გაზსადენით მოხვდება კასპიისპირეთის გაზი ევროპის ენერგობაზარზე. არამედ, მთავარია, იგი რუსული გაზის კონკურენტი გახდეს. გლობალური „ნაბუქოს“ თავდაპირველი ვარიანტის (წლიურად 31 მლრდ კუბმეტრი გაზი ანუ ევროპის მოთხოვნის 5%) თუ „ტრანსანატოლიური გაზსადენის“ (16 მლრდ კუბმეტრი, საიდანაც 10 მლრდ ევროპაში უნდა გადაიტუმბოს, რაც ევროპის მოთხოვნის 2%-მდეა) გაზი თავისი მოცულობით რუსული „ნაკადების“ გაზის რაოდენობას ვერ შეედრება, მაგრამ ამ ეტაპზე, მთავარია, მათ საფასო კონკურენციისა და ეფექტიანობის პრეცედენტი შექმნან — ალტერნატიული მარშრუტების გაზის რაოდენობა, ბაზრის ათვისების კვალობაზე, გაიზრდება. ეს იმითაც დასტურდება, რომ არსებული გაანგარიშებით, 2012 წლის ბოლოსთვის, აზერბაიჯანში გაზის მოპოვებამ 28.28 მლრდ კუბმეტრს მიაღწია, რაც თითქმის 11%-ით აღემატება 2011 წლის მაჩვენებელს (25.5 მლრდ კუბმეტრი). უკვე 2025 წლისთვის აზერბაიჯანში 45 მლრდ კუბმეტრი გაზის მოპოვებას გეგმავენ, რაც უკვე იმ დროისთვის ევროპის მოხმარების პროგნოზის 10%-ზე მეტია.

თუმცა, სპეციალისტები არ გამორიცხავენ, შარშან აგვისტოში უსახსრობის მიზეზით შეჩერებული, არქტიკაში მდებარე რუსული გიგანტური შტოკმანის გაზკონდესატური პროექტის ამუშავებას. მისი განახლების შესახებ „გაზპრომმა“ 2012 წლის დეკემბერში განაცხადა. ამ საბადოზე მოპოვებული გაზით შეიძლება, „ჩრდილოეთის ნაკადის“ გაზსადენის ის ორი დამატებითი (მესამე და მეოთხე) მილი შეივსოს, რომელთა შესაძლო მშენებლობაც რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმირ პუტინმა 2012 წლის ბოლოს გამოაცხადა. მაშინ, აუცილებელი იქნება, ევროპა მეტი დამატებითი, ალტერნატიული გაზით მომარაგდეს, რაც მხოლოდ თურქმენეთიდან, „ტრანსკასპიური გაზსადენით“ იქნება შესაძლებელი.

კონსენსუსი — „ტრანსკასპიური გაზსადენის“ მთავარი პრობლემა

შარშან, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი არაერთხელ აცხადებდა, რომ კასპიის რესურსების მოპოვებისა და ტრანსპორტირების ნებისმიერი გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას ხუთივე კასპიისპირა ქვეყნის კონსენსუსით, საერთაშორისო სამართლისა და ეკოლოგიური საფრთხეების გათვალისწინებით. ამავე პოზიციას იმეორებდა თეირანიც. მიუხედავად ამისა, ევროკომისარი ენერგეტიკის საკითხებში გიუნტერ ეტინგერი, 2012 წლის სექტემბერში, „ტრანსკასპიური გაზსადენის“ საკითხებზე სამსჯელოდ აშგაბატში იყო ჩასული.

ამ ვიზიტის გაშუქებისას, ირანის მთავრობამ, მართალია, კვლავ გაიზიარა კასპიის სტატუსთან დაკავშირებით რუსული მხარის პოზიცია, მაგრამ ამავე დროს, გამოთქვა მოსაზრება თურქმენული გაზის „ტრანსანატოლიურ გაზსადენთან“ არა სამხრეთ კავკასიით, არამედ ირანის გავლით დაკავშირებაზე, თუმცა „შაჰ-დენიზის“ ჯგუფის აქციონერებმაც და ოფიციალურმა ბაქომაც ერთმნიშვნელოვნად უარყვეს ირანული მხარის შეთავაზება და გამორიცხეს თეირანთან ამ კუთხით თანამშრომლობა. ამასთან, ირანის ზემოაღნიშნული წინადადება რუსეთის ინტერესებსაც დაუპირისპირდა, რადგან ის თურქმენული აირის ევროპაში რუსეთის გვერდის ამქცევ მარშრუტს ითვალისწინებს. ამით, გაზსადენთან დაკავშირებული ევროკავშირის, ბაქოსა და აშგაბატის ძალისხმევა უფრო რეალისტურ ნიშნებს იძენს.

ამ მარშრუტის ასამოქმედებლად, საჭიროა გაზის მიყვანა აღმოსავლეთ თურქმენეთიდან კასპიის სანაპირომდე. ამ მიზნით, ამუდარიას აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე „იალნიკიშის“ საბადოებიდან კასპიამდე უკვე შენდება 30 მლრდ კუბმეტრი წლიური სიმძლავრის, 766 კმ-იანი „აღმოსავლეთ-დასავლეთის გაზსადენი“. 2012 წლის მაისში აღნიშნეს მისი პირველი, 40 კმ-იანი მილის მწყობრში ჩადგომა. ის ყოველდღიურად 700-800 მეტრით იზრდება — მშენებლობა 2015 წელს უნდა დასრულდეს. რუსეთი ყველანაირად ცდილობს, ჩაშალოს „ტრანსკასპიური გაზსადენის“ ირგვლივ ქ. ბრიუსელში, ევროკომისიის შუამავლობით მიმდინარე აზერბაიჯან-თურქმენეთის მოლაპარაკებები. ამდენად, მიუხედავად რუსეთ-ირანის სამართლებრივი არგუმენტებისა და ეკოლოგიური ორგანიზაციების წინააღმდეგობისა, „ტრანსკასპიური გაზსადენის“ აშენების საკითხი სწრაფად პროგრესირებადი პროცესია. ის რომ „დაიძრა“, ამ ფაქტს ერთი მოვლენაც ადასტურებს. აშკარაა, თურქმენეთ-აზერბაიჯან-ევროკომისიის მოსალოდნელი შეთანხმებით, რუსეთსა და ირანს ხელიდან გამოეცლებათ 1921 და 1940 წლებში სსრკ-სა და ირანს შორის კასპიის სტატუსზე გაფორმებული ხელშეკრულებების სამართლებრივი ბერკეტები. ამის შემდეგ, „ტრანსკასპიური“ პროექტის წინააღმდეგ მოსკოვსა და თეირანში ძალის გამოყენების გარდა, სხვა გზა აღარ დარჩებათ. თუმცა, დასავლეთის სანქციებისა და ჩრდილოეთ ირანში თურქმენეთიდან გაზის იმპორტის გამო, თეირანს ამჟამად, კასპიის პრობლემატიკისთვის „არ სცალია“ და რუსეთი ამ ეტაპზე კასპიაზე მარტო იქნება. ასეთ პირობებში, მოსკოვი „არ ღალატობს“ ძალის დემონსტრირების საკუთარ „ჩვეულებას“.

კერძოდ, 2012 წლის გაზაფხულზე, კასპიის საკითხზე ქ. აშგაბატში რფ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, გრიგორი კარასინის ვიზიტს, ასევე დიმიტრი მედვედევისა და გურბანგული ბერდიმუჰამედოვის რამდენიმე სატელეფონო საუბარს, მოჰყვა რფ თავდაცვის სამინისტროს მკაცრი განცხადება. მასში აღნიშნული იყო, რომ კასპიის ფლოტილიის გემების რაზმი სარაკეტო-საარტილერიო ხომალდ „ასტრახანის“ მეთაურობით, ემზადებოდნენ კასპიის სამხრეთში შეკრებალაშქრობისთვის (сбор-поход). იმავდროულად, „დაანონსდა“ ფლოტილიის ფლაგმანის – სარაკეტო ხომალდ „ტატარსტანის“ სასწავლო სროლები. სამინისტრო არ მალავდა, რომ კასპიის სამხრეთისკენ მომავალი ლაშქრობის მიზანია **„...რფ-ს დროშის დემონსტრირება და რუსული ხომალდების სამხედრო-საზღვაო ყოფნის უზრუნველყოფა კასპიის ზღვის ოპერატიულად-მნიშვნელოვან რაიონებში, ...ნახშირწყალბადების მოპოვებაზე და ბიორესურსებზე დაკვირვება“**. ამ სწავლებებმა კიდევ უფრო დაძაბა, რეგიონში არსებული ისედაც დაძაბული ვითარება.

თურქმენეთი კასპიისპირეთის „კერკეტი კაკალია“

მიუხედავად მოსკოვის ამგვარი მცდელობებისა, თურქმენეთი თანდათან იქცევა როგორც ევროპის, ასევე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ენერგოუსაფრთხოების ერთ-ერთ საკვანძო აქტორად. ამას ხელს ქვეყნის ხელმძღვანელობის, მართალია, ერთპიროვნული, მაგრამ დაბალანსებული საგარეო პოლიტიკა უწყობს. ამ პოლიტიკის ღიად დეკლარირებული მიზანია, სათბობ-ენერგეტიკის სფეროში საკუთარი ენერგომატარებლების მსოფლიო ბაზრებზე გატანის გზების დივერსიფიცირება, ამიტომ ჩინეთისა და ირანის გარდა, თურქმენეთის ხელისუფლება საკუთარი ენერგომატარებლების სხვა მიმართულებით ტრანსპორტირების გეგმებზეც ფიქრობს. მათგან, აშგაბატისათვის ყველაზე საინტერესო თურქმენული გაზის ევროპის მიმართულებით ტრანსპორტირების შესაძლებლობაა, რაც დიდი ალბათობით, სატრანზიტო სქემაში საქართველოს ჩართვასაც გულისხმობს. თურქმენეთის ხელისუფლებას ევროპაში გაზის სტაბილურად მაღალი ფასები იზიდავს, რასაც აღმოსავლეთის ბაზრებზე ის ვერ იღებს. თურქმენეთისა და ევროკავშირის ურთიერთობებში მნიშვნელოვანი მოვლენაა ის ფაქტი, რომ 2011 წლის 12 სექტემბერს ევროკავშირის საბჭომ პირველად მიანიჭა ევროკომისიას აზერბაიჯანსა და თურქმენეთთან გაზის კონტრაქტების გაფორმების მანდატი. გარდა ამისა, 2011 წლის იანვარში ევროკომისიის პრეზიდენტის, ჟოზე მანუელ ბაროზოსა და თურქმენეთის პრეზიდენტს, გურბანგული ბერდიმუჰამედოვს შორის შეხვედრისას ბაროზომ აღნიშნა, რომ ევროპა მზადაა, იყიდოს თურქმენული გაზი და მონაწილეობა მიიღოს გაზის სექტორის განვითარებაში.

დასასრული მე-14 გვერდზე

თაღლითების მსხვერპლი თავის დაწვით იმუქრება!

ნინო ხარშილაძე
საზოგადოება

თაღლითების მსხვერპლი არაერთი ადამიანი აღმოჩნდა, მათ ნაწილს სანუკვარი სახლის მაგივრად, ღია ცისქვეშ უწევს ცხოვრება. აფხაზეთიდან დევნილი ოჯახიც ერთ-ერთი მათგანია. სიმართლის ძიებაში კი ოჯახს ის ძვირადღირებული მანქანაც წაართვეს, რომლითაც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, საქართველოში ჩამოვიდა საცხოვრებლად. ნანი ფაჟავა გენერალურ პროკურორსა და იუსტიციის მინისტრთან შეხვედრასა და მისი საქმის გამოძიებას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, თავის დაწვით იმუქრება.

რატომ ითხოვს აფხაზეთიდან დევნილი ნანი ფაჟავა არჩილ ჯბილაშვილსა და თეა წულუკიანთან შეხვედრას

— აფხაზეთის ომის დაწყებისთანავე, 1992 წელს, მოსკოვში წავედით საცხოვრებლად. 2008 წელს, აგვისტოს ომის დროს, მოსკოვში იმდენად გვავიწროებდნენ, რომ იძულებულნი გავხდით, საქართველოში დავბრუნებულიყავით. მოსკოვში 9 მაღაზია გვქონდა. 2006 წელს მანქანა იაპონიაში, ქარხანაში შევუკვეთეთ და ახალთახალი „მიცუბიშ გრანდისი“ შევიძინეთ. 2008 წელს საქართველოში სწორედ ამ მანქანით წამოვედით იმ მიზნით, რომ ჩემი მეუღლე მოსკოვში უნდა დაბრუნებულიყო. აბა, ამხელა ბიზნესს ხომ არ მივატოვებდით?!

მოსკოვში, ჩვენს მეზობლად 24 წლის ნატალია კარპოვა ცხოვრობდა. ვმეგობრობდით. მშობლები არ ჰყავდა. მე და ჩემს მეუღლეს დედ-მამას გვეძახდა. შვილივით გვყავდა. ნატალია საქართველოში გვესტუმრა. კანონი იყო ასეთი, რუსეთში ნაყიდი მანქანა, რუსული ნომრებით მხოლოდ ერთი თვე შეიძლებოდა საქართველოში გყოლოდა, ამიტომაც ჩემი მეუღლე ყოველთვე ან აზერბაიჯანში ან სარფში მიდიოდა, რათა საზღვრის გადაკვეთა დაფიქსირებულიყო, რაც ფინანსებთან იყო დაკავშირებული. მებაჟეებმა გვირჩიეს, თუ ვინმე რუსი ნაცნობი გყავთ, მანქანა დროებით, მის სახელზე გადააფორმეთ და ყოველთვე საზღვარზე გადასვლა აღარ დაგჭირდებათო. ჩვენც დავუჯერეთ და მანქანა 2 წლის ვადით ნატალია კარპოვას გადავუფორმეთ. ისე კი, მის მფლობელად გაფორმებულია რუსეთის მოქალაქე, ჩვენი მამიდაშვილის მეუღლე ლელა შარია. ჩვენ რუსეთის მოქალაქეები არ ვიყავით და იქ მანქანას ვერ გავიფორმებდით. აქ გავიცანით ეკატერინე მაზმიშვილი, რომლის ბინაც უნდა გვეყიდა 58 000 დოლარად. თურმე მაზმიშვილს ეს ბინა იპოთეკაში ჰქონია ჩადებული და 3 იპოთეკარი ჰყოლია. არ ვიცოდი, აქ ბინებს თაღლითები იპოთეკაში რომ დებდნენ. გვითხრა, 25 000 დოლარი მომეცით და 3 თვის შემდეგ 28 000-იო. ერთ კვირაში ნოტარიუსში უნდა გაგვეფორმებინა ეს ყველაფერი, თუმცა მეორე დღეს, მისმა ქმარმა, მამუკა აბულაშვილმა დაგვირეკა და გვითხრა: დედა მიკვდება, რეანიმაციაში მყავს, სასწრაფოდ 10 000 დოლარი მჭირდებაო. მივეცით. 2 დღის შემდეგ დავუკავშირდით და ვუთხარით, ბინა უნდა გავაფორმოთ-თქო და 15 000 დოლარიც უნდა მიგვეცა. გვითხრა, ნოტარიუსი რად გვინდა, ამ ფულით სადმე ხინკალი და მწვადები ვჭამოთ. ქართველები ვართ და კაცი კაცს რომ ეტყვის სიტყვას, იმას წყალი არ გაუვაო. ვუთხარი, რომ ნოტარიუსის ფულს მე ვიხდიდი. ეკა მაზმიშვილმა მანქანაში ხელწერილი დაგვიწერა, რომ 25 000 დოლარი ნანი ფაჟავასგან აიღო ბეს სახით. დანარჩენი უნდა ავიღო დეკემბრის ბოლოს, ბინის გაფორმებისასო. ბეს სახე, თურმე, იმას ნიშნავდა, რომ თუ თავის დროზე არ მიუტან დარჩენილ თანხას, ეს ფული გეკარგება. ეს რა ვიცოდი. მას კი ჩემი მოტყუება ჰქონია განზრახული. ერთ კვირაში კიდევ 2000 დოლარი წაგვართვა. მოიმიზეზა, ბინაში მდგმურები არიან, ფული უნდა მივცეთო. 19 ნოემბერს ბინაში უნდა შევსულიყავით. რომ მივედით, იქ ვინც ცხოვრობდა, გვითხრა, მაზმიშვილს ჩემგან ფული აქვს აღებული და სანამ არ დამიბრუნებს, არსად წავალო. მაზმიშვილსა და მის მეუღლეს სამივე ნომერი გამორთული ჰქონდათ. დარჩენილი 28 000 უკვე მქონდა და უნდა მიმეცა. საშველი რომ აღარ დაგვადგა, 16 მარტს, პროკურატურაში წავედი. მას 3 იპოთეკარი ჰყოლია. პროკურატურიდან ჩემმა მეუღლემ დაურეკა და უთხრა, ჩემს მეუღლეს ვერ ვაჩერებ, ჩივისო. აბულაშვილმა უპასუხა — რაც გინდათ, ის გააკეთეთ, ბე უკვე დაგეკარგათო. არადა, თვითონ არ მოვიდა, ფული რომ მიგვეცა. პროკურატურაში ვუჩივლე. ივლისში მომწერეს, ეს საქმე იხურებაო. პროკურორ გიორგი კოკაიას ვეხვეწებოდი, ფული ხელში გვაქვს და იქნებ მოიყვანოთ, რომ მივცე-თქო. ეს გიორგი კოკაია ახლა კიდევ დააწინაურეს და ქალაქის პროკურატურაში მაღალ თანამდებობაზეა. მან გვითხრა, რომ მაზმიშვილმა აღიარა, თქვენგან 28 000 რომ აიღო, ეს უკვე სამოქალაქო დავაა და სამოქალაქო წესით იდავეთო. საქმე სამოქალაქო დავად გააფორმეს და ბინაზე ყადაღაც მოუხსნეს. არადა, სანამ ჩვენ გასაჩივრების 10 დღე გვქონდა, არ უნდა მოეხსნათ ყადაღა. მეორე დღეს მაზმიშვილმა ეს ბინა 35 000 დოლარად გაყიდა. 62 000 დოლარის მფლობელი ქალი სოციალურად დაუცველად გამოაცხადეს და კანონით, სოციალურად დაუცველი არ არის ვალდებული, ფული გადამიხადოს. დღემდე მას ისეთი დამცველი ჰყავს, რომ ფულს არ მიხდის. ეჭვი მაქვს, ეს ბინა არც გაუყიდია, უბრალოდ, ვინმე შალვა ხანთაძეს გადაუფორმა. ამ თაღლითებმა იმდენი ქნეს, მანქანაც წაგვართვეს.

— მანქანა რაღა შუაშია ამ საქმეში?

— მაზმიშვილის ქმარი და დედამთილი დაგვემუქრნენ, პროკურატურაში რატომ გვიჩივლეთ, წყნეთში ჩემი ნათესავები ცხოვრობენ და რაც გაბადიათ, ყველაფერს წაგართმევთო. მანქანა რომ ნატალია კარპოვაზე გვქონდა გაფორმებული, ეს გაიგეს რეესტრით. წყნეთელი დავით ჩიქოვანი მოგვიგზავნეს და გვითხრა, გვინდა, ნატალიამ პურის საცხობში გამყიდველად იმუშაოსო. მცხობელ ბიჭს ვითომ შეუყვარდა ნატალია და ცოლად წაყვა. 15 დღის შემდეგ სახლში ვიღაცები შემომივარდნენ, მოიყვანეს ნატალია და ათქმევინეს, რომ მას უნდოდა პასპორტი და მანქანა. ერთმა ისიც მითხრა, სააკაშვილის დაცვაში ვარო. წყნეთის პოლიციაში წავედით. ძველი თბილისის მე-7 განყოფილების უფროსმა ზურაბ პავლიაშვილმა ნატალია კარპოვასა და მის მეუღლეს, ავთანდილ მეტრეველს დაუყენა კამერა და ჩვენთან გამოუშვა. მან მითხრა, მანქანა წაიყვანეთ, ჩემი პასპორტი მინდაო. ვუთხარი, რუსთავში წამოსულიყო და მანქანა ისევ ჩვენთვის გადმოეფორმებინა და პასპორტს მივცემდი.

ორ დღეში პოლიციამ მოტყუებით წაგვიყვანა ძველი თბილისის მე-7 განყოფილებაში. პავლიაშვილმა თანამშრომლებს დაავალა, სახლში ყველაფერი დაეყადაღებინათ და მანქანა წამოეყვანათ. ჩემს ქმარს პასპორტის დატაცება დააბრალეს. არადა, ვუთხარი, რომ პასპორტი სახლში მქონდა და ჩემი ხელით მივცემდი. ჩემი მეუღლე 3 დღე ციხეში ჩასვეს და სანამ 5 000 გირაო არ გადაგვახდევინეს, არ გამოუშვეს. ციხიდან გამოსულს კი უთხრეს, მანქანისგან ხელი დაიბანეო. ბოლოს გვითხრეს, მანქანა ნატალია კარპოვას მივეცითო. ეს გოგონა ყოველთვის ამბობდა ჩვენებაში, მანქანა ანზორ კირცხალიასიაო.

7 თვის მერე ლელა შარია და ჩვენ რუსთავში, სააგენტოში წავედით მანქანის დაბრუნების მოთხოვნით. ჩვენი მანქანა გასაყიდად რუსთავში ბაზრობაზე იყო 19 000 დოლარად. სააგენტოს უფროსმა თქვა, მანქანა ლელა შარიას ჩააბარეთო. სანამ ჩვენ მანქანის გასაღები მოვიტანეთ, მანქანა ჩაბარდა რუსთავის პირველ განყოფილებას, გამომძიებელ ნინო ლეჟავას და დღემდე არ გვეუბნება, ვის გაატანა. არც გამოძიებას იწყება. ორჯერ პირადად პრეზიდენტს შევხვდი და ვესაუბრე, თუმცა არანაირი რეაგირება არ ყოფილა. ორი კვირის წინ კი გვითხრეს, მანქანა დაიწვა ამბროლაურში და აღარ არსებობსო.

ჩვენი მანქანა ნატალია კარპოვასთვის არ მიუციათ. ეს მანქანა ჰყავთ მაღალჩინოსნებს და ამით დადიან.

— ახალ ხელისუფლებას არ მიმართეთ, რეალური გამოძიება რომ დაიწყოს?

— მოვითხოვე შეხვედრა გენერალურ პროკურორთან, იუსტიციის მინისტრსა და ეკა ბესელიასთან, მაგრამ არ მახვედრებენ. თუ ერთ კვირაში არ შემახვედრებენ, პროკურატურის წინ კარავს გავშლი და ჩემს ოჯახთან, მცირეწლოვან შვილებსა და ავადმყოფ მეუღლესთან ერთად, შიმშილობას დავიწყებ. ჩემი მეუღლე პირველი ჯგუფის ინვალიდია. 4 წელია ციროზი დაემართა და შეიძლება, ამ კარავშიც მომიკვდეს. იმ ზომამდე ვარ მისული, შეიძლება, თავი დავიწვა. ეს ბინაც ბანკში მაქვს ჩადებული და დღეს-ხვალ, ალბათ, ღია ცის ქვეშ აღმოვჩნდებით. ჩემს ქმარს სიცოცხლე რომ შევუნარჩუნო, ყოველ მე-15 დღეს 3 000 ლარის წამალი სჭირდება. რუსეთში ამ მდგომარეობის გამო, ვეღარ წავედით, ბიზნესი აგვერია და 650 000 დოლარი დაგვეკარგა.

„ტრანსკასპიური გაზსადენის“ პოლიტიკური დღის წესრიგი

მე-13 გვერდიდან

გარდა ამისა, თურქმენეთი დღემდე არ ღალატობს იმ პრინციპს, რომლის თანახმადაც, იგი მის ტერიტორიაზე მოპოვებულ ნახშირწყალბადებს საკუთარ საზღვარზე ყიდის და მათ შემდგომ ტრანსპორტირებაში არ მონაწილეობს. ამ პრინციპით, დასავლეთისკენ თურქმენეთის გაზის ტრანსპორტირება, პირველ რიგში, ტრანსკასპიური ენერგო-ლინკის საშუალებითაა შესაძლებელი, რაც მიზნად ისახავს თურქმენეთიდან კასპიის ზღვის გავლით, აზერბაიჯანთან ბუნებრივი გაზის დამაკავშირებელი მილსადენის ან თხევადი გაზის ტერმინალების აშენებას. შემდეგ, სავარაუდოდ, თურქმენული გაზი ბაქო-თბილისი-ერზერუმის მარშრუტის „სამხრეთკავკასიურ გაზსადენს“ (SCP) შეუერთდება. აღნიშნული მარშრუტი, თურქმენული ენერგეტიკული რესურსების ტრანსპორტირებისთვის, ყველაზე ეკონომიური გზაა. ეს პროექტი, რომელიც აშშ-ს მაშინდელი პრეზიდენტის, ბილ კლინტონის მიერ ჯერ კიდევ 1996 წელს იქნა ინიცირებული, ირანისა და რუსეთის ოპოზიციის, კასპიის ზღვის ირგვლივ სანაპირო სახელმწიფოებს შორის საზღვრებზე წარმოქმნილი დავებისა და სხვა პოლიტიკური ინტერესების გამო, მრავალ პრობლემასთანაა დაკავშირებული. ეს პრობლემებია:

დღემდე, კასპიის ზღვის სტატუსის გაურკვევლობა, რაც თავის მხრივ, განაპირობებს რუსეთისა და ირანის მხრიდან „ტრანსკასპიურ გაზსადენთან“ დაკავშირებულ ყველა ხელშეკრულებაზე სანაპირო სახელმწიფოების თანხმობის მოთხოვნას. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული სახელმწიფოების მხრიდან, თანხმობა არ იქნა მიღწეული მილსადენის მშენებლობაზე, მათ ვეტოს უფლება რჩებათ. ამას ემატება სასაზღვრო დავები თურქმენეთსა და აზერბაიჯანს შორის სამი ოფშორული საბადოს: „სერდარის“ (აზერბაიჯანულად „ქიაფაზი“), „ომარისა“ („აზერი“) და „ოსმანის“ („ჩირაღი“) ირგვლივ; ბოლო დროს, ადგილი ჰქონდა გარკვეულ ძვრებს, რომელიც ზემოაღნიშნული პრობლემატიკის გვერდის ავლას გულისხმობდა და მდგომარეობს შემდეგში: კასპიის ზღვის თურქმენეთის სექტორში გაზის მომპოვებელი მოწყობილობები (ას რიგს), შეიძლება წყალქვეშ მიუერთდეს აზერბაიჯანის სექტორში მდებარე მოწყობილობებს, რომელიც უკვე ევროპასთან დამაკავშირებელი, პროგრესირებადი მილსადენების ქსელის ნაწილია. ასეთი მოქმედება არ მოითხოვს კასპიის ზღვის თურქმენეთისა და აზერბაიჯანის სექტორებში, ფსკერზე საზღვრის გავლების საკითხის სასწრაფოდ გადაწყვეტას. არც ის არის აუცილებელი პირობა, ამ ორმა ქვეყანამ ითანამშრომლოს რესურსების ერთობლივად ათვისების კუთხით. კერძოდ, თუ ამ ორ სახელმწიფოს შორის შედგა კონსენსუსი აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში და მათივე გადაწყვეტილებით, ზღვის ფსკერზე მილსადენის მშენებლობას უცხოურ კომპანიებს მიანდობენ, მაშინ პრობლემა, შესაძლოა, მოგვარდეს ტექნიკური ხასიათის გადაწყვეტილების მიღებით, მაგრამ საკითხის მოგვარებისადმი დღემდე პასიურ პოზიციას იკავებდა აზერბაიჯანი, რომელიც არ იყო დაინტერესებული, თურქმენული აირისთვის გაეხსნა გზა;

ცნობილია, რომ გაზის ტრანსპორტირება შესაძლებელია როგორც მილსადენით, ასევე თხევადი სახით (LNG). დღეს დიდ მანძილზე ოფშორული თხევადი გაზის ტრანსპორტირება მსოფლიო გაზის „მოძრაობის“ 25%-ს შეადგენს, თუმცა თხევადი გაზის ტრანსპორტირება დიდ ინვესტიციებსა და გაზის დიდ რეზერვებს „მოითხოვს“. კერძოდ, ექსპერტული გათვლებით, LNG-ის ტრანსპორტირება ეფექტიანობის თვალსაზრისით, გამართლებულია მინიმუმ მანძილის არანაკლებ 1800 კმ-ის შემთხვევაში, ამიტომ კასპიის 300 კმ-იან მონაკვეთზე LNG-ის პროექტის განხორციელება გაცილებით ძვირია, მილსადენის აგებასთან შედარებით. ამას ემატება ინვესტიციის უკუგების ხანგრძლივი პერიოდიც. აქედან გამომდინარე, იმის გამო, რომ მანძილი თურქმენეთისა და აზერბაიჯანის სანაპიროებს შორის არც ისე დიდია, გაზის ტრანსპორტირების საუკეთესო საშუალებად მილსადენი მიიჩნევა, მაგრამ ზემოაღნიშნული სირთულეების გათვალისწინებით (ზღვის სტატუსის გაურკვევლობა, მოსაზღვრე ქვეყნების წინააღმდეგობა და სადავო ტერიტორიები), საინტერესოა სწორედ LNG-ის ვარიანტის განხილვა. ასეთ შემთხვევაში, ტრანსპორტირების ხარჯებს დაემატება თურქმენეთის გათხევადების ტერმინალში გაზის გადასატვირთი დამატებითი თანხა (ათას კუბმეტრ გაზზე 12 დოლარი), ასევე, აზერბაიჯანში მიმღები ტერმინალის დანახარჯები. აღნიშნულის შედეგად, თუ ამოგების პერიოდის დანახარჯებს გაანეიტრალებს თურქმენული გაზის დაბალი ფასი (რადგან თურქმენეთისთვის ევროკავშირის ბაზარი ყველაზე მიმზიდველია და ის მისი LNG-ის სახით ექსპორტის დივერსიფიცირების მნიშვნელოვანი წყაროა), ჩნდება რეალური ბერკეტი რუსეთის მონოპოლიის შესასუსტებლად. ამის გამო, აღნიშნულ LNG პროექტს, „ტრანსკასპიური გაზსადენის“ საბოლოოდ გაყვანამდე, შესაძლოა, აზრი ჰქონდეს.

დასავლეთისკენ თურქმენეთის თხევადი გაზის ტრანსპორტირების მეორე საფეხური შეიძლება იყოს, გაზის ტრანსპორტირება შავი ზღვის სანაპიროდან საერთაშორისო ბაზრებზე, აზერბაიჯანის მფლობელობაში არსებული ყულევის ტერმინალიდან.

ქვათა მატიანე

დიდოსტატ საკოცარის მარჯვენა

ცენტრალური ჯავახეთი



გელა ქოქიაშვილი

ხომ დიდებულია კუმურდოს საყდარი — ჯავახეთის ერთადერთი ძველი გუმბათოვანი არქიტექტურის ეს მშვენიერი ნიმუში, მაგრამ იგი ამასთანავე, ერთ-ერთი უიშვიათესი და უმდიდრესი ეპიგრაფიკული ძეგლია, ჭეშმარიტი ქვათა მატიანეა.

ტაძრის ხუროთმოძღვრის, ქტიტორისა და X საუკუნის სხვა წარმომადგენელთა გაცნობა სამხრეთის ფასადიდან უნდა დავიწყოთ. აქ, კარის ტიმპანის ზედა, ნახევარსფერულ სიბრტყეში დაწყებული რელიეფური კვეთის სიტყვები ტიმპანის მარცხენა მონაკვეთში გრძელდება და ასე იკითხება: **„შეწევნითა ღმრთისაითა იოვანე ეპისკოპოსმან დადვა საძირკველი ამის ეკლესიისაი ხელითა ჩემ ცოდვილისა საკოცარისაითა, ლეონ მეფისა ზეობასა — ადიდენ ღმერთმან. ქორონიკონსა რპდ თუესსა მაისსა, დღესა შაფათსა, ახალ მთუარისასა, ერისმთავრობასა ზუიაისასა (**ზვიადისასა? — **გ. ქ.) ესე ბალავარი მუნ დაიდვა. ქრისტე შეეწიე მონასა შენსა. ამენ.“** ასეთი სრული, ინფორმაციით მდიდარი, სამშენებლო წარწერა სხვა არც ერთ ქართულ ტაძარს არ აქვს. სავარაუდოდ, საკოცარის სახელი — გიორგი უნდა იყოს ნახსენები. ტიმპანის მარჯვენა მონაკვეთის რელიეფურ წარწერაში: **„წმიდაო ეკლესიაო შენნი მუშაკნი და ყოველნი მაშენებელნი შენნი დღესა მას საშჯელისასა დაიფარენ და შეიწყალე. გლახაკი გიორგი ლოცვასა მოიხსენეთ.“** ტიმპანის მარჯვნივ, სადიაკვნოს შესასვლელის თავზე, კიდევ ერთი რელიეფური წარწერაა. წარწერა საალაპოა და კიდევ ერთხელ გვახსენებს იოვანე ეპისკოპოსს: **„სახელითა ღმრთისაითა მე იოვანე ეპისკოპოსმან დავდევ დღე ახვსებისა აღაპად ვაჩე ერისთავისა. ვინ შეცვალოს კრულია ამით ხატითა, ჩუანითა ჯუარითა“.**

ზევით აღნიშნულ წარწერებში იოვანე ეპისკოპოსი X ს-ის კუმურდოელი მწყემსმთავარი და ტაძრის ქტიტორია, ლეონ მეფე — აფხაზეთის (დას. საქართველოს) მეფე ლეონ III, ხოლო ვაჩე და ზვიად ერისთავები, სავარაუდოდ — ჯავახეთის გამგებლები. საკოცარს ბალავარი **964 წლის** (რდპ) მაისში დაუდია, ხოლო საძირკველი ოდნავ ადრე ჩაუყრია. ალბათ, საინტერესოა საკოცარის წარმომავლობაც. მისი გვარი ისეთივე შინაარსისა უნდა იყოს, როგორც ხერთვისარი, სლესარი, ოთარი, ინოსარი და სხვა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კუმურდოს ხუროთმოძღვარი საკვიცის (კვიცი, კოცი) ციხის პატრონი უნდა ყოფილიყო. სად იყო კონკრეტულად, ეს ციხე ჯავახეთში, დაუდგენელია.

ახლა, დაპირებისამებრ, აღმოსავლეთ ფასადის მსხვილმასშტაბიან რელიეფურ წარწერას მივხედოთ: **„ქრისტე, შეიწყალე იოვანე ეპისკოპოსი — ამისი მაშენებელი დღესა მას“.** მეცნიერთა უმეტესობას მიაჩნია, რომე ეს იოვანე და სხვა ორ წარწერაში ნახსენები იოვანე, ერთი და იგივე პიროვნება — იოვანე კუმურდოელი ეპისკოპოსია. სხვაგვარად ფიქრობდა ბაადურ მჭედლიშვილი. იგი ამბობდა, რომ აღმოსავლეთ ფასადის წარწერაში ნახსენები იოვანე საქართველოს პირველი ეპისკოპოსი იყო (IV ს.), რომელიც ბიზანტიის იმპერატორმა

ტაძრის აღმოსავლეთ ფასადი და მთავარი რელიეფური წარწერა

კონსტანტინემ მირიან მეფეს გამოუგზავნა ხუროებთან ერთად. „მოქცევაი ქართლისაი“ აკი, მართლაც, გვეუბნება, რომ იოვანემ მცხეთაში მოსვლამდე **„ერუშეთს დატოვა ხურონი, განძი და სამსჭუალნი“**, ხოლო **„წუნდას — ხურონი და განძი“**. კუმურდო რომ წუნდას ეკუთვნოდა, ცნობილია. **ამდენად, ბ. მჭედლიშვილის აზრით, იოვანე ქართლის ეპისკოპოსმა ერთ-ერთი ტაძარი სწორედ კუმურდოში ააგო. X საუკუნეში იოვანე კუმურდოელი ეპისკოპოსის დაკვეთით საკოცარმა ან ძველი საყდრის ადგილზე ააშენა ახალი ტაძარი, ან ძველი საყდარი გააფართოვა, მაგრამ, ამასთანავე, საქართველოს ეკლესიის პირველი მწყემსმთავრის სახელი უკვდავყო**. უფრო მეტიც — ჩნდება სხვა ეჭვიც: წარწერას თუ ძალიან დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ წინადადების ბოლო სამი სიტყვის („მაშენებელი დღესა მას“) ასოები რამდენადმე დაბალია და ზოგიერთი მათგანი (ა,მ) შესრულების მანერით ოდნავ განსხვავებულია. გარდა ამისა, წარწერის ცენტრი ჩრდილოეთითაა გაქცეული. ხომ არ არის წარწერის პირველი მონაკვეთი IV საუკუნის ტაძრის კუთვნილება, რომელიც X საუკუნეში გამოიყენეს და მისი დაკარგული მეორე მონაკვეთი დიდი მიბაძვით აღადგინეს?

ასეთ წიაღსვლას ერთი გარემოება ეწინააღმდეგება. ჩვენს სამეცნიერო სპეციალურ ლიტერატურაში კარგა ხანია, მოჯადოებული წრეა შეკრული იმასთან დაკავშირებით, რომ პირველი ქართული ასომთავრული დამწერლობის ნიმუში V საუკუნის იქით არ მოგვეპოვება. ეს „ტრადიცია“ ქართული ანბანური დამწერლობის უძველესი წარმომავლობის საკითხს და მასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოთქმულ თეორიას გასაქანს არ აძლევს, რადგან: წინარექრისტიანული ან ქრისტიანობის საწყისი ეპოქის ნიმუშები თუ არ მოგვეძევება, ამ თეორიის დასაბუთება შეუძლებელია. ამით მწვანე შუქი ენთება ქართული ასომთავრული დამწერლობის შესახებ არსებულ სომხურ-მაშტოცისეულ ვერსიას. არადა, რამაზ პატარიძე რა ხანია ამტკიცებს, რომ ბოლნისის სიონის ბალავრის და განთიადის სტელის წარწერები IV საუკუნის 20-40-იან წლებშია შესრულებული. აღარაფერს ვამბობ მის მიერ მოხმობილ წინარექრისტიანულ წარწერებზე (მაგ. ნეკრესის მიდამოებში ნაპოვნ ნიმუშებზე).

XI საუკუნის გარშემოსავლელის თაღებიანი ნაწილი

მიუხედავად ამისა ბ. მჭედლიშვილის მოსაზრებისთვის აშკარა მხარის აბმა ჩემგან, როგორც პუბლიცისტისგან, ზედმეტი სითამამე იქნება და ისღა დამრჩენია, კუმურდოს ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის წარწერაში შემჩნეული ზოგიერთი შეუსაბამობა XI დაXVI საუკუნეებს მივაწერო.

ამ ორ საუკუნეში კუმურდოს ტაძრის ცხოვრებაში სამშენებლო სიახლეები მოხდა. XI საუკუნეში, ბაგრატ IV-ის მეფობის ჟამს, კუმურდოს საყდრის დასავლეთ მკლავის მთელ შემოწირულობაზე გარშემოსავლელი მიაშენეს, რომლისგანაც ამჟამად სახიერად მხოლოდ სამხრეთის კედელია გადარჩენილი. იგი გახსნილ ოთხთაღედს წარმოადგენს. ეს თაღები სამმაგი, ჩუქურთმიანი ნახევარწრეებითაა დაგვირგვინებული და სამკაულიანი შადრევნების შთაბეჭდილებას ახდენს. X საუკუნის დახვეწილ, თავშეკავებულ სტილს XI საუკუნის მეორე ნახევრის სადღესასწაულო პენი ცვლის. თაღების თავზე, ანტაბლიმენტს გაჰყვება ასომთავრული წარწერა: **„ქ. ადიდე ღმერთმან ბაგრატ (IV — გ. ქ.) მეფე და დედაი მათი მარიამ დედოფალი, აღეშენა შტოი მაფობასა მათსა, მღდელმთავრობასა ზოსიმე კუმურდოელისასა“.**

ტაძრის დასავლეთი მხარე

გადიოდა დრო, იყო დიდი თურქობა, ჯალალედინის შემოსვლა, მონღოლთა ლაშქრობა და თემურ-ლენგის შემოსევები. XVI საუკუნის ბოლოს იწყება ოსმალეთის ექსპანსია, რაც საბოლოოდ სამცხე-ჯავახეთის დაკარგვით სრულდება. XVI საუკუნის 90-იან წლებამდე ჯავახეთი, ასე თუ ისე, ფეხზე დგას და ადგილობრივი ხელისუფლება ისევ ახერხებს სარწმუნოებისა და ქართული იდენტურობის დაცვას. სწორედ ამ დროს მიმდინარეობს დრო-ჟამისაგან დაზიანებული კუმურდოს საყდრის გამაგრება და განახლება, მაგრამ, რაკი ქვეყანა ძველებურად მხნე და შეძლებული არაა და რესტავრატორიც ჩქარობს, დაზიანებული და პერანგიდან დაკარგული ქვების სანაცვლოდ, მას საკოცარის დარად, არ შეუძლია სათანადო მასალის მოძიება. კედლებში მუქი რუხი ქვები ჩნდება საკერებლად. ამ სამუშაოების შესახებ ინფორმაციას გვაწვდის ამჟამად სრულიად მორღვეული დასავლეთის მკლავის გადარჩენილი ბალავრის ასომთავრული წარწერა: **„ქ. იესუ ქრისტე, დიდებულ ჰყავ ორთავე შინა ცხორებათა მეორედ აღმაშენებელი პატრონი ელისაბალი, დედა მათი ქრისტინა, მეცხედრე მათი მარიხ, ძენი მათნი და ასულნი მათნი. ამინ!“** ის, თუ რა გვარისა და წოდების კაცი იყო ელისაბალი, ვერ დგინდება, მაგრამ ერთი პატარა დასკვნის საშუალებას მაინც გვაძლევს: ელისაბალი ელიზბარის პირვანდელი ფორმა ყოფილა.

... ისევ გადიოდა დრო, ოსმალოს უღელი მძიმდებოდა და ტაძრის მიმხედიც არავინ იყო. დაუდგენელია, როდის დაინგრა ტაძარი სერიოზულად, მაგრამ ეს მიწისძვრის შედეგად არ უნდა მომხდარიყო. საყდარს პირწმინდად აქვს მონგრეული გუმბათი და დასავლეთის მკლავი, გარშემოსავლელის უდიდესი ნაწილი და სამხრეთ კარიბჭის სამი მეოთხედი. X საუკუნის დანარჩენი კედლები უცვლელად გამოიყურება, ამიტომ საფიქრალია, რომ ნგრევა ზარბაზნის დაშენით უნდა მომხდარიყო.

კუმურდოს საყდარს, ზევით აღნიშნული წარწერების გარდა, არაერთი სხვა წარწერაც შემორჩა. ჩვენ აქამდე არაფერი გვითქვამს კიდევ ერთ, ძალიან საინტერესო და დამოუკიდებელ ქვაზე, რომელიც ტაძრის სამხრეთ კედელთან დგას და მასზე უძველესია. ეს არის ღვინისფერ ქვაში გამოკვეთილი მაღალი სტელა და მისი ბაზისი. ბაზისის ერთ წახნაგზე ე. წ. ბოლნური ჯვარია გამოსახული, მეორე წახნაგზე კი ასომთავრული წარწერა: **„ძემან გურგენ კუროპალატისამან შეწირა არეშტი საყდარსა კუმურდოს სადიდებლად“**. გურგენ კუროპალატი, გრიგოლ ხანძთელის ნათლული, ის გურგენ პირველია, რომელიც კლარჯი ბაგრატიონების დინასტიას ეკუთვნოდა და არტაანთან ერთად, წუნდა-ჯავახეთის ნაწილსაც ფლობდა (გარდაიცვალა 891 წელს). ამდენად, მისი ძე IX-X საუკუნეთა მიჯნის წარმომადგენელია და სტელაც ამ პერიოდისაა. ეს კიდევ ერთი, დამატებითი საბუთია იმისა, რომ კუმურდოში 964 წლამდე სხვა ტაძარი იდგა. კონკრეტულად, სად იყო სოფელი არეშტი, სადაც გურგენის ძემ აღმართა ეს სტელა, დაუდგენელია, მაგრამ შორს რომ არ უნდა ყოფილიყო, უდავოა — შორიდან ამ ვეება ქვას ვერავინ მოიტანდა კუმურდოში.

ასეთია კუმურდოს ტაძრის მოკლე ისტორია.

ვდგავარ დიდოსტატ საკოცარის მიერ აგებულ ამ შედევრთან და გული სიამაყით მევსება — დიდი ყოფილა ოდესღაც საქართველო.

დღეს კუმურდოში არც ერთი ქართველი არ ცხოვრობს. ჩვენი ხუროთმოძღვრების ეს საეტაპო ძეგლი, სომხური სოფლის გულში, ქართულად მოღაღადე ქვად ქცეულა.

მოვდივარ და იმედად, ჩვენში აღზრდილი ერთი თანამედროვე სომეხი პოეტის ოქრო ოქროიანის სიტყვები მომაცილებს:

ზვარდალოცვილო, ცა შუქნათელო, გულით მიყვარხარ, ო, საქართველო!“



არეშტის სტელა

საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობის გამოწვევამ, შეიძლება, პრეზიდენტის სასარგებლოდ იმუშაოს

Mzia Saganelidze (RFE/RL)

RadioFreeEurope RadioLiberty

ანტაგონიზმი ორ მეტოქე პოლიტიკურ ძალას შორის გადაიზარდა ძალადობაში, რომელშიც საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა აშკარად დასდო ბრალი პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს. 8 თებერვალს, თბილისში, ეროვნულ ბიბლიოთეკასთან, სადაც სააკაშვილი ხალხისადმი თავისი ყოველწლიური მიმართვისთვის ემზადებოდა, სააკაშვილის წინააღმდეგ განწყობილი დემონსტრანტები თავს დაესხნენ პარლამენტარებსა და მაღალჩინოსნებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“.

სააკაშვილი და ივანიშვილი ახლა ცდილობენ, სიტუაცია თავიანთი პოლიტიკური უპირატესობისთვის გამოიყენონ და გამოხატავენ მზადყოფნას კომპრომისზე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მათი მშვიდობიანი თანაარსებობა ოქტომბრამდე, სააკაშვილის საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე. კონფრონტაცია პირდაპირი შედეგია იმ ჩიხისა, რომელიც შეიქმნა საპარლამენტო უმცირესობას, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ფრაქციასა და კოალიცია ქართულ ოცნებას შორის, რომელიც 150 საპარლამენტო მანდატიდან 85-ს ფლობს. „ქართულმა ოცნებამ“ მოამზადა საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელთა თანახმად, პრეზიდენტს ჩამოერთმევა მთავრობის დანიშვნის უფლება პარლამენტის დასტურის გარეშე. 6 თებერვალს ფრაქცია „ნაციონალურმა მოძრაობამ“ განაცხადა, რომ დაეთანხმება ამ საკონსტიტუციო ცვლილებებს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ იმავდროულად, კონსტიტუციაში შევა ორი სხვა ცვლილება: პირველი მთავრობას ავალდებულებს პროდასავლური პოლიტიკის გატარებაში, ხოლო მეორე, რომ მომავალში საკონსტიტუციო ცვლილებები ხმების ორი მესამედის (100) ნაცვლად, ხმების ოთხი მეხუთედით (120) უნდა გატარდეს.

„ქართულმა ოცნებამ“ ამ ულტიმატუმს იმით უპასუხა, რომ გადადო პარლამენტში სააკაშვილის ყოველწლიური გამოსვლა, რომელიც 8 თებერვალს იყო დაგეგმილი. პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა 7 თებერვალს განმარტა, რომ **„მათ სურთ, პრეზიდენტმა მიმართოს ისეთ პარლამენტს, რომელსაც გააჩნია სათანადო უფლებამოსილებანი და არა ისეთ პარლამენტს, რომლის გადაწყვეტილება ერთპიროვნულად შეიძლება შეცვალოს პრეზიდენტმა... ასე რომ, ჩვენი პოზიცია ასეთია – პრეზიდენტს, რა თქმა უნდა, მიეცემა მიმართვის გაკეთების საშუალება, მაგრამ ეს მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მიღებული იქნება გადაწყვეტილება ამ კონკრეტული პრობლემის ირგვლივ (პრეზიდენტის უფლებამოსილებასთან დაკავშირებული საკონსტიტუციო ცვლილება), ან მას შემდეგ, რაც მისი პოლიტიკური გუნდი ღიად გამოხატავს თავის პოზიციას ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით“.**

უშუალოდ, ინციდენტის შემდეგ გამოსვლაში, უსუფაშვილმა განაცხადა, რომ პარლამენტს არ უცდია კონსტიტუციით გარანტირებული პრეზიდენტის უფლების გაუქმება, უბრალოდ, გადადო მისი გამოსვლა, მაგრამ სააკაშვილმა, უსუფაშვილის თქმით, უარი თქვა ამ ვარიანტის განხილვაზე და ამის მაგივრად, გადაწყვიტა, გამოსვლა ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩაეტარებინა. უსუფაშვილმა მიანიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება არასწორი იყო, თუ გავითვალისწინებთ, რა პრობლემებთანაა დაკავშირებული პოლიციის მიერ გამოსვლაზე დამსწრე საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განმარტა, რომ პრეზიდენტი დაჟინებით მოითხოვდა, ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი შესასვლელიდან შესვლას, მიუხედავად იმისა, რომ პოლიციამ მას ორი შესასვლელიდან გაუკეთა უსაფრთხო დერეფნები. ღარიბაშვილმა დასძინა, რომ ვიდეოჩანაწერში ჩანს, როგორ განზრახ უბიძგებდნენ ძალადობისკენ თბილისის მერი გიგი უგულავა და პარლამენტის წევრები ნაციონალური მოძრაობიდან დემონსტრანტებს, რომელთა რიცხვი 2000-ს აღწევდა. მათ შორის იყვნენ ადამიანები, რომლებიც ახლახან გაათავისუფლეს ციხიდან და რომლებიც სასჯელს 2007 და 2011 წლების საპროტესტო აქციებში მონაწილეობისთვის იხდიდნენ. ნაციონალური მოძრაობის წამყვანმა წევრებმა მაინც დაადანაშაულეს ივანიშვილი იმ ინციდენტის ინსპირირებაში, რომლის გამოც, სამი ადამიანი დააპატიმრეს, თუმცა სავარაუდოდ, „ქართული ოცნებისა“ და ივანიშვილის ინტერესში არ უნდა შედიოდეს ისეთი სიტუაციის შექმნა, რომელიც მათზე ცუდად აისახება და სააკაშვილს მორალური უპირატესობისთვის საფუძველს მისცემს.

9 თებერვლის წერილობით განცხადებაში, ივანიშვილმა ერთმნიშვნელოვნად დაგმო ძალადობა და დასძინა, რომ მისი თხოვნით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო იმის გამოძიება, ვინ იდგა ამ ინციდენტის უკან. ამავე დროს, მან განაცხადა: **„უკეთესი იქნებოდა, საქართველოს პრეზიდენტს გაეთვალისწინებინა უმრავლესობის წინადადება და ყოველწლიური მიმართვა გაეკეთებინა პარლამენტის შენობაში ორიოდე კვირის შემდეგ“.** ივანიშვილმა მოიწონა ის ფაქტი, რომ სააკაშვილმა თავის ყოველწლიურ გამოსვლაში ბოდიში მოიხადა ძალაუფლებაში ყოფნისას დაშვებული „შეცდომებისთვის“ (რომლებიც არ დაუკონკრეტებია). ივანიშვილმა აღიარა ისიც, რომ სააკაშვილი განცხადებაში დაეთანხმა პრეზიდენტის ძალაუფლების შემზღუდავი საკონსტიტუციო ცვლილებების მხარდაჭერას მისი და მისი გუნდის მიერ. თავის მხრივ, ივანიშვილმა დაადასტურა, რომ მზადაა, ითანამშრომლოს სააკაშვილსა და მის გუნდთან **„კონსტიტუციისა და კანონის უზენაესობის პრინციპების განუხრელი დაცვით“ და მზად არის „გონივრული კომპრომისებისთვის ჩვენი საერთო სამშობლოს საკეთილდღეოდ“.** 10 თებერვალს ივანიშვილმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ პარლამენტმა უნდა ითანამშრომლოს პრეზიდენტთან კანონით დადგენილ ჩარჩოებში. სააკაშვილმა პასუხად ივანიშვილი 11 თებერვალს მიიწვია პრეზიდენტის სასახლეში არა მხოლოდ კონსტიტუციის უკვე შეთანხმებული ცვლილებების გარშემო **„რეალური დიალოგის“ დასაწყებად, არამედ იმისთვის, რომ განიხილონ „სხვა მნიშვნელოვანი ინიციატივები, რომლებიც მოითხოვს კონსენსუსს სხვადასხვა ინსტიტუტების მშვიდობიანი კოჰაბიტაციის უზრუნველყოფის გზაზე. ეს კი, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქართული დემოკრატიისთვის“.** სააკაშვილმა ასევე კატეგორიულად უარყო, რომ გეგმავს თავისი კონსტიტუციური უფლების გამოყენებას და ივანიშვილის გადაყენებას პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან.

მაგრამ 10 თებერვალს, გვიან საღამოს, ივანიშვილს ამ ინიციატივაზე პასუხი ჯერ გაცემული არ ჰქონდა, შეიძლება იმის შიშით, რომ სააკაშვილი უბრალოდ დროს იგებს. „ქართული ოცნების“ სხვა ცნობილმა წარმომადგენლებმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს სააკაშვილის გულწრფელობა, მათ შორის იყო კონსტიტუციონალისტმა ვახტანგ ხმალაძემაც, რომელიც ივანიშვილმა „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის შესაძლო კანდიდატად დაასახელა. სააკაშვილმა გასცა შემდეგი დირექტივა – **„პოლიტიკური ძალადობა უნდა შეწყდეს... ვიმედოვნებ, 8 თებერვლის სამარცხვინო მოვლენა გაკვეთილი იქნება და ბოლოს მოუღებს ძალადობისა და სიძულვილის მთელ სერიას, რომელსაც ბოლო პერიოდში ჰქონდა ადგილი ჩვენს ქვეყანაში“.** ასეთი განცხადება კი, თუ გავითვალისწინებთ ბევრად ფართომასშტაბიან და სასტიკ რეპრესიებს, რომლებიც 2007 წლის ნოემბერსა და 2011 წლის მაისში გამოიყენეს ოპოზიციონერების წინააღმდეგ, ქმნის იმის რისკს, რომ სააკაშვილს ფარისევლობასა და ორმაგ სტანდარტებში დაადანაშაულებენ. 2007 და 2011 წლების გამოსვლებით დემონსტრანტები კორუფციას, კონსტიტუციისა და საარჩევნო კოდექსის გაუთავებელ ცვლილებებს აპროტესტებდნენ, რადგან ამ ცვლილებებით ამყარებდა მმართველი პარტია ნაციონალური მოძრაობა თავის უპირატესობას.

ამასობაში კი, ევროპის კავშირმა შეშფოთება გამოთქვა „ქართულ ოცნებასა“ და პრეზიდენტ სააკაშვილის ნაციონალურ მოძრაობას შორის ძალაუფლების გაყოფის პროცესის გაუარესებისა და საკონსტიტუციო ცვლილებების გარშემო შექმნილი დაპირისპირების გამო. განცხადება მოუწოდებს **„ყველა აქტორს საქართველოს პოლიტიკაში, თავი შეიკავონ სახელმწიფო პროცესების ან ინსტიტუტების გამოყენებისგან პარტიული ან პოლიტიკური მიზნებისთვის“,** მაგრამ არსებობს საფრთხე იმისა, რომ გასული კვირის დაპირისპირებამ შეიძლება, „ქართული ოცნების“ საპარლამენტო ფრაქციაში გამოიწვიოს უთანხმოება მათ შორის, ვინც რბილი ზომების მომხრეა და მხარს უჭერს ივანიშვილის მონოდებას პრეზიდენტთან კოოპერაციაზე და ვინც ხისტი პოზიციის მომხრეა და არ უნდა დათმობების რისკზე წასვლა, რადგან ამ დათმობებმა, შეიძლება, „ნაციონალურ მოძრაობას“ მათ წინააღმდეგ ბერკეტები გაუჩინოს. უთანხმოების ჩანასახმა უკვე იჩინა თავი რესპუბლიკურ პარტიასა და თავისუფალ დემოკრატებს შორის. ამ ორიდან პირველმა უკვე არაოფიციალურად წარადგინა კონსტიტუციის შესწორების ვერსია, რომელშიც უარყოფილია პრეზიდენტის პირდაპირი არჩევნები; ამის ნაცვლად, პრეზიდენტი პარლამენტმა უნდა აირჩიოს. თავისუფალი დემოკრატები, ირაკლი ალასანიას მეთაურობით, ასეთ ცვლილებას არ ეთანხმებიან. ამ დაპირისპირებამ შეიძლება წააქეზოს ნაციონალური მოძრაობის „ქორები“ ვა-ბანკზე წასასვლელად მათ მცდელობაში, ძირი გამოუთხარონ ივანიშვილს. 1 თებერვალს, თბილისში თანაპარტიელებთან შეხვედრისას, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა და ამჟამად ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარემ, ვანო მერაბიშვილმა, განაცხადა: **„ჩვენ არ უნდა მივცეთ ამ მთავრობას 4 წელი (ძალაუფლების)... ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ გადატრიალებას მოვაწყობთ და ჩამოვაგდებთ, მაგრამ არ უნდა მივცეთ საშუალება ამ მთავრობას, განახორციელოს თავისი გეგმა – დაასუსტოს საქართველო“.**

http://foreignpress.ge/

ვერსიანიუსი

ეროვნულ ბიბლიოთეკასთან დაკავშირებულ ინციდენტს უცხოური მედია გამოეხმაურა

„ნიუ იორკ თაიმსი“ წერს, რომ ხელისუფლების ხუთთვიანი გაზიარების ექსპერიმენტი ღია კონფლიქტში გადაიზარდა.

„პრეზიდენტის ყოველწლიურ მიმართვას დემონსტრანტებმა შეუშალეს ხელი. აქციის მონაწილეებმა შეტევა მიიტანეს თბილისის მერ გიგი უგულავაზე. პოლიცია უძლური იყო, ან სურვილი არ ჰქონდა, გაეკონტროლებინა ხალხის მასა, რომელიც პრეზიდენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამოსვლას ეწინააღმდეგებოდა. გავრცელებული ინფორმაციით, ჩხუბის დროს დაშავდა ნაციონალური მოძრაობის ხუთი წევრი“, – წერს „ნიუ იორკ თაიმსი“.

ამავე დროს, ამერიკული გაზეთის სტატიაშია აღნიშნულია, რომ კონფრონტაცია ბიძინა ივანიშვილის კოალიციის გადაწყვეტილებას მოჰყვა, რომელმაც მიხეილ სააკაშვილს პარლამენტში გამოსვლის ნება არ დართო და სწორედ ამის შემდეგ, სააკაშვილმა თბილისში, ეროვნულ ბიბლიოთეკაში გადაწყვიტა სიტყვით გამოსვლა. თუმცა შენობის წინ ასობით დემონსტრანტი, ძირითადად, ცოტა ხნის წინ გათავისუფლებული ყოფილი პატიმრები შეიკრიბნენ.

პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლასთან დაკავშირებულ მოვლენებს ეხმაურება „ვაშინგტონ პოსტი“, რომელიც აღნიშნავს, რომ ამ პროტესტმა გამოკვეთა საქართველოში არსებული დაძაბულობა, რომლისთვის დამახასიათებელი კონფლიქტური პოლიტიკა კიდევ უფრო ხმაურიანი გახდა ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში სააკაშვილის პარტიის მარცხის შემდეგ.

„ბიბლიოთეკის წინ შეკრებილები პრეზიდენტ სააკაშვილს ადამიანების უფლებების შეურაცხყოფასა და განსხვავებული აზრის ჩახშობაში ადანაშაულებენ. მომხდარის შედეგად, დაშავდნენ პარლამენტარები და ქალაქის მერი“, – აღნიშნავს „ბი-ბი-სი“.

საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე აქვეყნებს მასალას „ევრაზიანეტიც“ სათაურით – „უფრო კონფლიქტი, ვიდრე კოჰაბიტაცია“, სადაც საუბარია, რომ ძალაუფლებისთვის მანკიერი ბრძოლა პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილსა და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს შორის, სწრაფად ითრევს საქართველოს პოლიტიკური არეულობის მორევში, რომელსაც არაპროგნოზირებადი შედეგები მოჰყვება.

„ექსპრესნიუსი“

ჰოროსკოპი
13 თებერვალი

ვერძი — კარგი დღეა ცვლილებებისთვის როგორც პირად, ასევე საქმიან სფეროში. ვარსკვლავები მზად არიან, სასიამოვნო სიურპრიზებით გაგაოცონ. დღეს შეგიძლიათ რაიმე უჩვეულო, ორიგინალური ნივთი შეიძინოთ ან უკვე არსებული გადააკეთოთ, განაახლოთ. გულთან ახლოს ნუ მიიტანთ ყველაფერს, რაც თქვენს ირგვლივ ხდება.

კურო — კეროებს კარგი დღე აქვთ ფინანსური საკითხების გადასაჭრელად. ფულს სწორად და აზრიანად ხარჯავთ. გარშემოყოფებთან ურთიერთობისას ნუ გამოავლენთ ჩვეულ სიხისტეს, რამაც შესაძლოა, პატარა კონფლიქტი გამოიწვიოს. სურვილი გაგიჩნდებათ, პირად ცხოვრებაში რაღაც შეცვალოთ. ახლობლები მზად არიან, ყველა წამოწყებაში მხარი დაგიჭიროთ.

ტყუპები — შესაფერისი დღეა სერიოზული და საპასუხისმგებლო საქმისთვის, რაც თვითდისციპლინას მოითხოვს. საქმარისი უნარი და ცოდნა გაქვთ, რომ დასახული ამოცანა გადაჭრათ. ამ ნიშნის წარმომადგენლები დღეს ცდილობენ ხარჯების შემცირებას, უარს ამბობენ დაგეგმილ საყიდლებზე, თუმცა ამის აუცილებლობა სულაც არ არის. არაა გამორიცხული სერიოზული უთანხმოებები ახლობლებთან. თავი შეიკავეთ საეჭვოელი ადამიანის გაკრიტიკებისგან.

კირჩხიბი — დღეს გაცილებით სერიოზულად ხართ განწყობილი. საქმეს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებით და იზრდება თქვენი ინტერესი ფილოსოფიისა და რელიგიის მიმართ. ადგილად იჩენთ ახალ ნაცნობებს. შესაძლოა მცირე ფინანსური დანაკარგი, წარუმატებელი შენაძენი ან საქმიანი გარიგება.

ლომი — დღეს რთული საქმეებით დაკავება მოგიწევთ, რასაც ბოლომდე მიიყვანთ, მაგრამ ამისთვის დიდი ძალისხმევის გადება მოგიწევთ. სიხარულს ვერც კი იგრძნობთ, ისე დაიქნცებით. დღის მეორე ნახევარი სასურველია, მშვიდ გითარებაში დასვენებას დაუთმოთ. ორიგინალური იდეებიც გაგიტაცებთ და შესაძლოა, ამან ყოველდღიური მოვალეობები დაგავიწყოთ.

ქალწული — რთული დღეა, შესაძლოა, ფინანსური პრობლემები გაჩნდეს და მოგიწევთ ხარჯების შემცირებაც, თუმცა მალე, სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვლება. დღეს დადებული გარიგებები შემოსავალს მოგიტანთ. კარგი დღეა ოჯახური საქმეებისთვისაც. შესაძლოა ახალი რომანტიკული ურთიერთობის წამოწყებაც.

სასწორი — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის კარგი დღეა ოჯახური საქმეებისა და პრობლემების მოსაგვარებლად. სიამოვნებით დაკავდებით სახლის მოწყობით — ავეჯის, საოფაცხოვრებო ტექნიკისა და ინტერიერის საგნების შეძენა სიამოვნებას მოგგვრით. კარგი დღეა სტუმრების მისაღებად. მზად ხართ, დახმაროთ მათ, ვინც რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა. სასიცოცხლო პოტენციალი საკმაოდ მაღალია, შეგიძლიათ საღამოს კარგად გერთოთ, დაღლილობას ნამდვილად ვერ იგრძნობთ.

ღრიანკალი — დღეს თქვენ შესაშურ გამბედაობას ავლენთ. მისი წყალობით მოაგვარებთ საქმეებს, რასაც თქვენი კოლეგები ვერ ახერხებენ. კარგი დღეა ახალი იდეების რეალიზაციისთვის, სასარგებლოა ურთიერთობა გავლენიან ადამიანებთან, არის შანსი, ძლიერი მფარველი გაიჩინოთ.

მშვილდოსანი — დღე პროფესიულ გამარჯვებებს გპირდებათ, გაქვთ შანსი, კარიერულ კიბეზე მაღლა ახვიდეთ. თქვენში ლიდერის თვისებები აშკარად გამოვლინდება. კარგი დღეა საკუთარ ბიზნეს-პროექტებზე სამუშაოდ. სასურველია, თუ მაღალი საზოგადოების წევრებს დაესწრებით — ბევრ ადამიანთან ურთიერთობა, ახალი ნაცნობობა ძალიან გაგახარებთ. დღეს შეგიძლიათ ტანსაცმელი ან სამკაული შეიძინოთ, ავტომობილის ყიდვისგან კი თავი შეიკავეთ.

თხის რქა — დღე თავიდან თითქოს წარუმატებლად მოგეჩვენებათ, მაგრამ ნელ-ნელა სიტუაცია იცვლება და საღამოსკენ უკვე ცხადი გახდება, რომ ფორტუნამ არ მიგატოვათ. მიმდინარე პრობლემების გადასაჭრელად შეგიძლიათ დახმარებისთვის უფროსი ასაკის ადამიანებს მიმართოთ. მშობლები და სხვა ნათესავები ჩვეულებრივზე მეტად ერევიან თქვენს საქმეში. კარგი დღეა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად, საცხოვრებელი ადგილის გამოცვლისთვის. შეგიძლიათ, სამსახურიც შეიცვალოთ, მაგრამ ამისთვის ახალ სფეროს ნუ აირჩევთ.

მერწყული — დღე საკმაოდ წარმატებულია, განსაკუთრებით, პირად ცხოვრებაში. კარგი ურთიერთობა გაქვთ გარშემოყოფებთან, აგვარებთ ბევრ პრობლემას, არ არის გამორიცხული ახალი რომანის დაწყებაც, რაც კარდინალურად შეცვლის თქვენს ცხოვრებას. შესაფერისი დღეა გრძნობების გასამყარებლადაც. შესაძლოა, ცოტა დაეცეს საქმიანი აქტიურობა, რადგან სამუშაო მოსაწყენია, მაგრამ საკმაო პასუხისმგებლობის გრძნობაც გაქვთ, საქმე რომ არ მიატოვოთ.

თევზები — დღე უამრავ ახალ შესაძლებლობას გპირდებათ. საბედნიეროდ, საკმაოდ ენერგიული და გაბედული ხართ, ამით რომ ისარგებლოთ. შესაძლოა, დღეს თავი ძველმა ნაცნობებმა შეგახსენონ, ან საქმიანი ურთიერთობა აღადგინოთ დიდი ხნის პარტნიორებთან. დღე კარგია ნებისმიერი საქმიანობისთვის, რაც თქვენს შემოქმედებით პოტენციალს წარმოაჩენს.

ამინდის პროგნოზი

	ოთხშაბათი	ხუთშაბათი
თბილისი	+14	+11
ქუთაისი	+13	+20
ბათუმი	+14	+20
სოხუმი	+13	+18

	ოთხშაბათი	ხუთშაბათი
თელავი	+13	+11
ფოთი	0	+1
ბაკურიანი	0	+4
მესტია	+5	+9

შენდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com



წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



ადვილი

6	5	4	3	9	1	8	7	2
3	2	1	8	7	6	9	5	4
9	8	7	4	5	2	3	6	1
2	1	9	7	3	8	6	4	5
5	6	3	2	4	9	7	1	8
4	7	8	6	1	5	2	3	9
1	9	6	5	8	3	4	2	7
8	4	2	1	6	7	5	9	3
7	3	5	9	2	4	1	8	6

რთული

8	7	6	4	5	3	2	1	9
5	9	4	8	2	1	7	6	3
3	2	1	6	7	9	8	5	4
4	8	5	7	6	2	3	9	1
1	3	2	9	8	4	6	7	5
9	6	7	1	3	5	4	8	2
6	1	9	3	4	8	5	2	7
7	5	3	2	9	6	1	4	8
2	4	8	5	1	7	9	3	6

საშუალოზე მეტი

1	5	9	2	6	4	8	7	3
6	7	4	8	5	3	2	1	9
8	3	2	7	1	9	5	6	4
2	4	7	5	9	1	6	3	8
9	8	3	6	4	7	1	5	2
5	6	1	3	2	8	9	4	7
7	2	5	4	8	6	3	9	1
4	1	8	9	3	5	7	2	6
3	9	6	1	7	2	4	8	5

ეჭვიანური

3	4	8	2	1	9	6	5	7
7	1	6	8	5	4	3	9	2
9	5	2	7	6	3	1	4	8
1	7	5	6	2	8	4	3	9
8	9	4	1	3	5	2	7	6
2	6	3	4	9	7	8	1	5
6	3	7	9	4	2	5	8	1
5	8	1	3	7	6	9	2	4
4	2	9	5	8	1	7	6	3

ᲰᲝᲠᲝᲡᲙᲝᲞᲘ
14 თებერვალი

ᲤᲐᲠᲘᲖᲘ — დღეს მეტად გამჭრიახი და საზრიანი ხართ, არ გსურთ, საქმეში სხვის გაგვალულ გზას მიუვეთ. დღის მეორე ნახევარი მეგობრებთან ან რომანტიკულ პაემანზე გაატარეთ. მოგწონთ, როცა ყურადღებას გაქცევენ, ზოგჯერ ამისთვის ორიგინალურ და ექსტრავაგანტურ საქციელსაც არ ერიდებით.

ᲙᲣᲠᲝ — ეს დღე საქმეში სიფრთხილეს მოითხოვს, რადგან შეცდომების დაშვების ალბათობა საკმაოდ დიდია. შესაძლოა გაგიფუჭდეთ ურთიერთობა კოლეგებსა და უფროსობასთან, არ არის გამორიცხული, მტრებიც გაიჩინოთ. რთულ სიტუაციებში ნუ მოგერიდებათ, რჩევისთვის ძველ მეგობრებს მიაკითხოთ — ისინი პრობლემების გადაჭრაში დაგეხმარებიან. დღეს ინტუიცია მეტად გამახვილებული გაქვთ, თუმცა შესაძლოა, ცუდი გავლენის ქვეშ მოექცეთ, ამიტომ მეტი სიფრთხილე გამოიჩინეთ.



ᲪᲕᲚᲔᲑᲘ — საკმაოდ რთული დღეა და ემოციური ფონიც არასტაბილურია. დიდ დროსა და სულიერ ძალებს გართმევთ ნერვიულობა, რისი სერიოზული მიზეზი არც კი გაქვთ. შესაძლოა, თქვენთვის ძვირფას ადამიანს ეკამათოთ და ფინანსური მხარეც არ არის სასიამოვნო, დიდია დანაკარგის ალბათობა, თუმცა მაინც არ დირს სერიოზულად განიხილოთ წინადადებები, რაც სამსახურის შეცვლას ეხება.

ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲜᲘ — კარგი დღეა ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის. არის შანსი, სამსახურში წინ წაიწიოთ, განახორციელოთ დიდი ხნის პროფესიული გეგმები. შესანიშნავი დღეა საქმიანი მოლაპარაკებისთვის, სასურველს აუცილებლად მიაღწევთ. არც პირად ურთიერთობებში გაქვთ საქმე ცუდად. ახალი ნაცნობობა შესაძლოა, თავბრუდამხვევ რომანში გადაიზარდოს. ნუ მოგერიდებათ ინიციატივის გამოჩენისა და საკუთარი გრძნობების გამჟღავნების.

ᲚᲝᲛᲘ — დღე კარგად ჩაივლის, თუ თავად არ დაუშვებთ შეცდომებს უყურადღებობითა და წინდაუხედაობით. არ არის სასურველი მნიშვნელოვან დოკუმენტებზე მუშაობა, დიდი ფულის განკარგვა, გრძელვადიანი კონტრაქტების გაფორმება. სამაგიეროდ, შეგიძლიათ, თქვენს მიმართ სიმპათიით განწყოთ ნებისმიერი ადამიანი. ბევრი ლომი დაფიქრდება, ხომ არ მისცეს დიდი ხნის რომანს ოფიციალური ფორმა. კარგი დღეა ასევე, საცხოვრებელი ადგილის ან სამსახურის გამოსაცვლელად.

ᲥᲐᲚᲬᲧᲚᲘ — სერიოზულ თემებზე სასაუბროდ, რაც თქვენს პროფესიულ საქმიანობას ეხება, შესაფერისი დღეა. გვგლეანანი ადამიანები, ვისი დახმარების იმედიც გაქვთ, არ გიდალატებენ. შესაძლოა, ისეთი მაცდური წინადადებაც მიიღოთ, რომ საკუთარი ბედნიერების თავად არ გჯეროდეთ. შესაფერისი დროა, ინიციატივა გამოიჩინოთ პირად ურთიერთობებში — ეს მხოლოდ სასიკეთოდ წაგადგებათ. ის ქალწულები, ვინც საკუთარ „მეორე ნახევარს“ ეძებენ, მზად უნდა იყვნენ საინტერესო ნაცნობობისთვის.

ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘ — დღე საშუალებას მოგცემთ, თქვენი დიპლომატიური უნარით გაიბრწყინოთ. მისი წყალობით შეძლებთ, კონფლიქტები მოაგვაროთ და შეურიგდეთ ადამიანს, ვისაც უნებლიედ აწყენინეთ. დღის პირველი ნახევარი საკმაოდ ნაყოფიერია და ნებისმიერი საქმისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ. სადამო, პირიქით, უფრო მშვიდად გაატარეთ — დაისვენეთ და სასიამოვნო ურთიერთობებს დაუთმეთ დრო.

ᲚᲠᲘᲜᲯᲚᲘ — ფინანსების მხრივ საკმაოდ წარმატებული დღეა. გაქვთ შანსი, არა მხოლოდ გაზარდოთ შემოსავალი, არამედ სამედო გრძელვადიანი ინვესტიციებიც დაანბანდოთ. შეგიძლიათ, გარისკოთ — პროფესიული ინტუიცია არ გიღალატებთ. პირად ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებები არ ხდება. შეეცადეთ, ოჯახის წევრებსაც დაუთმოთ გარკვეული დრო.

ᲛᲨᲕᲘᲚᲝᲒᲝᲡᲜᲘ — დღეს შეგიძლიათ საკმაოდ ნაყოფიერად იშრომოთ, თუკი გადაწყვეტთ, არავინ დაიხმაროთ და უკეთესადერი თავად მოაგვაროთ. სულაც არ არის აუცილებელი, რამე გრანდიოზულს მიადგეთ. სასიკეთოა ფინანსური სურათიც, შესაძლოა, ფულადი გზავნილი მიიღოთ. პირად ცხოვრებაში დიდია ალბათობა, ისეთ ადამიანს შეხვდეთ, ვის მიმართაც სიმპათია სწრაფად გადაიზრდება სერიოზულ გრძნობაში.

ᲗᲮᲘᲡ ᲠᲥᲐ — თუ მთელი დღის განმავლობაში ენერგიული და საქმიანი იქნებით, კარგ შედეგს მიაღწევთ. მაგრამ არც ერთი წუთით არ უნდა მოეშვათ, თუ არ გინდათ, თქვენი შრომის ნაყოფი სხვას დარჩეს. დღე დაკავშირებულია საინტერესო საუბრებთან, მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღებასთან. მთლიანობაში, მოვლენების განვითარება თქვენს გეგმებსა და მოლოდინს შეესაბამება.

ᲛᲔᲠᲜᲣᲚᲘ — დღეს მეტი აკურატულობა გამოავლინეთ. არის შანსი, დაგროვილი საქმეები მოაწესრიგოთ. შეეცადეთ, მომთხოვნი იყოთ საკუთარი თავის მიმართ, სხვებისადმი კი — შემწყნარებელი. ეს კარგ ურთიერთობებს შეგინარჩუნებთ ყველასთან. არ არის სასურველი, რთული და მნიშვნელოვანი საკითხები განიხილოთ ახლობლებთან, რადგან აძას, შესაძლოა, კამათი მოჰყვეს. მათ კრიტიკულ შენიშვნებს კი ძალიან განიცდით.

ᲗᲔᲕᲖᲘᲗᲘ — თევზებისთვის შედარებით რთული საქმეებით დაკავების დროა. კარგი დღეა საქმიანი მოლაპარაკებებისთვის, სახოგადოებრივ ღონისძიებებში მონაწილეობისთვის. არ არის სასურველი, თუ დოკუმენტებს შინ წაიღებთ სამუშაოდ. პირად ურთიერთობებში არც ისე წარმატებული დღეა: იმდენად ენერგიული ხართ, რომ ეს ღლის გარშემომყოფებს. ნუ შეეცდებით, ახლობლებს თქვენი ცხოვრების რიტმი მოახვიოთ თავს და ნუ განაწყენებთ, თუ თქვენს შეთავაზებებს ენთუზიაზმით არ აიტაცებენ.

თებერვალი უძილობით გვემუქრება

სწავლულებმა ნისლიანი ალბიონიდან დაადგინეს, რომ თებერვალი ყველაზე უარესი თვეა ძილის მხრივ. მათმა გამოკვლევებმა მოტორიკის სფეროში აჩვენა, რომ სწორედ ამ თვის განმავლობაში იღვიძებენ ადამიანები ყველაზე ხშირად ღამით და დაახლოებით, 10 წუთის განმავლობაში მაინც არ სძინავთ. ექსპერიმენტი ერთი წლის განმავლობაში 21 ათას მოხალისეზე მიმდინარეობდა. მკვლევართა თქმით, თებერვალში თითქმის ერთი საათი მაინც უნდა იწვალო, რომ დაიძინო, ხოლო საათზე მეტი — რომ გაიღვიძო და მხნედ გამოიყურებოდე. სწავლულები ამ ფაქტს პერიოდს უკავშირებენ, როცა დღე მოკლეა და ადრე ბნელდება. გაზაფხულზე კი ძილთან დაკავშირებული პრობლემები ქრება.

რიანა კრის ჭრაუნზე თხოვდება?

პოპულარულმა ამერიკელმა მომღერალმა შოკში ჩააგდო საზოგადოება, როდესაც მუსიკალური პრემია „გრემის“ დაჯილდოების გრანდიოზულ ცერემონიალზე ნიშნობის ბეჭდით გამოცხადდა. ოთხი წლის წინ შეყვარებულმა, მომღერალმა კრის ბრაუნმა ვარსკვლავი სასტიკად სცემა და ამ სკანდალმა ყველა ტაბლოიდის ყურადღებაც დაიმსახურა, თუმცა, როგორ ჩანს, დრომ ეს ტკივილიც მოაშუშა და წელს, „გრემის“ დაჯილდოების ცერემონიალზე წყვეილი ფართო აუდიტორიის წინაშე ერთად წარსდგა, ხოლო ვარსკვლავის არათითს საქორწინო ბეჭედი ამშვენებდა. ჟურნალისტების კითხვებს ნიშნობის შესახებ რიანა სიჩუმით პასუხობდა, მისი წარმომადგენლები კი ერთადერთ კომენტარს აკეთებდნენ — „უკომენტაროდ“.

სუდოკუ-ქვნილ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

9					7	1	6	
				9			8	7
7	6				8			
3					9		5	
		6		3		2		
	9		2					3
			1				4	8
6	8			2				
	7	9	8					2

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

3	1			5	6			
4		9		2	1			
			9					
6	4			1				5
		5		7		1		
1				3			6	2
					7			
			2	9		8		6
			4	6			9	3

ᲠᲗᲣᲚᲘ

		9			8	3	5	
								2
4			5				1	
					2	1	7	
3			6		7			9
	7	8	4					
	2				6			5
8								
	1	4	3			9		

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

		7						2
		2		9	3			7
		4		5			3	
9		8			5		2	
		5		3		8		
	3		8			6		9
	5			7		1		
7			5	6		2		
8						7		

2013 წლის „ოსკარის" ნომინაციები

ახლახან მერიკული კინოაკადემიის პრემიაზე წარდგენილი მსახიობების, რეჟისორებისა თუ ფილმების შესახებ საზოგადოებას, მომავალი ცერემონიის წამყვანმა სეტ მაკფარლეინმა და მსახიობმა ემმა სტოუნმა ლოს ანჯელესის თეატრ Samuel Goldwyn-ში ამცნეს. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტი ყურადღება დაიმსახურა სტივენ სპილბერგის ფილმმა „ლინკოლმა", რომელიც 12 ნომინაციაზე წარადგინეს, ხოლო, ენგა ლის ფილმი „პის ცხოვრება" 11 ნომინაცია მოიპოვა. ნომინირებულ საუკთესო რეჟისორთა შორის არიან ბენ ზაიტლინი, მიხაელ ხანეკსი, ტომ ჰუპერი, საუკეთესო მამაკაც მსახიობთა შორის კი დაასახელეს: ბრედლი კუპერი, დენზელ ვაშინგტონი, დენიელ დეი-ლუისი, ხუაკინ ფენიკსი და ჰიუ ჯეკმანი.

ოსკარზე ნომინირებულ ქალ მსახიობთა სია ასე გამოიყურება: ჯესიკა ჩესტეინი, ჯენიფერ ლოურენსი, ემანუელ რივა, ნაომი უოტსი და კვინზან უოლისი.

მამაკაცის საუკეთესო მეორეხარისხოვანი როლის შესრულებისთვის წარდგენილნი არიან კრისტოფ ვალცი, ფილიპ სეიმურ ჰოფმანი, რობერტ დე ნირო, ალან არკინი და ტომი ლი ჯონსი, სუსტის სქესის საუკეთესო მეორეხარისხოვანი როლის შემსრულებლებად სალი ფილდი, ენნ ჰეტუეი, ჯეკი უივერი, ჰელენ ჰანტი და ემი ადამსი დაასახელეს.



რაც შეეხება საუკეთესო ანიმაციურ ფილმს, ან ტიტულზე პრეტენზიას აცხადებს „პარანორმანი, ანუ როგორ გავწვრთნათ ზომბი", „რალფი", ფრანკენვინი", „მეკობრეები! უიღბლოთა ბანდა" და „გულით მამაცი", ყველაზე ორიგინალურ სცენართა შორის კი ღირესული ადგილი „სავსე მთვარის სამეფომ" და „ეკიპაჟმა" დაიმკვიდრა. ამერიკის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდოს „ოსკარის" დაჯილდოების ცერემონია 24 თებერვალსაა დაგეგმილი.

„დიმიტრი ცინცაძის ფონდში" შესული თანხა ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს მოხმარდებათ

ამის შესახებ ცინცაძის მიმართვაშია ნათქვამი, რომელიც მან წინ „ფეისბუქის" მეშვეობით გაავრცელა:

„მოგესალმებით ყველას. ეხლა ვარ მიუნჰენის საუნივერსიტეტო კლინიკაში. ჩამოსვლისთანავე გერმანელმა პროფესორებმა მირჩიეს დონორის გამოყენება, რომლის ფასიც პირველ შეხვედრაზე 200 000-250 000 ევრო იყო. მეორე დღეს ეს თანხა 300 000-350 000 გახდა. ამიტომაც მივიღე გადაწყვეტილება, უარი ვთქვი პროფესორის მომსახურებაზე, რამაც მკურნალობის ფასიც შეამცირა. ვიკეთებ საკუთარი უჯრედის გადანერგვას „აუტოტრანსპლატაციას". უკვე ჩამიტარდა ქიმიოთერაპიის ერთი კურსი. ამჟამად ვიკეთებ ნემსებს, რომელიც ახდენს უჯრედების სტიმულირებას. რის შემდეგაც სისხლიდან ხდება უჯრედების გამოღება. შემდეგ ისევ ქიმიოთერაპია და მიყვება ტრანსპლანტაცია

ძალიან ძნელია ჩემთვის, სიტყვებით გამოვხატო მადლიერება ყველას მიმართ. მინდა დიდი მადლობა გადაგიხადით თითოეულ თქვენგანს გვერდში დგომისთვის, იმ ფიზიკური, მორალური და ფინანსური დახმარებისთვის რაც ჩემთვის გააკეთეთ.

მოგმართავთ ყველას თხოვნით : ა ღ ა რ გაავრცელოთ კლიპები, ტელეფონის ნომერი და მსგავსი პროკლამაციები!!!!!!

ფონდი, რომელიც დაარსდა ჩემს დასახმარებლად სახელად: „დიმიტრი ცინცაძის ფონდი" განაგრძობს ქველმოქმედებას და შემოსული თანხებით მთლიანად ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს დაეხმარება.

კიდევ ერთხელ, ყველას დიდი მადლობა!!!!!!

გთხოვთ გაავრცელოთ!"

იპოვეთ თქვენი www.versia.ge
ვერსია
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – ნათია მზექალაშვილი, გიორგი ლომსაძე

ISSN 1987-8699

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
ტელ: 590 740999; 2942399
e-mail:dosie@caucasus.net;
dosieversia@caucasus.net
versiaprinti@yahoo.com